საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№40 (322)
4 – 10 ნოემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 ამერიკულმა პრესამ სააკაშვილი ცხინვალზე თავდასხმაში დაადანაშაულა

## «ივანიშვილის ბიძაშვილს შევუთვალე, — იზოლაციაში მოაქციეთ, ვიდრე დაუძახია, ნაპოლეონი ვარო» 7

„თუ რადიკალური ცვლილებები არ განახორციელეს და ხელშესახები არ გახდა პროგრესი, თანაც — ყველასთვის, მაშინ განრისხებული ხალხი ქუჩაში გამოვა და პირველი მსხვერპლი ივანიშვილის შუშის სასახლე იქნება, მას მიჰყვებიან უმაქნისი მინისტრები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ მათი ინტერესი ხელისუფლებაში ყოფნისა მხოლოდ ფულია, ფული და ფული...“



## «რესპუბლიკელებმა საზღვარგარეთ არჩევნები ივანიშვილის მიერ გაცემული განკარგულებით მოიგეს» 6

„ჟვანია-გოგორიშვილ-სააკაშვილის ტრიო არჩევნებს აყალბებდა. ამ ყველაფერს კი „სამართლიანად“ აფასებდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელსაც ჯერ უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი — ხიდაშელი და, ბუნებრივია, გაყალბების მეთოდები შესანიშნავად შეითვისეს.“

# «ბატონო ბიძინა, მიკვირს, როგორ იშოვეთ ამდენი ფული ასეთი აზროვნების კაცმა»

## წერილი ბავშვებსა და... უწიგნურ მოზრდილებს 16

## «ქინძის რევოლუცია» 5



## «ოქროს ბიჭებიდან» «ოქროს გოგოებამდე», 12

ანუ ვინ არის დღეს საქართველოში «პირველი პირი»?

## მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა გარყვნილების პროპაგანდას ეწევა 10




## ნატრობდით სიტყვის მეტ თავისუფლებას? — ინებეთ, პორნოგრაფია!

## «რა ტიპის კვლევები ტარდება და მიმდინარეობს თუ არა ლუგარის ლაბორატორიაში სახიფათო შტამებთან მუშაობა» 11

## თავდაცვის მინისტრის კალსონიდან ამომხტარი დეპუტატი 4

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ირაკლი ღარიბაშვილი: მიხეილ სააკაშვილის ადგილი ციხეშია



**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესტონელ კოლეგასთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე ესტონელი ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხზე პასუხისას განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის ადგილი ციხეშია და მისი ადგილი ქართულ პოლიტიკაში აღარ არის.** „მე არ ვაპირებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატირებას და ამ თემაზე არ ვაპირებდი აქ საუბარს... მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რევოლუციურ გადატრიალებას აპირებდა და ამის დამადასტურებელი ჩანაწერები დაიდო კიდეც უკრაინულ საიტზე. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ მიხეილ სააკაშვილის ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის. მე რომ მკითხოთ, მისი ადგილია ციხეშია", — განაცხადა ღარიბაშვილმა.



## რობერტ სტურუა ამერიკის ელჩს: საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, რომელსაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა

**რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოში ამერიკის ელჩს — იან კელის მიმართავს:**

„ამერიკის ელჩს!

ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა და დემოკრატიის პრინციპები, რომლებიც ამერიკის პატრიარქებმა ჩამოაყალიბეს ფრანგი განმანათლებლების ნაშრომებზე დაყრდნობით; მაგრამ მინდა, შეგეკითხოთ და, იმედია, პასუხსაც მომახსენებთ (თუ სერიალი The House of Cards მთლად სიმართლე არ არის): რას ერჩით ჩემს პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენს მიწაზე — ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე? დღეს, როცა ყველაფერს უსმენენ, ხედავენ ისე, რომ ტუალეტში შესვლა გრცხვენია, ქალის კოცნაზე ხომ არაფერს ვამბობ, პანიკური შიში მიპყრობს — კოსმოსიდან გვიცქერენ – რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვიღაც-ვიღაც ჩინოვნიკები; რატომ ურეკავთ, არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, რომელსაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა (მითუმეტეს, რომ CIA-მ ყველაფერი იცის)?

იქნებ ამიხსნათ, რა ბოროტება დაატყდა ჩვენს პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ, როგორ მოვიქცეთ? თუ რაღაც დიდი სტრატეგიული საიდუმლო არაა, ბატონო ელჩო, თუ ამის უფლება გაქვთ, დიპლომატიურად მაინც მიპასუხეთ.

**ამერიკის პატრიოტი,**
**რ. სტურუა.**
**P.S. თუ ინებებთ, პრეზიდენტებზე ცალკე ვისაუბროთ!"**



## სააკაშვილი: «მანდ სისხლისღვრა იქნება», «სტო პრო» იქნება, ქინძი ვიყო»

**უკრაინულმა ვებგვერდმა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მომღერალ სოფო ნიჟარაძის სატელეფონო საუბარი გამოაქვეყნა. ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, პეტრო პოროშენკოსთან შეხვედრის შესახებ საუბრობს.**

„ვიყავი პოროსთან და მოვედი უკან, ახლა დავამთავრე", — ამბობს სააკაშვილი. ამის შემდეგ სააკაშვილი და ნიჟარაძე საუბრობენ, როდის გადაწყვეტს გარკვეულ საკითხს, თუმცა რომელ საკითხს გულისხმობენ, უცნობია. გარდა ამისა, სააკაშვილი ეუბნება ნიჟარაძეს, რომ „მანდ სისხლისღვრა იქნება". „სტო პრო" იქნება, ქინძი ვიყო". სააკაშვილი და ნიჟარაძე ამ საუბრის მიხედვით შეურაცხმყოფელი სიტყვებით საუბრობენ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტ ნოდარ მელაძეზე.

# საქართველოს მთავრობას

**ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში დიდი სამომამულო ომიდან შინმოუსვლელთა მემორიალური დაფის გვერდით ორიოდე დღის წინათ დადგმული სტალინის ძეგლი, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნის აგენტურის მიერ დაქირავებულმა ადგილობრივმა „ქვეყნის გამყიდველებმა" შეურაცხყვეს.**



დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემოქმედის, სისხლისმსმელი ფაშისტებისგან კაცობრიობის მხსნელის — იოსებ სატალინის, მის მშობელ საქართველოში დადგმული ძეგლის შეურაცხყოფა გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ ამ ვანდალურ აქტს, რომელიც მიმართულია ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობის ნებისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგ, დავუპირისპიროთ ლეგალური თუ არალეგალური პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება ფაშიზმზე გამარჯვებაში სსრკ-ის ხალხებისა და სტალინის როლის დაკნინების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ კი, შეიძლება, საქართველოს „დემოკრატიული" განვითარება დააზარალოს.

ამიტომ გთხოვთ, სასწრაფოდ გამოიძიოთ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი ვანდალური აქტი და მკაცრად დასაჯოთ არა ძეგლის დამდგმელი პიროვნება, არამედ ძეგლის შეურაცხმყოფლები, თანაც, არა ხულიგნური გამოხდომისთვის, არამედ, როგორც უცხოეთის დაზვერვის აგენტები, რომლებიც ძირს უთხრიან ქართულ სახელმწიფოს და ქართველი ერის ნების წინააღმდეგ მოქმედებენ.

**გრიგოლ ონიანი,**
**საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარე**

# შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ?

**უკრაინული „ვიკილიქსის" მიერ რამდენიმე დღის წინათ გავრცელებულმა ჩანაწერებმა, რომლებშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლების წინააღმდეგ პროვოკაციულ მოქმედებებზე ესაუბრება თანაპარტიელ გიგა ბოკერიასა და „რუსთავი 2"-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას, გააჩინა ეჭვი, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებლად სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა.**

ამ ეჭვის საფუძველი კი არის „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის — **გოკა გაბაშვილის**, „ნაციონალური მოძრაობის" კიდევ ერთი ლიდერის — გიგა ბოკერიას მეუღლის — **თამარ ჩერგოლეიშვილისა** და საქართველოს პრეზიდენტის — **გიორგი მარგველაშვილის** განცხადებები უკრაინული „ვიკილიკსის" მიერ ჩანაწერების გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

მანამდე კი, 2014 წლის 9 მაისს, იყო „რუსთავი 2"-ის გენდირექტორის — ნიკა გვარამიას ეს განცხადება (სტილი დაცულია):



**2014 წლის 9 მაისი.**
**ნიკა გვარამია, „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორი:**
„როგორც კი ერთმა ჩემმა მეგობარმა შეგპირდათ, ჯოჯოხეთს მოგიწყობთ ნამდვილად, ყველაფერი გამოაშკარავდება თავის დროზე, ამაზე უარესი ამბების გამოაშკარავებასაც გპირდებით".



**22 ოქტომბერი, სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე.**
**თამარ ჩერგოლეიშვილი:**
„ჩვენ გვაქვს გეგმა „ბე", რომლის მიხედვითაც აუცილებლად ვიმოქმედებთ. ივანიშვილი ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს ვერანაირი მეთოდით, ამისთვის ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ამისთვის ჩვენ რესურსი გვაქვს, ინტელექტუალურიც და სხვაგვარიც".



**17 ოქტომბერი, 12 დღით ადრე სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებამდე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" განცხადება, რომელიც წაიკითხა გოკა გაბაშვილმა:**
„ჩვენ დავიწყებთ ფართო საპროტესტო მოძრაობას, მასობრივ მანიფესტაციებს, და, განსხვავებით ბოლო სამი წლის განმავლობაში გამართული ჩვენი ხალხმრავალი საპროტესტო აქციებისგან, ეს არ იქნება ერთჯერადი ხალხმრავალი პროტესტი, არამედ მიიღებს გრძელვადიან პერმანენტულ სახეს და მათ შორის მოხდება სამთავრობო შენობების პიკეტირება".



**22 ოქტომბერი, სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე.**
**გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**
„ბოლო დღეებში განვითარებულმა პროცესებმა მოახდინა პოლიტიკური კლიმატის ესკალაცია და შექმნა კონსტიტუციური წესრიგის დარღვევისა და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობები".

**ახლა თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა, ძვირფასო მკითხველო, — აწყობდა თუ არა „ნაციონალური მოძრაობა" შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ და იცოდა თუ არა ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა...**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინის სახელმწიფო ვალმა 70 მლრდ დოლარს გადააჭარბა

**სააგენტო UNN-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის სახელმწიფო და გარანტირებულმა ვალმა მიმდინარე წლის 30 სექტემბრისთვის 70,7 მილიარდ დოლარს (1,52 ტრილიონი გრივნა) მიაღწია.** უკრაინის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ეს სავალალო ფინანსური ვითარება გამოიწვია ეროვნული ვალუტის დევალვაციამ, რომლის კურსიც დოლარის მიმართ 9 თვის განმავლობაში დაახლოებით 6 პუნქტით დაეცა.






# ამერიკელი ანალიტიკოსი:
# აშშ და მისი მოკავშირეები ჯიჰადის ექსპორტს ეწევიან



**აშშ და მისი მოკავშირეები „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლით „ჯიჰადის ექსპორტს“ ეწევიან!“ — წერს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის ანალიტიკოსი კრისტინა ლინი.**

„გასაკვირი არ არის, რომ ჯიჰადი კვლავაც ვრცელდება არა მხოლოდ სირიაში, არამედ აზიის ბევრ ქვეყანაში იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოს“ ეხმარებოდნენ, ახლა აშშ-ის მეთაურობით იმ კოალიციაში არიან, რომელიც ებრძვის ამ ტერორისტულ ორგანიზაციას.

აშშ-ის მოკავშირეები არიან ცოდვილები, რომლებიც რაინდთა მბრწყინავ აბჯარში არიან გამოწყობილები“, — წერს ანალიტიკოსი და დასძენს, რომ ვაშინგტონს თავგზა აქვს აბნეული „კარგი“ და „ცუდი“ ტერორისტების გარჩევის მცდელობაში.

კრისტინა ლინის აზრით, აშშ-მა უნდა შეცვალოს სტრატეგია და რუსეთთან, ჩინეთთან და ინდოეთთან გაერთიანდეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში.



# მარკ მილი:
# მხოლოდ რუსეთს შეუძლია აშშ-ის განადგურება!

**ამერიკელებმა აღიარეს, ყველაზე მეტად ვისი ეშინიათ. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირი ტექსტით არ უთქვამთ, მაგრამ ყველასათვის გასაგები იყო. და ეს ჭეშმარიტება ამერიკელებს ამცნო აშშ-ის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსმა მარკ მილიმ.**

როდესაც რამდენიმე დღის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე დაუსვეს კითხვა — ვინ არის აშშ-ისთვის ნომერი პირველი საფრთხე, გენერალმა მარკ მილიმ განაცხადა:

„მე აშშ-ისთვის მთავარ საფრთხედ რუსეთს განვიხილავ. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, რომლისაც ამერიკის შეერთებული შტატების განადგურება შეუძლია. სხვა ქვეყნებსაც აქვთ ბირთვული იარაღი, ოღონდ იმდენი არა, რამდენიც რუსეთის ფედერაციას. რუსებს აქვთ შესაძლებლობაც და ბირთვული იარაღიც იმისთვის, რომ ეს გააკეთონ“.


www.nytimes.com

The New York Times

German Village of 102 Braces for 750 Asylum Seekers

SUMTE, Germany — This bucolic, one-street settlement of handsome redbrick farmhouses may for the moment have many more cows than people, but next week it will become one of the fastest growing places in Europe. Not that anyone in Sumte is very excited about it.

In early October, the district government informed Sumte's mayor, Christian Fabel, by email that his village of 102 people just over the border in what was once Communist East Germany would take in 1,000 asylum seekers.

# გერმანულ სოფელს, რომელშიც 102 ადამიანი ცხოვრობს, 750 მიგრანტის მიღებას აიძულებენ

**ქვემო საქსონიის სოფელ სუმტეს (გერმანია) მოსახლეობის რაოდენობამ უახლოეს ხანში, შესაძლოა, 7-ჯერ მოიმატოს.**

The New York Times-ი წერს, რომ ამა წლის ოქტომბერში სოფელ სუმტეს მერმა მიიღო უწყება, რომლის მიხედვითაც უახლოეს ხანში მისმა სოფელმა, სადაც 102 კაცი ცხოვრობს, ახლო აღმოსავლეთიდან დევნილი 750 პირი უნდა მიიღოს.

მერმა აღიარა, რომ ეს უწყება თავდაპირველად ხუმრობა ეგონა, რადგან სოფელში არც პოლიციაა, არც სკოლა და კანალიზაციის სისტემაც ვერ უზრუნველყოფს 1000 კაცის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, უკვე რამდენიმე დღეში სოფელში პირველი დევნილები უნდა ჩავიდნენ.



ბავარია — 2039



# ფინელების უმრავლესობა ნატოში შესვლის წინააღმდეგია

**ფინეთის ტელეკომპანია Yle-ს მიერ ჩატარებული სოციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამ ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობას არ სურს ნატოში გაერთიანება.** გამოკითხულთა 22% მხარს უჭერს ფინეთის შესვლას ნატოში, 55% კი წინააღმდეგია.

# ისრაელს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან ვაჭრობის თავისუფალ ზონაზე შეთანხმების გაფორმება სურს



**ისრაელის სამხედრო-პოლიტიკური კაბინეტის წევრმა, იერუსალიმის საქმეთა მინისტრმა, აგრეთვე, რუსეთ-ისრაელის სამთავრობოთაშორისი კომისიის თანათავმჯდომარემ ზეევ ელკინმა განაცხადა, რომ ისრაელი დაინტერესებულია ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე ხელშეკრულების გაფორმებით.**

„ჩვენ ვთვლით, რომ ამას დიდი პოტენციალი აქვს ისრაელის ეკონომიკისთვის, აგრეთვე, საბაჟო კავშირში შემავალი ქვეყნებისთვისაც. მე ვერ ვხედავ ამ შეთანხმებაზე ხელმოწერის გაჭიანურების მიზეზს. რუსეთის მხარეს ვთავაზობთ, 2016 წლის იანვარში დავიწყოთ მოლაპარაკება ამ საკითხზე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შეთანხმება რაც შეიძლება მოკლე ვადაში გაფორმდეს“, — განაცხადა ზეევ ელკინმა.

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრები არიან: **რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი;** წევრობის კანდიდატები: **ჩინეთი, ეგვიპტე, ევროკავშირი, ინდოეთი, ირანი, ზიმბაბვე, ტუნისი, თურქეთი, პაკისტანი, სირია, იორდანია, მონღოლეთი, ალბანეთი, ისრაელი (ბოლო 5 სახელმწიფოს ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნა სურს).**

# აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა სახელმწიფოს ვალი მკერდზე დაიწერა

**აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი რენდ პოლი აიოვაში ვიზიტისას უცნაურ კოსტიუმში გამოეწყო.**

კენტუკის შტატის სენატორი იოვაში სწრაფი კვების ობიექტს ეწვია სვიტერით, რომელსაც ეწერა „18 ტრილიონი დოლარი“ — სწორედ ამდენია აშშ-ის სახელმწიფო ვალი.

პრეზიდენტობის კანდიდატმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მისი კოსტიუმი გაცილებით საშინელია, ვიდრე ზომბი.






# ამერიკულმა პრესამ სააკაშვილი ცხინვალზე თავდასხმაში დაადანაშაულა

**ამერიკული გამოცემა American Diplomacy-ი საქართველოს ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოლქის გუბერნატორის — მიხეილ სააკაშვილის შესახებ ინდიანას (აშშ) უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორის — დიმიტრი შლაპენტოხის ავტორობით ვრცელ მიმოხილვას აქვეყნებს, სადაც სააკაშვილი სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონზე თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ მიმოხილვიდან ამონარიდს ავრცელებს:**

„მიხეილ სააკაშვილის თავდასხმამ 2008 წლის ზაფხულში სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთზე, სადაც რუსეთის სამშვიდობო ძალები იყვნენ განლაგებულნი, სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა და, საბოლოო ჯამში, რუსეთთან ომი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ნეოკონსერვატორები თბილისს მხარს უჭერდნენ, საქართველო, ფაქტობრივად, ვაშინგტონის დახმარების გარეშე დარჩა და ომში დამარცხდა (აშშ-ის ინერტულობით). მიხეილ სააკაშვილი შეურაცხყოფილი იყო, რადგან მან წინა წლებში თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჯორჯ ბუშის სახელი დაარქვა, რომელიც, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთი ქუჩაა ასეთი სახელწოდებით“, — წერს ავტორი. ავტორის შეფასებით, როცა არჩევნებში მიხეილ სააკაშვილი (და მისი პარტია) დამარცხდა, ახალმა ხელისუფლებამ ყოფილი ხელისუფლების მიერ რეალურად თუ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედების გამოძიება დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის ბედი არ იქნებოდა განსხვავებული სხვა პოსტსაბჭოთა ლიდერების პოლიტიკური სიკვდილისაგან, რომ არა უკრაინა.

ავი მესაიჲპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პარლამენტი, უშიშროების საბჭო, თავდაცვის სამინისტრო და სხვა სამინისტროები ისედაც რესპების ხელშია. ცესკოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც „ნაცმოძრაობის“ სტაჟიანი აქტივისტებისგან შედგება, ასევე რესპებისაა...და დღეს ქვეყანას მართავს 3-პროცენტიანი (გაჭირვებით) რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია, ხოლო კოალიცია „ქართული ოცნება“ მის სამარცხვინო რეიტინგზე ასაფარებელი ლეღვის ფოთოლია.**

# თავდაცვის მინისტრის კალსონიდან ამომხტარი დეპუტატი

## ქალლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოსო. ჰოდა, გადაათრიეთ, გაიტანეთ გრენლანდია!

**აი, დროის იმ მონაკვეთის მოკლე დახასიათება, რომელსაც სააკაშვილიდან ივანიშვილამდე პერიოდი ჰქვია.**
**იმაზე, 2003-დან მოყოლებული როგორ უზრუნველყოფდა არჩევნებში „ნაცბანდის“ მორიგ „გამარჯვებას“ ხათუნა გოგორიშვილი თავის ბანდაჟში „ჩამონტაჟებული“ ყალბი ბიულეტენებით, ბევრი დაწერილა და ამაზე აღარ დავწვრილმანდები, რადგან, როგორც შუალედურმა არჩევნებმა აჩვენა, საგარეჯოში ხათუნას ბანდაჟი წარმატებით ჩაანაცვლა თავდაცვის მინისტრის კალსონმა. საარჩევნო უბნებში ზედმეტი ბიულეტენების სასწაულებრივად გაჩენამ ერთგვარი დეჟავიუ შექმნა 2012 წლის არჩევნებთან, სადაც ერთ-ერთი რაიონის „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელი და ლიდერი, რომელიც დღეს სოციალური სამსახურის უფროსია, არჩევნებზე ტრიკოდან ყრიდა ბიულეტენებს.**




**ბატონო პრემიერო, ახლა ცანცარის დრო არ არის, ახლა თავგანწირვის დროა! რაც თქვენი მხრიდან მხოლოდ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ საჯაროდ თქვათ, ვისგან რა ზემოქმედებას განიცდით. აი მაშინ კი თქვენი სტრატეგიული მოკავშირე ქართველი ერი იქნება და ვერავითარი ნატო და ევროკავშირი ვერ მოგვერევა, ანუ ისინი, ვისაც თქვენ და თქვენი თავდაცვის მინისტრი ერთგულებას ეფიცებით, მაგრამ, საგარეჯოს არჩევნებიდან გამომდინარე, მეტი არაა ჩემი მტერი, თქვენ ეს გააკეთოთ!**

ეგ არის და ეგ, თორემ შინაარსობრივად არაფერი შეცვლილა — **შევარდნაძის ხელისუფლების ვარდებით დამხობის შემდეგ ჯერ „ნაცსექტის“ ხელით და ახლა „ქართული ოცნების“ მეშვეობით მიმდინარეობს აშშ-ის მზაკვრული გეგმის განხორციელება საქართველოში. გეგმისა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებაში ნეოლიბერალური ძალების მოყვანა ჰქვია...**

ნეოლიბერალური იდეოლოგიის არსი ყველასთვის გასაგები ენით რომ განვმარტოთ, პირობითად 4 არას მივიღებთ: **არა — სამშობლო, არა — ეროვნება, არა — ღმერთი და არა — სქესი.**

ნეოლიბერალებს, ანალიტიკოს-პოლიტოლოგთა ნაწილი ნეოტროცკისტებსაც უწოდებს, რადგან პირველ სამ „არას“ სწორედ მასონი ტროცკისტები ნერგავდნენ საბჭოეთში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან.

უბრალოდ, იმხანად „არა — სქესს“, ანუ გაუმარჯოს პედერასტიას ისეთი აქტუალური არ იყო, როგორც დღეს არის ლგბტ-თა სამოთხე დასავლეთში და ამიტომ დარჩა იმჟამინდელი ტროცკისტების ყურადღების მიღმა, თორემ...

სწორედ ამ იდეოლოგიის გამტარებელ „ნაცებ“-რესპებზე დადეს ფსონი ამერიკელებმა და, როგორც ცნობილია, ორივე პარტია ერთად მოვიდა ხელისუფლებაში ე.წ. ვარდების რევოლუციის შედეგად. მათი გზები მაშინ გაიყარა, როდესაც მიშამ დანაპირები არ შეასრულა — „გადააგდო“ რესპუბლიკელები და, აჭარიდან ასლან აბაშიძის გაძევების შემდეგ, „აღორძინება“ რესპუბლიკელი ძმები ბერძენიშვილებით არ ჩაანაცვლა...

ჰოდა, მეტი რა გზა ჰქონდათ, განაგრძეს რესპებმა 2%-იანი ოპოზიციონერობა, რომლებიც ამერიკელებმა რეზერვად შეინახეს. აკი არც შემცდარან:

საქართველოს სუზერენად ქცეული მიშა ზედმეტად ხისტად (თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ 7 ნოემბერს ხალხის დარბევას, ტელეიმედში „სპეცნაზით“ შეჭრას, გადავსებულ ციხეებში პატიმართა წამებაგაუპატიურებას, ქუჩებში ახალგაზრდების დახვრეტას, აგვისტოს ომში მიშას ჰალსტუხის ღოღნას, სამარცხვინოდ მიწაზე ხოხვას და ა.შ.) ატარებდა „4 არას“ პოლიტიკას და 26 მაისის სისხლიანი ღამის შემდეგ ამერიკელთა დღის წესრიგში დადგა უკონტროლო იდიოტის ფაშისტური რეჟიმის რესპუბლიკელებით ჩანაცვლების საკითხი.

შეგახსენებთ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ისტორიას:

**პირველად ამერიკიდან ახალდაბრუნებული, იმხანად მართლაც მაღალი რეიტინგის მქონე ირაკლი ალასანიათი სცადეს რესპუბლიკელების რეიტინგის ამოქაჩვა, როდესაც გმირი მამის შვილი ლამის თვითმფრინავის ტრაპთანვე ჩაახუტეს რესპუბლიკელებს, მაგრამ მოხდა პირიქით — ირაკლი ალასანიას რეიტინგი დაბლა დასცეს ურეიტინგო და ქართველთა უმეტესი ნაწილისთვის საძულველმა რესპებმა!..**

ჰოდა, აქ გამოაჩინეს ამერიკელებმა ჯოკერი — ბიძინა ივანიშვილი: სამების აღმშენებელ, ყველა დროისა და ხალხის უდიდეს ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას, კოალიცია „ქართული ოცნების“ სახით, აღტაცებით შეხვდა მის მიერვე წლების განმავლობაში გულუხვად დაფინანსებული ქართველი ინტელიგენცია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილისათვის მიუღებელი იყო რესპუბლიკური პარტია, მაინც ის აღმოჩნდა უპირველესი დასაყრდენი ბიძინა ივანიშვილისთვის. ინტელიგენციაც და, საზოგადოდ, ქართველი ხალხიც, რომელმაც დაიჯერა ინტელიგენციის მიერ საკუთარი თავის მოსატყუებლად შექმნილი ზღაპარი, რომ ბიძინას რესპუბლიკელები დასავლეთისთვის თვალის ასახვევად სჭირდება და, როგორც გაზეთის წინა ნომერში ვწერდი, ხვალ თუ არა ზეგ, ზეგ თუ არა, მაზეგ გაემიჯნება ანტიქართველ რესპებს და კოალიციაში შემავალ ეროვნულ ძალებზე დაყრდნობით შეუდგება ეროვნულ-მართლმადიდებლურ (მან ხომ სამება აღაშენა!) ღირებულებებზე ორიენტირებული ახალი საქართველოს მშენებლობას-თქო.

**ამ მეღლეხვალიობაში, გნებავთ, როდინოზის კვირის შვიდშაბათის მოლოდინში, სამი წელიწადი გავიდა და, ცალკეული პიროვნებების გარდა, კოალიციის წევრებმა მოჩვენებითი ეროვნულობაც დაკარგეს და სინდის-ნამუსიც, ხოლო რესპუბლიკური სიმსივნის მეტასტაზები საქართველოს სხეულს მოედო და უკვე მეოთხე სტადიის კიბოდ გადაიქცა...**

რესპუბლიკელები არიან პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვისა და სხვა მინისტრები, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც ოფიციალურად რესპუბლიკური პარტიის წევრი არ არის, მაგრამ რამ გაჰყო ისინი ერთმანეთისგან, ყველანი ხომ სოროსის ძუძუნაწოვნი არიან?!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რამდენი კადრი ეყოლებათ ადგილობრივ ხელისუფლებებში, სოფელ-ქალაქთა გამგებლებისა თუ მათი მოადგილეების სახით („ნაცებთან“ ერთად, რადგან, აბა, ისინიც რამ გაჰყო?!).

**არის თუ არა ეს „პოლიტიკას გარიდებული“ ბიძინა ივანიშვილის მიერ ხელისუფლების გადაბარება ქართველთა საძულველი რესპუბლიკელებისთვის?** იმ რესპუბლიკელებისთვის, რომლებიც თეთრი სახლის საქართველოს „ობკომიდან“ — აშშ საელჩოდან იმართებიან და მათი ხელისბიჭები არიან. თუმცა, მგონი, ამერიკელების მიერ თავდაცვის მინისტრად დასმული თინა ხიდაშელის ხელისბიჭი უკვე თვითონ ბიძინა ივანიშვილია და არა — პირიქით!

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რა არის — გვანჯ აფაქიძისა („მთვარის მოტაცებიდან“) არ იყოს, „კაცისკაცი რა კაციაო“ და ხელისბიჭის ხელისბიჭი“ რაღა იქნება?

გაუგებარია, რისთვის სჭირდება მილიარდერს ხელისბიჭის ხელისბიჭობა. თანაც მას მშვენივრად უნდა ესმოდეს, რა შეკვეთასაც ასრულებს — ამერიკელები სწორედ ივანიშვილის ხელით ცდილობენ ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე რესპუბლიკელების მოყვანას. **პარლამენტი, უშიშროების საბჭო, თავდაცვის სამინისტრო და სხვა სამინისტროები ისედაც რესპების ხელშია. ცესკოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც „ნაცმოძრაობის“ სტაჟიანი აქტივისტებისგან შედგება, ასევე რესპებისაა...და დღეს ქვეყანას მართავს 3-პროცენტიანი (გაჭირვებით) რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია, ხოლო კოალიცია „ქართული ოცნება“ მის სამარცხვინო რეიტინგზე ასაფარებელი ლეღვის ფოთოლია.**

ასეთი სახელისუფლო რესურსითა და იმ უტიფრობით, რა უტიფრობითაც თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი პირადად ითვლიდა ხმებს საარჩევნო შტაბში, ძნელი მისახვედრი არ არის, ვის დანიშნავს ამერიკის საელჩო 2016 წლის არჩევნებში გამარჯვებულად.

**რესპუბლიკელები სააკაშვილზე გაცილებით ჭკვიანები, ვერაგები და ამიტომ გაცილებით საშიშნი არიან, რადგან ისინი „ნაცებივით“ უხეშად, ნაჯახით კი არ ცდილობენ „4 არას“ დამკვიდრებას, არამედ გველაძუა შეფარვით, განათლების სისტემაში ყოველგვარი ეროვნულის ნელ-ნელა ნიველირებით, ისტორიის ფალსიფიკაციითა და სხვა მრავალი ქვეზუდანობით.**

ამიტომაც არის გახშირებული თავდასხმები ქართული მწერლობის კორიფეებზე, ამავე ოპერიდან არის გოგებაშვილის „დედა ენის“ ევროპული სტანდარტებით „რეფორმირება“, პროგრამიდან ამოიღეს **რაფიელ ერისთავის** გენიალური „სამშობლო ხევსურისა“, დუტუ მეგრელის შედევრი „მე პატარა ქართველი ვარ“ და გენიალური სტალინის „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“. რესპების ბებერი ხლისტის მიერ ლადო ასათიანის შედევრის მკვდრადშობილად გამოცხადება და მსგავსი მკრეხელობა თვით ბოლშევიკებსაც არ გაუვლიათ გონებაში... და, ჰოი, საკვირველება, ამას წინათ ერთმა ახლობელმა მითხრა, ჩემს მეხუთეკლასელ შვილს სკოლაში პაოლო მალდინისა და კახა კალაძის ბიოგრაფიების დაწერა-შედარება დაავალესო... ამისთანა იდიოტობა გაგონილა?!

თქვე კაიდედმამიშვილებო, თუ ჩვენ, უფროს თაობას, „გვირეცხავდნენ ტვინებს“ საბჭოთა სკოლებში აკაკის, ვაჟას, ილიას ბიოგრაფიებით და, თუ ამავე კორიფეებით არ გინდათ შვილების „გამოთაყვანება“, რაღა გადამთიელი პაოლო მალდინი მოგინდათ, ქართველი პაიჭაძეები, მესხები, მეტრეველები, ყიფიანები ცოტა გვყავდა?

კიდევ ერთი ლეგენდა-ზღაპარი ირაკლი ღარიბაშვილზე ისაა, რომელმაც იქიდან აიღო სათავე, რომ ბატონმა პრემიერმა გაბედა და თქვა, საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინებები არ იქნებაო.

თუმცა მანამდე ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღებაში ლომის წილი დაიდო, კანონისა, რომელიც ლგბტ- პედერასტიის დაკანონების საფუძველია...

ღარიბაშვილის ეს განცხადება, რომელიც საამო იყო ყურისთვის, განცხადებადვე დარჩა და პრემიერის მხრიდან არავითარი საკანონმდებლო ინიციატივა არ მოჰყოლია და მთავარი: ის როგორ გავიგოთ, რომ ამ განცხადების ავტორს მთელი მინისტრთა კაბინეტი ჩაჰყავს საგარეჯოში იმ კანდიდატის მხარდასაჭერად, რომელიც უპირველესი მომხრეა საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებისა?

ამის მიუხედავად, არ წყდება ინტელიგენციის ერთი ნაწილის ვაივიში, — არიქა, მხარში ამოვუდგეთ, გადავარჩინოთ ეს ახალგაზრდა კაცი, ნახეთ, რა ქართული მიხვრა-მოხვრა აქვს, როგორი მოწიწებით ემთხვია პატრიარქსო და ა.შ.

**არც მე ვიყავი ირ-** ▶

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ძალიან სულელი უნდა იყოს, რომ საქართველოში ანტიამერიკულ, ანტიდასავლურ პროპაგანდაში მილიონები ჩადოს. ამას ხომ ყოველგვარი „რუსული მილიონების“ გარეშეც შესანიშნავად ახერხებენ ე.წ. პროამერიკელები! მაშ, ფუჭად რისთვის უნდა დახარჯოს პუტინმა ფული?!**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀აკლი ღარიბაშვილის მიმართ აპრიორი უარყოფითად განწყობილი და ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ დაფუძნებული საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ შარშანდელ შეკრებაზე რუსთაველის თეატრში პრემიერს მხარი იმით დავუჭირე, რომ ჩემს სიძეს, ირაკლი ალასანიას, საჯაროდ დავარტყი, რის შემდეგაც ალალი დეიდაშვილები სამუდამოდ დავკარგე!..**

ეგეც იქით იყოს და მათ საყურადღებოდ ვიტყვი, ვისაც ამ წერილის წაკითხვა არ ესიამოვნება:

**სააკაშვილის ზეობის ჟამს ჩემი ძმა, ლევან მხეიძე, კეზერაშვილის მოადგილე და ფინანსური პოლიციის შეფი იყო და იმის მაგივრად, რომ ჩემს კეთილდღეობაზე მეზრუნა, მიშას რადიკალური ოპოზიციონერობა დავიწყე.**

ახლა ივანიშვილ-ღარიბაშვილის ოპოზიციაში ვარ იმიტომ, რომ, როცა საქმე ჩემს სამშობლოს ეხება, სიძესა და ძმას კი არა, შვილს არ დავინდობ!

იმედი მაქვს, ამას მკითხველი თავის ქებაში არ ჩამითვლის და ვფიქრობ, იმის თქმის მორალური უფლება მაქვს, რასაც ახლა ვიტყვი:

**ბატონო პრემიერო, ახლა ცანცარის დრო არ არის, ახლა თავგანწირვის დროა! რაც თქვენი მხრიდან მხოლოდ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ საჯაროდ თქვათ, ვისგან რა ზემოქმედებას განიცდით. აი მაშინ კი თქვენი სტრატეგიული მოკავშირე ქართველი ერი იქნება და ვერავითარი ნატო და ევროკავშირი ვერ მოგვერევა, ანუ ისინი, ვისაც თქვენ და თქვენი თავდაცვის მინისტრი ერთგულებას ეფიცებით, მაგრამ საგარეჯოს არჩევნებიდან გამომდინარე, მეტი არაა ჩემი მტერი, თქვენ ეს გააკეთოთ!**

სიტყვამ მოიტანა და საგარეჯოთივე დავამთავრებ.

**ირმა ინაშვილმა** „ქართულ ოცნებას“ თავის ივანიშვილ-ღარიბაშვილიანად უკვე უწოდა „მიშა 2“ და 8 ნოემბერს, 4 საათზე, რუსთაველის ძეგლთან „პატრიოტთა ალიანსი“ მასობრივ პერმანენტულ საპროტესტო აქციებს იწყებს.

ეს ის ირმა ინაშვილია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შეურაცხმყოფელად ძლივს გაიხსენა, — მგონი, ოდესღაც ინტერვიუ მივეციო. ეს ის „პატრიოტთა ალიანსია“, რომელზეც ჭორვილელმა მილიარდერმა, საერთოდ არ ვიცნობო, ბრძანა...

ჰოდა, რადგან დიდი წვლილი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი, მიგიძღვით „მიშა 2“-ის ხელისუფლებაში მოყვანაში, მოგმართავთ „პატრიოტთა ალიანსს“: როგორც მოიყვანეთ, ისე წაიყვანეთ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებიდან, რადგანაც მათში ქართული, მით უმეტეს, ქართველი კაცის ოცნებისა, დიდი ხანია, აღარაფერი დარჩა!

ქართული ანდაზისა არ იყოს, ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოს!

**ჰოდა, გადაათრიეთ, გაიტანეთ გრენლანდია...**

**დავით მხეიძე**

# ქინძების რევოლუცია, ანუ ვირთხები ხაფანგში და ხაფანგს გარეთ

**„მე მგონია, რომ რაღაც ამყრალდა“, — ასეთი ფრაზა გამოირჩევა ნუგზარ წიკლაურისა და მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრის ფარულ ჩანაწერში და, სავარუდოდ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი იმდენად ცუდ დღეშია, რომ უკვე თავისივე სიმყრალე აწუხებს.**



სიმართლე ითქვას, კი მიკვირდა, მთელი წინა დღეების განმავლობაში რატომ აქტიურობდა ასე ნუგზარ წიკლაური, დღეში რვაჯერ რომ აძლევდა ინტერვიუს და გამუდმებით გაიძახოდა, — „ეს ფარული ჩანაწერები ფე-ეს-ბე-ს ფაბრიკაციაა“-ო.

თურმე იცოდა კაცმა, რომ, რაც მანამდე გვარამია-ბოკერიას გაუვრცელეს, იგივე აქვს თავადაც მიქარული და შიშის ფეთებაშია, რომ აგერ-აგერ მის საუბარსაც გამოაქვეყნებენ, ამიტომაც „პრევენციული“ ზომების მიღება გადაწყვიტა და წინასწარ აცხადებდა ჩანაწერების ფაბრიკაციის თაობაზე.

ზოგადად, ამ საუბრების შინაარსიდან რაც გამომდინარეობს და როგორც, ეს ყველამ გადსარევად იცის. მე, უბრალოდ, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ბოლო დროს საქართველოში ხელოვნურად გააქტიურებულ იმ თემაზე, რომელსაც ე.წ. რუსული პროპაგანდა ჰქვია.

**მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრის დამკვიდრების მოსურნეებს, თითქოს ჩვენს ქვეყანაში მილიონებით ფინანსდება მედიასაშუალებები, რათა მათ რუსეთის სასარგებლო პროპაგანდა აწარმოონ, არაერთხელ გავეცით პასუხი და არგუმენტირებულად დავუსაბუთეთ ასეთი აზრის აბსურდულობა, ისინი მაინც დაჟინებით ცდილობენ „ამერიკული კრახი“ საქართველოში „წარმატებულ რუსულ პროპაგანდას“ დააბრალონ.**

აქ აღარ გავიმეორებთ იმ არგუმენტებს, რომლებიც ნათლად მეტყველებს, რომ რაიმე სერიოზულ „რუსულ პროპაგანდაზე“ საქართველოში საუბარი სასაცილოა...

მთავარი კითხვა ის არის, რომ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ამერიკასთან და ამერიკულ კურსთან ასეთი ამაზრზენი ადამიანები, ასეთი ამაზრზენი პერსონები და ამდენად ამაზრზენი ფაქტები და მოვლენები ასოცირდება, რაღატომ უკვირს მავანს ამერიკული კურსის ასეთი აშკარა კრახი და, შესაბამისად, რუსული მიმართულების მომხრეთა მკვეთრი ზრდა?!

როგორ გგონიათ, რას იფიქრებს ჩვეულებრივი ქართველი მოქალაქე, როდესაც გავრცელებული საუბრების შემდეგ, სადაც მის ქვეყანას ომში და ქაოსში გახვევას უპირებენ, გამოდის ნიკა გვარამია და ადასტურებს ჩანაწერის სისწორეს, ასევე ადასტურებს მას **გიგა ბოკერიაც** და თვით **მიხელ სააკაშვილიც**, ანუ საუბრის ყველა მონაწილე ამბობს, — კი, ჩვენ ნამდვილად ვისაუბრეთო, ხოლო ამერიკის შეერთებული შტაბების ელჩი საქართველოში, ბატონი **იან კელი** უტიფრად აცხადებს: „ეს საუბრები ფალსიფიცირებულია“-ო.

სწორედ კელის ამ უპასუხისმგებლო განცხადების შემდეგ „აბრუნებენ ფირფიტას“ საუბრების მონაწილენი და უკვე იწყებენ ამ საუბრების უტიფარ უარყოფას. ყოველივე ამის შემდეგ **განა გასაკვირია, რომ რიგით ქართველს უჩნდება პროტესტი და ზიზღი ამ ადამიანების მიმართაც და იმ ძალის, ქვეყნის თუ „პოლიტიკური მეგობრის“ მიმართაც, რომელსაც მის ქვეყანაში ეს ამაზრზენი ადამიანები წარმოადგენენ?“**

**პირდაპირ გეტყვით: რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ძალიან სულელი უნდა იყოს, რომ საქართველოში ანტიამერიკულ, ანტიდასავლურ პროპაგანდაში მილიონები ჩადოს.**

**ამას ხომ ყოველგვარი „რუსული მილიონების“ გარეშეც შესანიშნავად ახერხებენ ე.წ. პროამერიკელები?! მაშ, ფუჭად რისთვის უნდა დახარჯოს პუტინმა ფული?!**

„მოაწყვეთ ბარიკადები“, „დაღვარეთ სისხლი“, „ჩამოიყვანეთ ყოფილი სპეცნაზელები“, „საჭიროა, ვინმე მოკვდეს, რომ ხალხი გაბრაზდეს“ და სხვა მსგავსი ფრაზების მოსმენის შემდეგ განა ვინმეს სჭირდება „პუტინის მილიონები“ იმისათვის, რომ ეს ყოვლად უგვანო, უტიფარი მანიაკები შეზიზღდეს მათი უცხოური „ზურგიანად“?!

ნამდვილად ვერ გეტყვით, ხვალ და ზეგ მიხეილ სააკაშვილის კიდევ ვისთან ნასაუბრები რა დოზის სისულელეები გავრცელდება ინტერნეტით, მაგრამ ის, რაც უკვე გავრცელდა, აშკარად საკმარისია სერიოზული სისხლის სამართლის საქმის წამოსაწყებად.

„ნაცების“ ცნობილი მეთოდი, როდესაც მათ ირაკლი ბათიაშვილს ბრალად „ამბოხის ინტელქტუალური მხარდამჭერა“ წაუყენეს და მისი დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ შეიტანეს ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

თუმცა ფაქტია, რომ, თუკი ძიება სერიოზულად იწარმოებს, ფარული ჩანაწერების გარდა, სხვა მტკიცებულებათა მოპოვებაც გახდება შესაძლებელი.

ჯერჯერობით კი, ალბათ, მოგვიწევს ცქერა, როგორ მივლენ ხოლმე „მოდულის“ შენობაში **გივი თარგამაძე, ნუგზარ წიკლაური, გიგა ბოკერია, სოფო ნიჟარაძე** და სხვები და როგორ გამოვლენ იქიდან ვითომ აუღელევებელი და გაღიმებული სახეებით...

**სინამდვილეში, ყველაფერი მაინც იქით მიდის, რომ საბოლოოდ ვიღაც მართლაც აბამს ვირთხებს ხაფანგში, ნელა, მაგრამ დაჟინებით.**

როდის ჩაიკეტება ხაფანგი, ამის დანამდვილებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ მისი მოქმედების პირობებში ჩვენი ბედკრული ქვეყნის მოქალაქეებს, ფაქტია, კარგი გასართობი არ მოაკლდებათ.

ამის გარანტი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ყოფილი შეურაცხადი პრეზიდენტია, რომელიც ამ სატელეფონო საუბრებისას უამრავ, მისთვის დამახასიათებელ იდიოტურად სასაცილო ფრაზას იყენებს. მაგალითად: „პორო ვნახე“, „ქინძი ვიყო“, „ნოდარ მელაძე იქნება ფილდ-კომანდერი“ და სხვა მრავალი.

**სიტყვამ მოიტანა და შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ ამ ფარულ საუბრებში ხაფანგში უშუალოდ მოყოლილ ვირთხებთან, ანუ ექსპრეზიდენტის უშუალო თანამოსაუბრეებთან ერთად, ბევრი ხაფანგსგარეთა ვირთხაც აუცილებლად იქნება ნახსენები.**

ამის ყველაზე ნათელი მაგალითი სწორედ ვანო მერაბიშვილის ჯიბის „ჟურნალისტი“ და ერთ-ერთი ყველაზე უტიფარი ადამიანი **ნოდარ მელაძეა.**

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მასთან სააკაშვილის საუბარი არ გამოქვეყნებულა (შესაძლებელია აწი გამოქვეყნდეს!), ფაქტია, ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ მელაძეზე დიდ იმედებს ამყარებს. აქ შეგვიძლია **სოფო ნიჟარაძის** ერთგვარი ეჭვიანობაც კი დავიჭიროთ. დაუკვირდით, საუბრის იმ მონაკვეთში, სადაც მიხეილ სააკაშვილი ნოდარ მელაძით მოხიბლულია, სოფიკო გაღიზიანებულად პასუხობს: „ეგ ყველაზე მშიშარაა, მაგან რა უნდა გაგიკეთოს, იმდენად ჩასვრილია, რომ შორიდანაც კი სუნი ასდის“.

მიხედავად ამისა, მიშა მაინც „ნაცების“ მთავარ „ჩეგევარად“ სწორედ ნოდარ მელაძეს ასახელებს და ბარიკადების მთავარ „მედროშედაც“ აყენებს.

**მე თუ მკითხავთ, ეს, როგორც ჩანს, სააკაშვილის ახალი ავანტიურისტული იარაღია.**

**აბა, წარმოიდგინეთ: გაშმაგებული უტევთ ბარიკადს, იერიშით არბიხართ მასზე და იქიდან უცებ „მრისხანედ წამოიმართება“ ნოდარ მელაძე და გიყვირით: „არ დაგნებდები!“.**

**ალალად თქვით, ხომ ჩაიკეცებით სიცილით და ამ ბარიკადის ამღები ხართ ამის მერე?**

**ასე რომ, ფრთხილად „ნაცების“ მზაკვრობასთან, ქართველებო!**

**ძალიან ფრთხილად! არ არის გამორიცხული სწორედ „ვარდების რევოლუციის“ 12 წლის თავზე მათ უკვე ქინძების რევოლუცია წამოიწყონ.**

**ბაკურ სვანიძე**

## პოლონეთის პრეზიდენტი: უკრაინამ ნებაყოფლობით უნდა დააბრუნოს პოლონური მიწები

**„მოვუწოდებ პოლონეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, მზად იყვნენ ყოფილი პოლონური მიწების დაბრუნებისთვის საბრძოლველად, იმ ტერიტორიის, სადაც ჩვენს თანამემამულეებს, ახლა უკვე უკრაინის ახალი ხელისუფლება ავიწროებს და ჩაგრავს. თუ უკრაინა სსრკ-ის ქმედებებს გმობს, ის კი ამას აკეთებს, მაშინ ამ სახელმწიფომ ნებაყოფლობით უნდა დააბრუნოს პოლონური მიწები, რომლებიც პოლონეთს 1939 წლამდე ეკუთვნოდა. ჩვენ უკვე ვატარებთ გარკვეულ სამუშაოს პოლესიეს, გალიციისა და ვოლინის დასაბრუნებლად. პოლონეთის ყველა მცხოვრები მზად უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიის დასაბრუნებლად, სადაც უამრავი ეთნიკური პოლონელი ცხოვრობს და მათ ჩვენი დაცვა სჭირდებათ“,** — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ სეიმში გამოსვლისას.

დღევანდელი მდგომარეობით, 600 პოლონელს სურს, დაიბრუნოს კუთვნილი მიწა უკრაინისგან. რიგშია 100 000 ადამიანი, რომელთაც შეუძლიათ, დაამტკიცონ, რომ ისინი მიტაცებულ ტერიტორიაზე არსებული მიწებისა და სახლების მფლობელების შთამომავლები არიან.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჟვანია-გოგორიშვილ-სააკაშვილის ტრიო არჩევნებს აყალბებდა. ამ ყველაფერს კი „სამართლიანად“ აფასებდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელსაც ჯერ უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი — ხიდაშელი და, ბუნებრივია, გაყალბების მეთოდები შესანიშნავად შეითვისეს.**



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# რესპუბლიკელებმა საგარეჯოში არჩევნები ივანიშვილის მიერ გაცემული განკარგულებით მოიგეს

**გასული კვირა კვლავ ხმაურიანი იყო და კვლავ „რუსთავი 2“ -ის მიზეზით, ოღონდ პროცესში ამჯერად ოდესის გუბერნატორი ჩაერია, რასაც საქართველოში „ნაცების“ ლიდერისა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორის დაკითხვა მოჰყვა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაპრეზიდენტალ სააკაშვილს მოქალაქეობა ჩამოართვას.**
**პარალელურად კახეთში, საგარეჯოს საარჩევნო ოლქში, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლების მტკიცებით, შუალედური არჩევნები გაყალბდა და დღეს ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ორი რესპუბლიკელი მინისტრის — თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის — მოხსნას მოითხოვს.**
**საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

**— გასულ კვირას საქართველო „რუსთავი 2“ -ის გარშემო ატეხილ ხმაურს ისმენდა. ამას ფარული ჩანაწერების გავრცელებაც მოჰყვა, სადაც სააკაშვილი თანაპარტიელებს დირექტივებს აძლევდა. ხალხი, რომელიც სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა, დღეს ისევ „ნაციონალებზე“ კარგავს უამრავ დროს. ღირს თუ არა ხელისუფლებას დროის ფუჭად კარგვა „ნაცმოძრაობის“ გამო, როდესაც ქვეყანაში უამრავი პრობლემაა?**

— დიდი ხანია, „რუსთავი 2“ -ზე ვლაპარაკობთ და ასე, ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება... ამ ყველაფრისთვის წერტილის დასმა ხელისუფლებას შეეძლო, მაგრამ მომენტი ხელიდან გაუშვა. „რუსთავი 2“ სამი წლის წინათ უნდა გაეჩერებინათ. ხელისუფლებამ ვერ გაიგო, რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობა“. ის არის ანტინაციონალური და ანტიჰუმანური ორგანიზაცია, „რუსთავი 2“ კი — ამ ორგანიზაციის რუპორი, ამიტომ ის საზოგადოებისგან მოსაკვეთია. ეს რომ 2012 წელს მომხდარიყო, ახლა ამ პროცესების მომსწრენი არ ვიქნებოდით.

**— სააკაშვილის, გიგა ბოკერიასა და ნიკა გვარამიას სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გავრცელების შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ყოფილ პრეზიდენტს მოქალაქეობა ჩამოართვას. სწორია ეს გადაწყვეტილება? უკეთესი არ იქნებოდა, სააკაშვილი ქართული კანონმდებლობით გაესამართლებინათ?**

— ძნელია თქმა, რომელი ჯობია. საინტერესოა, რატომ გაახსენდა იუსტიციის მინისტრს დღეს ეს ამბავი. წულუკიანი ამბობს, რომ უფრო ადრე ვფიქრობდით ამის გაკეთებას, მაგრამ უკრაინამ დოკუმენტები არ გამოგზავნაო. ეს უფრო აღმაშფოთებელია, ვიდრე ის, ჩამოერთმევა თუ არა სააკაშვილს მოქალაქეობა. **უკრაინა საქართველოს ხელისუფლებას არაფრად აგდებს.**

სააკაშვილი საშიში არავისთვის აღარ არის. სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევით ხელისუფლება მოსახლეობის დიდ ნაწილს, უბრალოდ, კოჭს უგორებს. მოქალაქეობის ჩამორთმევა სააკაშვილისთვის არაფერია. ეს მისი დასჯა არ არის.

მივუბრუნდეთ უკრაინის მხრიდან ჩვენი ქვეყნის უპატივცემულობის საკითხს. **ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მთავრობა უკრაინის მთავრობას ეკითხებოდა, რატომ შეიფარეთ ქართველი დამნაშავეებიო, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. საქართველოს წყენა მარტივად უნდა გამოეხატა. ელჩი მიხეილ უკლება სასწრაფოდ უნდა გამოეწვია და საქართველოს საელჩოს დონე მესამე მდივნამდე უნდა დაეყვანა. ის, რაც უკრაინამ საქართველოს წინაშე ჩაიდინა, დიპლომატიური სკანდალია. დარწმუნებული ვარ, მიხეილ უკლება სააკაშვილთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებასთან, ის ხომ მათი კაცია?!**

**— ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ „ჭარბი ნდობით“ სარგებლობს და მომავალ არჩევნებში კვლავ გაიმარჯვებს...**

— **ივანიშვილისადმი ნდობა ისეთივეა, როგორიც „ნაციონალების“ მიმართ აქვს ხალხს. ივანიშვილმა ცუდად იმუშავა, მისი ყოველი გამოსვლა ანტიჰუმანური და ანტიეროვნულია. ის ვერც ხვდება, როგორ შეურაცხყოფს მოსახლეობას. ტყუილს ჯიქურ ამბობს, თეთრზე შავს გვეუბნება და გვაიქულებს, დავიჯეროთ.**

სააკაშვილის მოშორება არჩევნების გზით შესაძლებელი იყო, მაგრამ ივანიშვილს ვერ მოვიშორებთ, რადგან მან ყველაფერი „ყმაწვილებს“ ჩააბარა, განზე გადგა და ქურდულ-მაფიოზური სისტემა შექმნა, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არ არსებობს. **ივანიშვილი ამბობს, რომ რიგითი მოქალაქეა, მაშ, რატომ მიდიან მასთან ჟურნალისტები? რატომ წერენ აკადემიკოსები წერილს და აბარებენ ანგარიშს, რა გაკეთდა გასულ წელს? რატომ ეკითხებიან ჭკუას მთავრობის წევრები? საზოგადოება მას**

**«ნატო არ ჩაერევა ამ არეულობაში, მით უმეტეს, ამ ხელისუფლების სასარგებლოდ. არც ამერიკა ჩაერევა, რომელმაც «ისლამური სახელმწიფო» შექმნა და დღესაც იარაღით ამარაგებს»**

**რატომ მიმართავს, როგორც მმართველს? სწორედ, ამიტომ სჯერა ივანიშვილს, რომ „ჭარბი ნდობით“ სარგებლობს. ივანიშვილის განათლება ძალიან დაბალ დონეზეა. როცა მას ჭკუას ეკითხებიან, თავი ღმერთი ჰგონია, ეს ასეა, მისიც და ერის სამწუხაროდ.** ივანიშვილის მმართველობა დემოკრატიული არ არის, საქართველოში არის კლანური, ქურდული მმართველობა.

**— საქართველოდან 700 კილომეტრში ომია...**

**«ივანიშვილის განათლება ძალიან დაბალ დონეზეა. როცა მას ჭკუას ეკითხებიან, თავი ღმერთი ჰგონია, ეს ასეა, მისი და ერის სამწუხაროდ»**

— მართალია, 700 კილომეტრში ომია — რუსეთი სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს ბომბავს და საკმაოდ წარმატებითაც. სირიის სამთავრობო ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და მათ ირანელები, ქურთები, „ჰეზბოლა“ ეხმარებიან. არის ნიშნები, რომ სირიიდან ტერორისტებს მალე განდევნიან. რუსეთმა ამ დამომბვებით დიდი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, ის ახლო აღმოსავლეთში დაბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგია, მას ჭკუას მაინც ეკითხებიან.

რუსეთს შორს მიმავალი გეგმები აქვს — თუ გაიმარჯვებს, რუსეთი-ირანი-„ჰეზბოლა“-სირია, ეს ის ძალაა სამომავლოდ, რომელიც ანტივაჰაბიტური და ანტისალაფიტური მოძრაობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამას გარდა, რუსეთი აღნიშნულ რეგიონში პირველ ძალად ჩამოყალიბდება და ამერიკა მეორე პლანზე გადავა.

საქართველოში გამოქვეყნდა ჩანაწერები სააკაშვილისა და „ნაციონალების“ სატელეფონო საუბრებისა, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება, რომ გამოქვეყნდა სხვა მასალებიც, რომლებშიც სააკაშვილის, კეზერაშვილისა და უკრაინელი მაღალჩინოსნის — გერაშენკოს საუბარია. ამ ადამიანებს უშუალო ურთიერთობა აქვთ ჯონ მაკკეინთან. საუბარობენ იმაზე, როგორ უნდა გადასხან სირიაში უკრაინელი „ბოევიკები“ და იქ ამერიკული თვითმფინავები ჩამოყარონ, რათა ამერიკამ ეს ყველაფერი რუსეთს დააბრალოს. წარმოგიდგენიათ, რამხელა ავანტიურაში მონაწილეობს სააკაშვილი?!

**— რუსეთი წინ მიიწევს და, სავარაუდოდ, ამ ბრძოლიდან, როგორც პოლიტოლოგები ამბობთ, გამარჯვებული გამოვა. ასეთ ვითარებაში საქართველოს პირველი კანონმდებელი დავით უსუფაშვილი ნატოს გენერალურ მდივანს — იენს სტოლტენბერგს ეუბნება: „როცა თქვენ ჩვენთან ხართ, მშვიდად ვართ, ან მიგვიღეთ ნატოში, ან დარჩით ჩვენთან“...**

— უსუფაშვილი იყო კლერკი, პატარა ბიჭი, რომელიც პოლიტიკურად არ გაზრდილა, მისი უმწიფრობა საქართველოზე უარყოფითად მოქმედებს. ასეთი ადამიანების ბედი ხალხის გადასაწყვეტია. უსუფაშვილსა და მის ცოლს ჰგონიათ, რომ ამერიკელებზე მეტი ამერიკელები არიან და ამერიკელებზე მეტად უნდათ ნატო. უსუფაშვილი ამ სიტყვებით საქართველოს ცუდ საქმეს უკეთებს. საერთოდ, საქართველს ხელისუფლება მუშაობს ცუდად. **როდესაც ხედავ, რომ რუსეთი კასპიის ზღვის აკვატორიიდან სირიას ბომბავს და საქართველოს ტერიტორიაზე მაინც აკეთებ ნატოს საწვრთნელ ბაზას, აზროვნებასთან ცუდად გაქვს საქმე. რუსეთმა დაამტკიცა, რომ დაჟანგული ტანკები არ ჰყავს. ამ ქვეყანას შეუძლია, წამში გაანადგუროს საქართველო, თუკი ამ ზომამდე მივიყვანთ.**

**— არის ამის ნიშნები?**

— არის ამის ნიშნები, რადგან თინა ხიდაშელი წავიდა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის რაღაც დანადგარები იყიდა, ნატოს საწვთნელი ბაზაც გააკეთეს. საქართველოს ხელისუფლებამ სამი წლის განმავლობაში არ გამოიჩინა ინიციატივა, რუსეთთან ურთიერთობა მოეგვარებინა, რადგან ხან სააკაშვილის ეშინოდა, ხან — ამერიკის.

ახლო აღმოსავლეთში ვითარება ისეა დაძაბული, რომ არავინ იცის, „ისლამური სახალიფოს“ წევრები სად წავლენ. იქ ხომ ქართველი „ბოევიკებიც“ არიან, რომლებიც საქართველოში დაბრუნდებიან. ასეთი 500 ადამიანია.

ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე დღის წინათ დსთ-ს ქვეყნების უშიშროების სამსახურების უფროსები შეკრიბა. შეხვედრის დასასრულს **რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსმა ალექსანდრე ბორტნიკოვმა საფრთხეებზე ისაუბრა და წარმოადგინა სია, რომელი ქვეყნიდან რამდენი „ბოევიკი“ იბრძვის სირიაში. საქართველო მეორე ადგილზე იყო, თანაც, „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელთა შორის ბევრი ქართველია.**

მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას წლების განმავლობაში ექსტრემისტ ისლამისტებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ამაზე ამერიკელი მკვლევარი წერს. წიგნში აღწერილია, რამდენჯერ ჩატარდა ექსტრემისტი ისლამისტების დახურული შეხვედრა და რამდენი ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის, „ალ ქაიდას“. წიგნში ასევე ნახსენებია შეხვედრების ორგანიზატორის გვარი — **ლორთქიფანიძე,** რომელიც ამჟამად უკრაინაში სააკაშვილთან ერთად იმყოფება. ის ყოფილი პოლიციელია. როდესაც ქვეყანას ასეთი კავშირები აქვს და კაცი, რომელიც ახლა უკრაინაში იმყოფება, პირდაპირ კავშირშია ამ ყველაფერთან, რატომ არავინ ფიქრობს, რომ სირიიდან წამოსული „ბოევიკები“ არ აღადგენენ ძველ კავშირებს. საინტერესოა, სააკაშვილი გვარამიას რომ ეუბნებოდა, „ბოევიკები“ მოიხმეთო, ვის გულისხმობდა.

**— ასეთ მძიმე ვითარებაში ამჟამინდელ ხელისუფლებას პროცესების მართვა შეუძლია?**

— არა. **ხელისუფლება, რომელსაც ნატოს იმედი აქვს, ბრიყვია.** ნატო არ ჩაერევა ამ არეულობაში, მით უმეტეს, ამ ხელისუფლების სასარგებლოდ. არც ამერიკა ჩაერევა, რომელმაც „ისლამური სახელმწიფო“ შექმნა და დღესაც იარაღით ამარაგებს.

**— „ქართულმა ოცნებამ“ შუალედური არჩევნები გააყალბა, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი რესპუბლიკელები, კერძოდ, თავდაცვის მინისტრი. „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერ ირმა ინაშვილს არჩევნები ბოლო წუთს წააგებინეს...**

— არ მიკვირს ის, რაც ამ არჩევნებში მოხდა. საქართველოში ერთადერთი დემოკრატიული არჩევნები კომუნისტებმა ჩაატარეს. მას შედეგ, არც ერთი არჩევნები სამართლიანი არ ყოფილა. 1995 წლის შემდეგ ამ პროცესებს „მწვანეთა პარტია“ მართავდა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა. **ჟვანია-გოგორიშვილ-სააკაშვილის ტრიო არჩევნებს აყალბებდა. ამ ყველაფერს კი „სამართლიანად“ აფასებდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელსაც ჯერ უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი — ხიდაშელი და, ბუნებრივია, გაყალბების მეთოდები შესანიშნავად შეითვისეს.**

ხელისუფლება, რომელსაც ბერკეტები აქვს, ყოველთვის შეეცდება არჩევნების გაყალბებას, მოსახლეობა კი ამას შეეგუება. რესპუბლიკელებმა საგარეჯოში არჩევნები ივანიშვილის მიერ გაცემული განკარგულებით მოიგეს.

**— სოციალურ ქსელში კვლავ გავრცელდა ინფორმაცია, სადაც ჯონ მაკკეინი სააკაშვილს ამშვიდებს, რომ „რუსთავი2“-ს არაფერი ემუქრება და მის ბიჭებს ხელს ვერავინ ახლებს. მეორე დღესვე სასამართლომ გადადო პროცესი — „რუსთავი 2“-ში „დაუყოვნებლივი აღსრულების პროცესი“ არ მოხდება, ანუ ქიბარ ხალვაში, სასამართლო რომც მოიგოს, „რუსთავი 2“-ს მაინც ვერ დაიბრუნებს.**

— ხელისუფლება ისეთი უსუსური, უმწიფარი, ქვეშაფსია და მშიშარაა, რომ დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის უნარი არ აქვს. მათ ღვთის რისხვასავით ეშინიათ ამერიკისა (მაკკეინის სახით), მაკკეინის, რომელიც არაფერს წარმოადგენს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშისთვის „რუსთავი 2“-ის გადაცემა ჩემ თვალწინ მოხდაო. ხალვაშის ხელში „რუსთავი 2“ 2004 წელს გადავიდა. დავსვათ შეკითხვა – რა უნდოდა ივანიშვილს იქ, სადაც ერთი პიროვნება მეორეს ტელევიზიას ართმევდა? ვინ იყო ივანიშვილი — პროკურორი, ადვოკატი თუ კანონიერი ქურდი? საინტერესოა, რატომ არ დაინტერესდა ამ განცხადებით სასამართლო? რატომ არ ეკითხებიან ივანიშვილს, რა მოხდა მაშინ, რა აქტი განხორციელდა?“



თემურ ქორიძე:

# ივანიშვილის ბიძაშვილს შევუთვალე, — იზოლაციაში მოაქციეთ, ვიდრე დაუძახია, ნაპოლეონი ვარო

**საქართველოს ყოფილმა პრემიერმა, აწ უკვე მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა ქართველ საზოგადოებას განუცხადა, — „ჭარბი ნდობით“ ვსარგებლობო. მართალია, ხალხს ერჩივნა, ეს თვითონვე ეთქვა ივანიშვილისთვის, მაგრამ მან, როგორც ყოველთვის, დაგვასწრო და გვითხრა, რომ ჩვენ მას ვენდობით და თანაც „ჭარბად“. ვესაუბრებით უზენაესი საბჭოს ყოფილ წევრს, ფილოლოგ თემურ ქორიძეს.**

**— ბატონო თემურ, ქართველი საზოგადოება ივანიშვილის შეცდომებს იმკის. მან კიდევ ერთხელ „აღიარა“ შეცდომა და განაცხადა, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევაში შევცდიო. ყველას კარგად გვახსოვს, რომ თავის დროზე ის სააკაშვილს უჭერდა მხარს და შეცდა... ხალხს მისი ყველა შეცდომა ახსოვს, მაგრამ ივანიშვილი მაინც დარწმუნებულია, რომ „ჭარბი ნდობა“ აქვს...**

— ივანიშვილი მტკივნეული თემაა... ქართველი ხალხი ისეა შეჭირვებული, რომ ხავსს ეჭიდება და, თუკი ვინმე სასიკეთოს დაჰპირდება, სჯერა, მაგრამ ბევრი იმედგაცრუება ვნახეთ.

ბიძინა ივანიშვილი თავისი საჯარო გამოსვლებით ყოველთვის გვაოცებს, მისი ბოლო გამოსვლა კი აღმაშფოთებელი იყო. მან ხუთჯერ ახსენა შვეიცარია და თქვა, — ხალხს უნდოდა, საქართველო ოთხ წელიწადში შვეიცარიად ქცეულიყოო. **ნუთუ ივანიშვილი ფიქრობს, რომ ვინმე ამ ქვეყანაში ისეთი სულელია, რომ შვეიცარიის აშენებას ელის? თუ მართლაც ასეა, მაშინ მისგან კატეგორიულად მოვითხოვ, დაასახელოს წყარო, დადოს ფაქტი — სად, როდის და ვინ მოითხოვა საქართველო შვეიცარიად ქცეულიყო.** საქართველო სულელებით დასახლებული ქვეყანა არ არის, როგორც ივანიშვილს წარმოუდგენია. არავის უნდა შვეიცარია, არც დუბაი, ეს დამამცირებელია საქართველოს ისტორიული ყოფისთვის. ჩვენ ვითხოვთ, ნორმალური, კეთილმოწყობილი საქართველოს აშენებას, რასაც დრო სჭირდება და ქართველმა ეს ძალიან კარგად იცის. ჩვენი გაჭირვება არის ის, რომ პოლიტიკოსად წოდებული ადამიანები ხშირად გვატყუებენ, რაც, როგორც ჩანს, თავიანთი არასრულფასოვნების განკურნებაში ეხმარებათ. გამონაკლისი არც ბიძინა ივანიშვილია, ხალხის მოტყუებით ისიც ტკბება.

მოგეხსენებათ, ივანიშვილს უყვარს თავისი სიყრმის გახსენება და ხშირად ლაპარაკობს, რა სიღატაკე აქვს გამოვლილი. ბუნებრივია, უკიდურესი სიღატაკიდან მილიარდებამდე ასვლის პროცესში ადამიანის ფსიქიკა ძალიან ზარალდება, ძნელია ამის ღირსეულად მიღება და, **როგორც ჩანს, ბიძინას ფსიქიკა სერიოზულად არის შერყეული. პოლარული ხტომა ერთი მდგომარეობიდან მეორეში ვერ აიტანა, ამიტომ შეკითხვას – რისთვის სჭირდება ივანიშვილს ეს ყველაფერი, ერთი პასუხი აქვს — ივანიშვილს ფსიქიკური აშლილობა აქვს.** ამას ყოველგვარი ცინიკური დამოკიდებულების გარეშე ვამბობ, ეს სამწუხარო რეალობაა და უბედურია ის ადამიანი, რომელიც ამას ვერ ამჩნევს, რადგან უკვე დაგროვდა უამრავი ფაქტი იმისა, რომ მოტყუებულები ვართ. ამის შემდეგ შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს.

**— ივანიშვილი დანაშაულს აღიარებს და კიდევ ერთ საარჩევნო ვადას ითხოვს...**

— არა, ივანიშვილი დანაშაულს არ აღიარებს, მას მიაჩნია, რომ წამოსცდა, რომ გულუბრყვილოა, კარგი ადამიანია და ამიტომ ვერ შეამჩნია სააკაშვილში ცუდი თვისებები. არადა, იმიტომ ვერ შეამჩნია, რომ გაუნათლებელი იყო, ვერ მიხვდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სააკაშვილის გაპრეზიდენტება.

გავიხსენებ ივანიშვილის ერთ-ერთი ინტერვიუს, რომელშიც ის ამბობს, **ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშისთვის „რუსთავი 2“-ის გადაცემა ჩემ თვალწინ მოხდაო. ხალვაშის ხელში „რუსთავი 2“ 2004 წელს გადავიდა. დავსვათ შეკითხვა – რა უნდოდა ივანიშვილს იქ, სადაც ერთი პიროვნება მეორეს ტელევიზიას ართმევდა? ვინ იყო ივანიშვილი – პროკურორი, ადვოკატი თუ კანონიერი ქურდი? საინტერესოა, რატომ არ დაინტერესდა ამ განცხადებით სასამართლო? რატომ არ ეკითხებიან ივანიშვილს, რა მოხდა მაშინ, რა აქტი განხორციელდა?**

ქართველები ჩვენს ბედსა და მდგომარეობას ზედაპირულად ვუყურებთ, სხვა შემთხვევაში, ივანიშვილის ასეთ აღიარებებს ყურადღებას მივაქცევდით, ნუთუ ასეთი ფაქტები ბევრ რამეზე არ მეტყველებს? **ნუთუ ეს არ გვაჩვენებს, რომ ივანიშვილი ყველგან და ყოველთვის ტყუის? ბიძინა ივანიშვილის მთელი ბიოგრაფია სიცრუეზეა დამყარებული და ეს ყველაფერი იმისთვის სჭირდება, რომ „ნარცისიზმით“ არის შეპყრობილი და განდიდების მანია სჭირს.** თუ ჩემი სიტყვის არ გჯერათ, გაიხსენეთ მისი სიტყვები: **„სწორება ივანიშვილებზე“, „მე ყველაზე ნიჭიერი ვარ“, „მე კრეატიული ვარ“, „მე ყველაფერს ვაკონტროლებ“...** მისი გამონათქვამები უბრალო ფსიქოლოგს რომ წააკითხო, დასვამს დიაგნოზს — „ივანიშვილი შეურაცხადია“. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართველი კაცი ამ ერთი შეურაცხადის გამო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ივანიშვილის ბიძაშვილს შევუთვალე, — იზოლაციაში მოაქციეთ, ვიდრე დაუძახია, ნაპოლეონი ვარო.



**— რა უნდა ვქნათ, რომ „შეურაცხადისგან“ გავთავისუფლდეთ? იქნებ კიდევ ერთი საარჩევნო ვადა მივცეთ და შეცდომების გამოსწორება ვაცალოთ?**

— ხელისუფლებას უჩვენოდაც აქვს ბერკეტი, რომ არჩევნები მოიგოს. მეორე ვადით არჩევისას ხელისუფლება აკრძალულ ილეთებს იყენებს, ეს ილეთები არ ყვირის, რადგან ბიულეტენებს არ ყრიან, არ იპარავენ. სახელმწიფო აპარატი შეესევა მოსახლეობას, ეს პროცესი დაწყებულია, მოსახლეობაზე ზეწოლა, ზემოქმედება უკვე მიმდინარეობს. 2016 წლის არჩევნებში უპირატესობა ამჟამინდელ ხელისუფლებას ექნება.

პროგნოზების გაკეთება არ გვიჭირს, რადგან მიუკერძოებლები ვართ, პირუთვნელი დამკვირვებლები საქართველოში მიმდინარე პროცესებისა. 2016 წელს არ იქნება „ქართული ოცნების“ ტრიუმფალური გამარჯვება, მაგრამ უპირატესობას მოიპოვებს, თუ მანამდე კიდევ რაიმე სიგიჟეს არ მოაწერეს ხელი. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ, **თუ რადიკალური ცვლილებები არ განახორციელეს და ხელშესახები არ გახდა პროგრესი, თანაც — ყველასთვის, მაშინ განრისხებული ხალხი ქუჩაში გამოვა და პირველი მსხვერპლი ივანიშვილის შუშის სასახლე იქნება, მას მიჰყვებიან უმაქნისი მინისტრები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ მათი ინტერესი ხელისუფლებაში ყოფნისა მხოლოდ ფულია, ფული და ფული.**

ძალიან ხარბია ჩვენი ხელისუფლება. გაიხსენეთ ზვიად გამსახურდიას მორალი: წარმოუდგენელ მკრეხელობად ითვლებოდა პრემიებისა და ხელფასებზე საუბარი. იონა მეუნარგია შენიშნავს ერთგან, თურმე უცხოელი სტუმრები ჩამოსულან გურიაში და უთქვამთ: „ღარიბ სამთავროს მთავარიც ღარიბი ჰყავსო“. თუკი საზოგადოებაში რაიმე აღშფოთებას იწვევს, ხელისუფალთა გაუმაძღრობაა, უფსკრული, რომელიც მთავრობამ შექმნა, ისინი ხალხს გაურბიან, ცოცხალი, შინაარსიანი შეხვედრების ეშინიათ.

დღეს ქვეყანაში არნახული ნეპოტიზმია, რომელიც ივანიშვილმა წაახალისა, როდესაც თქვა, რომ საქართველოში ყველა ნათესავია, ხოლო პრემიერმა ღარიბაშვილმა დაგვცინა, როცა გვითხრა, ცოლის ნათესავი ნათესავი არ არისო. ამ ყველაფერს ჩვენი ხალხი ვერ მოითმენს, ამ წუთას ემოციის გამოხატვაში ხალხს ხელს „ნაციონალური მოძრაობა“ უშლის, მისი არსებობა. ერთადერთი, ვისაც ისინი გულში ჩახუტებული ჰყავდა და ჰყავს, ივანიშვილია.

**— ბატონო თემურ, თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის სხვაობას ვერ ხედავთ.**

— ერთი გონივრული სიბრძნე მახსენდება: „არავინაა უფრო სასტიკი, ვიდრე ყოფილი მეგობარი“. უახლოესი მეგობრები იყვნენ სააკაშვილი და ივანიშვილი. თქვენ ვერსად ნახავთ ივანიშვილის ისეთ გამონათქვამებს სააკაშვილზე, როგორიც ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ. 1990-იანი წლების პრესას რომ გადახედოთ, ნახავთ, რა სიძულვილს აფრქვევდნენ ზვიადის წინააღმდეგ მისი მოწინააღმდეგენი, მსგავს რამეს დღეს სააკაშვილის მისამართით ივანიშვილისგან ვერ მოისმენთ. **ივანიშვილი და სააკაშვილი უზრად კი არიან, მაგრამ ერთად იმდენი აქვთ „მირთმეული“, რომ ერთმანეთს არასოდეს გაწირავენ.** გაიხსენეთ მათი შეხვედრა ბათუმში, ამერიკულ ხომალდზე, როგორ გაეხუმრნენ ერთმანეთს. ივანიშვილმა, ვითომ მწარედ უთხრა — გულზე რა გიკეთიაო? სააკაშვილმა ღიმილით უპასუხა — თუ გინდა, შენც გიშოვიო. ისინი განაწყენებულ შეყვარებულებს ჰგავდნენ. „ცოლქმრის ჩხუბი ბრიყვს მართალი ეგონაო“, — ეს ანდაზა შეეფერება ივანიშვილისა და სააკაშვილის ურთიერთობას. ვთქვათ სიმართლე: **ივანიშვილი და სააკაშვილი იმიტომ დამეგობრდნენ, რომ ერთი დონის მოაზროვნეები არიან, თუკი ამას აზროვნება ჰქვია.**

ივანიშვილმა სააკაშვილი იხსნა. **ბიძინამ იცოდა, რომ მიშა 2012 წლის არჩევნებს გააყალბებდა და ეს იმით დასრულდებოდა, რომ სააკაშვილს ხეზე ჩამოკიდებულს ვნახავდით, ის კადაფის ბედს გაიზიარებდა. ივანიშვილმა, რჩევის მიუხედავად, სააკაშვილს ვერაფერი გააგებინა, მიხვდა, რომ მიშა საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდა და იხსნა, ერთი წლით თვითონ მოვიდა ხელისუფლებაში და მიშას განსაცდელი აარიდა.**

ბიძინა მართალს ამბობდა, როდესაც ხალხს მიმართავდა, — ჩემი ცხოვრება სასწორზე დავდეო, რადგან მის ფულს საფრთხე ემუქრებოდა, დასავლეთს ივანიშვილის ერთი ნაბიჯიც რომ არ მოეწონოს, მეფე ლირივით მიუსაფარი გახდება, უგროშოდ დარჩება.

**— ივანიშვილის ბოლო გამოსვლამ ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც ის „ეროვნული“ ეგონა, იმედი გაუცრუა...**

— ივანიშვილის ეროვნულობაში ეჭვი მეპარება, რადგან 2013 წლის დეკემბერში ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა: „ჩემი ოჯახის ყველა წევრი რუსეთის მოქალაქეა“. მისი დევიზია: „სადაც კარგად ვარ, ჩემი სამშობლო იქ არის“. ცუდია, როდესაც 7 მილიარდის მერე გაგახსენდება სამშობლო. როდის ჩამოვიდა ივანიშვილი საქართველოში? — მას შემდეგ, რაც რუსეთში ვლადიმერ პუტინი გამოჩნდა. პუტინმა ყველას „თავები დააყრევინა“. ყველა მილიარდერი ბაზრის ვირთხებივით დაიფანტა. სწორედ იმ დროს ჩამოვიდა საქართველოში თავის გადარჩენის მიზნით, თორემ სამშობლოში ყოფნა კი არ უნდოდა. ივანიშვილმა იცოდა, რაც მოელოდა, ის რუსეთში ვერ ჩავა. ივანიშვილმა თავშესაფარი საქართველოში მოძებნა. აქ ჩამოსულმა კი პირველი რა გააკეთა? **ფული პოლიციის აღორძინებაში ჩადო, რადგან ბანდიტურ საქართველოში თავდაცვა სჭირდებოდა. პოლიციაში ფულის ჩადება საკუთარი თავის უზრუნველყოფა იყო და მერე ვეღარ შეამჩნია, რომ პოლიცია მონსტრად იქცა.**

ივანიშვილი ამბობს, რომ სამი მილიარდი დახარჯა საქართველოში, მაგრამ 3 მილიარდი საქართველოსთვის ძალიან ცოტაა, თუკი ივანიშვილს საქართველოს ყიდვა უნდა. ფულზე დახარბებული ობივატელების იმედზე ნურავინ იქნება, საქართველი რუსთაველია, გრიგოლ ხანძთელია...

მოვიქცეთ გონივრულად. მარკ ტვენს ჰკითხეს: „როგორ უნდა მოვიქცეთ, ერთი ნახვით რომ არ შეგვიყვარდესო?“, მარკ ტვენმა უპასუხა: „მეორედაც უნდა შეხედოთ!“. შევხედოთ მეორედ ბიძინა ივანიშვილს და, თუკი კიდევ გვეტყვის, მხარი ამას და ამას დაუჭირეთო, სრულიად საპირისპიროდ მოვიქცეთ და მხარი არ დავუჭიროთ. ამერიკელებში არის გავრცელებული ასეთი აზრი — როდესაც ყოყმანობთ, გიჭირთ გადაწყვეტილების მიღება, დახედეთ დოლარის ბანკნოტს, რომელზეც გამოსახულია აბრაამ ლინკოლნი და წარმოიდგინეთ, როგორ მოიქცეოდა ის. მოიქეცით ასე და ჩათვალეთ, რომ გაიმარჯვეთ. როდესაც არჩევანის წინაშე დავდგებით, წარმოვიდგინოთ, როგორ მოიქცეოდა ბიძინა ივანიშვილი და მოვიქცეთ სრულიად საპირისპიროდ... და ჩვენ გავიმარჯვებთ!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ჩეკლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონ ბიძინას, ეტყობა, არაფერი სმენია სომეხთა პრეტენზიაზე საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მიმართ, აგრეთვე, პრეტენზიაზე, რომ თურმე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიებიდან 442 (იმაზე მეტი, ვიდრე სომხეთშია) მათი აშენებულია და, შესაბამისად, მათ ეკუთვნის.**

# თუ ბიძინას არ სცალია, იქნებ ვინმემ მაინც წაუკითხოს «ქვათა ღაღადი»!




**ბიძინა ივანიშვილი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მისი პირველი შეცდომა იყო კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ირაკლი ალასანიასა და მისი თანაგუნდელების შეყვანა და არჩევნების შემდეგ საკვანძო თანამდებობებზე დანიშვნა, რასაც მოგვიანებით მათი დათხოვნა და ალასანიას ტყუილების თქმაში დადანაშაულება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი არ აღიარებს, მისი კიდევ ერთი შეცდომა ურეიტინგო რესპუბლიკელებისთვის, რომლებიც ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტისა და მინისტრების პორტფელების ჩამორიგება, ანუ ხელისუფლების გადაბარება; შეცდომაა ქართველი ერის წინაშე დამნაშავე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაცია, თბილისის მერად — დავით ნარმანიას, პრეზიდენტად კი პლასტელინა გიორგი მარგველაშვილის დანიშვნა, რომელიც ვერაფრით გამოიყვანეს მიხეილ სააკაშვილის აშენებული სასახლიდან...**

მაგრამ ის, რაც ამა წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სომეხთა ეპარქიის სურბ გევორქის საკათედრო ტაძრის ხელახალი კურთხევისა და გახსნის ცერემონიაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ყოველგვარ ზღვარს სცდება:

**„ამდენი საუკუნეა, ჩვენ მეზობლად ვცხოვრობთ და ძალიან ცოტა წყენა შეიძლება გავიხსენოთ (?! — ნ.კ.). კამათი, რაც ორ ერს შორის გრძელდება, შეიძლება ითქვას, არის ძალიან სასიამოვნო (?!) და სიმბოლური. ჩვენ ვკამათობთ, რომელი კულტურის ძეგლი ვის ეკუთვნის. თუ ისტორიას ვუყურებთ, სახელმწიფოებს შორის მეგობრობა ძალიან რთულია. ჩვენ მრავალი საუკუნის განმავლობაში ძმობისა და მეგობრობის მეტი არაფერი გაგვიკეთებია(?). სომხური ეკლესიის რესტავრაცია დასრულდა, ის საოცრად ლამაზია. ამაში მეც მივიღე მონაწილეობა და ძალიან ამაყი ვარ“.**

ყოფილი პრემიერმინისტრის ამ მოკლე განცხადებაში საქართველოს ისტორიისა და ქართულ-სომხური ურთიერთობების უცოდინარობა გამოსჭვივის. თავი რომ დავანებოთ საუკუნეების განმავლობაში სომეხთა უმადურობას (სომხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ ბევრმა სომეხმა თავი საქართველოს შეაფარა, ბევრმა სომეხმა, აგრეთვე, შეაფარა თავი საქართველოს, როდესაც თურქებმა თავიანთი ქვეყნიდან გამოდევნეს), ღალატსა და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობას (იხ. ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“), ჯავახეთის მოსახლეობაზე თავდასხმებს (შ. ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, 1975 წ.), ქართველთა დაუძინებელ მტერ აღა-მაჰმად-ხანთან თანამშრომლობას ქართლ-კახეთის ასაოხრებლად (ს. ქვარიანი, „ქართული ერის ისტორია“. 1919 წ.), მათ მონაწილეობას სამეფო ტახტიდან ბაგრატიონთა ჩამოცილების საქმეში (ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, „მეფე ერეკლეს ცოტა-ცოტა ამბები“), **ბატონ ბიძინას, ეტყობა, არაფერი სმენია სომეხთა პრეტენზიაზე საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მიმართ, აგრეთვე, პრეტენზიაზე, რომ თურმე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიებიდან 442 (იმაზე მეტი, ვიდრე სომხეთშია) მათი აშენებულია და, შესაბამისად, მათ ეკუთვნის** (აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაცემულ ჩამონათვალში ტაძრებისა, რომელთა საქართველოს იურისდიქციიდან გამოყვანა და ეჩმიაძინისთვის დაქვემდებარება სურს სომხურ ეკლესიას, არ შეიყვანეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არსებული 221 ეკლესია, ამით ეს ტერიტორიები საქართველოს შემადგენელ ნაწილებად არ ცნეს). ყოფილ პრემიერსა და ამჟამად საქართველოს პირველ მოქალაქეს, ჩანს, იმაზეც არაფერი სმენია, რომ სომხები თავიანთ კუთვნილებად აცხადებენ ქართულ „საფერავს“, ხაჭაპურს, მაწონს, ჩურჩხელას, სოფიკო ჭიაურელსა და ქეთი მელუას — სომხებად; ალბათ, არც ის იცის, რა ხდება ქობულეთში და რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს სამცხე-ჯავახეთიდან.

**მართალია, ბიძინა ივანიშვილს უყვარს ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაზე საუბარი, „სოთბისა“ და „კრისტის“ აუქციონებში მონაწილეობა, პაბლო პიკასოს აბსტრაქტული ნახატი „დორა მაარი კატით“ (95 მლნ დოლარად შეიძინა), ჰენრი მურისა და ბერნარ ვენეს სკულპტურები, ზვიგენები და პინგვინები, მაგრამ ჩანს, საქართველოს ისტორიასთან მწყრალად არის, ამიტომ შევახსენებთ დიდი ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადს“, რომელიც 1899 წელს დაიწერა და გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სათაურით „სომეხთა მეცნიერებანი და ქვათა ღაღადი“.**

მაშ ასე, რამდენიმე ამონარიდი ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადიდან“:

ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გალატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი — აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! **აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი. ამისთანა დაღით შუბლზე გაისტუმრეს ქართველის სახელი ევროპაში, საცა-კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ...**

* სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ეფრატის სათავეებამდე, თითქმის შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე, ეგრეთ წოდებული არმენია(ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები“ ყრილან — ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ...

* **ამ სახით ხომ გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა, და ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა... ეს რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის?!**

* ვის მოუვა ფიქრად, რომ ბოროტის მხილებას კრიჭა შეუკრას ვისამე წყენის შიშითა, თუ არ დოყლაპია ლიბერალისა... თუ მარტო ბალღების საცდენად და საფრთხობლად არ მოაქვთ აქ უადგილოდ ლიბერალობა, რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს სომხებისას პირში კაპს არ ამოსდებენ, რომელთა მეცნიერნი, საცა გინდათ თუ არ გინდათ, ქართველს ერს — დიახ, მთელს ქართველ ერს! — თავზე ლაფს ასხმენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიან...

* **არა ერთი და ორი მაგალითია იმისი, რომ ცდილან, ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველს შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფხიკონ ქვაზედ ნაწერი ქართული ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდამ ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის წარწერითა.** განსვენებული დ. ბაქრაძე მოგვითხრობს ერთს ამისთანა მაგალითს, რომელიც გვანიშნებს ამ მშვენიერ უნარს სომხების ერთგვარ გუნდისას. ართვინში ერთი დიდი ეკკლესიაა თურმე ძველის-ძველი. იქაურს სომხობას მოუწადინებია მზამზარეულად ამ ეკკლესიის დაჩემება. მინამ დაიჩემებდნენ, ბერძნები შესცილებიან, — ეგ ეკლესია ძველთაგანვე ქართველებისა ყოფილა, მაშასადამე, ჩვენთვის, ვითარცა მართლმადიდებლებისათვის, უფრო უპრიანიაო. ამ ეკკლესიას მართლმადიდებლობის ნიშნად ზედა ჰქონია ქვა ქართულის წარწერითა. სომხებს აღარც უციებიათ, აღარც უცხეშელებიათ, აუღიათ და იგი ქვა სადღაც წაუბრძანებიათ და მიუმალავთ. ამ გზით იგი ეკლესია მართლმადიდებელთათვის ხელიდამ გამოუტაცნიათ და დღეს სომხებს დაუჩემებიათ...

**მართალია, ბიძინა ივანიშვილს უყვარს ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაზე საუბარი, «სოთბისა» და «კრისტის» აუქციონებში მონაწილეობა, პაბლო პიკასოს აბსტრაქტული ნახატი «დორა მაარი კატით» (95 მლნ დოლარად შეიძინა), ჰენრი მურისა და ბერნარ ვენეს სკულპტურები, ზვიგენები და პინგვინები, მაგრამ ჩანს, საქართველოს ისტორიასთან მწყრალად არის**



* როცა ქალკიდონის მსოფლიო კრებულს (596 წ.) ემოწმა ქართველობა და ამით სარწმუნოებით ერთმანეთს დაჰშორდნენ ქართველები და სომხები, სომხებმა ცალკე კრება მოახდინეს დვინს და დაადგინეს განაჩენი. ამ განაჩენის ძალით სომხთა მაშინდელმა პატრიარქმა აბრაამმა ასე შეაჩვენა და კრულვა-წყევლას მისცა ქართველობა: „ჩვენ დავწყევლეთ და პირქვე დავამხეთ ქართველთა კათალიკოზი კირიონი და ქართველებზე ვბრძანებთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ არავითარი მისვლა-მოსვლა ქართველებთან, არავითარი ურთიერთობა, არც ლოცვითა, არცა ჭამა-სმითა, არც მეგობრობითა და არც შვილების აღზრდით; არ გაბედონ წასვლა სალოცავად არ სახელგათქმულ მცხეთის ჯვარისა, არც მანგლისის ჯვარისა, არ მისცენ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში, ერიდნენ იმათთან დამოკიდებულებას ცოლ-ქმრობისას, ნება ეძლევათ მხოლოდ აღებმიცემობა იქონიონ, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას გადავა, წყეულიმცა არს იგი სულითა და ხორცითა და ყოვლის ცხოვრებითა“. ამას მოგვითხრობს სომხის ისტორიკოსი კალანკატვაცი...

* **მოსე ხორენელს აღარ ვიტყვით და განა სტეფანოზ ასოლიკი და არისტაკეს ლასტივერი მეთერთმეტე საუკუნეში, მათეოს ედესელი მეთორმეტე საუკუნეში, ვარდან დიდი მეცამეტე საუკუნეში და ბევრნი სხვანი საქართველოს სამეფოდ არ იხსენიებენ და მისთა მპყრობელ — მეფეებად, როცა ალტაცებით მოგვითხრობენ საქართველოს მეფეების მზრუნველობას სომხების კეთილდღეობისა და მათის მონასტრებისათვის? ახია ჩვენზე, ახია! ესე გაბიაბრუება განა გაგონილა მეცნიერებისა, ესეთი გაყალბება მეცნიერისა!..**

* მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვლალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტვას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დანებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა. განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქაიქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შემკობას. ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა, ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“, — ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი“.

**ასეა, ბატონო ყოფილო პრემიერო და საქართველოს პირველო მოქალაქევ! ილიას ამ წერილის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა სასიკეთოდ, პირიქით...**

**და, თუ დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო არ გცალიათ და ჯერ კიდევ არ წაგიკითხავთ „ქვათა ღაღადი“, იქნებ სთხოვოთ თქვენს მრჩევლებს — კოკას, ნონას, ნოდარს... იქნებ რომელიმემ წაგიკითხოთ ილიას გულიდან ამონახეთქი „ქვათა ღაღადი“.**

**ნიკა კორინთელი**

„ჰელოუინს, რომელიც თავისი წარმოშობით წარმართული, დღეს კი უკვე ოკულტური დღესასწაულია, მართალია, კარნავალის სახე აქვს, მაგრამ ღონისძიების მიმდინარეობისას სხვადასხვა რიტუალი ტარდება და მასში მონაწილე ადამიანი თავისთავად ამ რიტუალის თანამონაწილეც ხდება. დაუშვებელია, ამგვარი ღონისძიების სკოლებში გამართვა“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა აკავშირებს ჰელოუინს სატანიზმთან და ვინ და რატომ გადაწყვიტა საქართველოს საჯარო სკოლებში მისი აღნიშვნა

**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა, სასულიერო პირებმა და მრევლმა რამდენიმე დღის წინათ განათლების სამინისტროსთან აქცია გამართეს და საქართველოში, კონკრეტულად კი საჯარო სკოლებში, ჰელოუინის, როგორც სატანისტური დღესასწაულის, აღნიშვნა გააპროტესტეს.**

**ჰელოუინს ყოველი წლის 31 ოქტომბრის ღამეს აღნიშნავენ ამერიკასა და ევროპაში. ეს არის წარმართული კელტური დღესასწაული, რომელიც ბოროტი სულების განდევნასა და დაშინებას ისახავს მიზნად და, ძირითადად, კოსტიუმირებულ სანახაობას წარმოადგენს. რამდენიმე წელია, მას საქართველოშიც აღნიშნავენ, მაგრამ ამჯერად, საპროტესტო აქციის ორგანიზატორების განცხადებით, ზეიმის ორგანიზება სკოლის დირექტორებს დაავალეს.**

**ვინ და რატომ გადაწყვიტა სკოლებში ჰელოუინის აღნიშვნა, რა საფრთხეს ხედავს ამ, ერთი შეხედვით, გასართობი ღონისძიების მიღმა ეკლესია და რა აკავშირებს ამ დღესასწაულს სატანიზმთან — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები — მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ხელმძღვანელი ავთანდილ უნგიაძე და დაბა კაზრეთის წმიდა სამების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი არჩილ ქიტუაშვილი ესაუბრნენ.**



**«თუ ადრე აშშ-ში შობა იყო მთავარი დღესასწაული, დღეს ის, ფაქტობრივად, ჰელოუინმა ჩაანაცვლა. საქართველოში მათ ეკლესიის გავლენა, მრევლის რაოდენობა და ეკლესიისადმი მოსახლეობის დიდი ნდობა აშფოთებთ. ამიტომ ასეთი მეთოდებით ცდილობენ, ებრძოლონ მართლმადიდებლობას»**



**ავთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ხელმძღვანელი:**

— ჰელოუინი რომ წარმართული დღესასწაულია, ყველასთვის ცნობილია. საქართველოს საპატრიარქომ ჯერ კიდევ 2009 წელს აღნიშნა, რომ ამ ე.წ. დღესასწაულის ჩატარება და მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა ქრისტიანისთვის ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ასეთ ღონისძიებაში მონაწილე პირი, ნებსით თუ უნებლიედ, კერპთაყვანისმცემლობას აღიარებს და ეკლესიას ღალატობს.

**ჰელოუინის, რომელიც თავისი წარმოშობით წარმართული, დღეს კი უკვე ოკულტური დღესასწაულია, მართალია, კარნავალის სახე აქვს, მაგრამ ღონისძიების მიმდინარეობისას სხვადასხვა რიტუალი ტარდება და მასში მონაწილე ადამიანი თავისთავად ამ რიტუალის თანამონაწილეც ხდება. დაუშვებელია, ამგვარი ღონისძიების სკოლებში გამართვა.**

**— უკვე რამდენიმე წელია, ჰელოუინს საქართველოშიც აღნიშნავენ, მაგრამ ამჯერად სკოლებში გადაწყვიტეს მისი აღნიშვნა?**

— დიახ, აქამდე მას სკოლებში არ აღნიშნავდნენ, თუმცა ადრეც იყო მცდელობა, მაგრამ იმხანად საპატრიარქომ გააკეთა განცხადება და ჩვენც სკოლები შემოვიარეთ, განვუმარტეთ, თუ რას წარმოადგენდა ეს ე.წ. დღესასწაული. როგორც ვიცი, მაშინ უარი თქვეს ამ ღონისძიების ჩატარებაზე.

შარშან ეს ღონისძიება ნიუტონის სკოლაში ჩატარდა, იქაც მივედით, გავაფრთხილეთ, ავუხსენით, რას წარმოადგენს ეს დღესასწაული, მაგრამ რთულია, კერძო სკოლას რაიმე მოსთხოვო. წელს ვაკის პარკთან ფრანგული სკოლა რომ არის, იქ აღნიშნეს ჰელოუინი და მას ერთგვარი ქველმოქმედების სახე მისცეს. თითქოს ორჭოფობენ, თავადაც არ სურთ ამ დღესასწაულის აღნიშვნა, მაგრამ ფაქტია, ეს რაღაც ძალებს სურთ.

**— აქციაზე ითქვა, რომ განათლების სამინინისტროს რესურსცენტრის წარმომადგენლები სკოლებში მიდიან და დირექტორებს ჰელოუინის აღნიშვნას სთხოვენ.**

— დიახ, ჩვენ ზოგიერთი სკოლიდან გვქონდა ინფორმაცია, რომ რესურსცენტრის წარმომადგენლები მივიდნენ სკოლების დირექტორებთან და ჰელოუინის აღნიშვნის მითითება მისცეს. პირდაპირ ვამბობთ: **საქართველოში ჰელოუინის, ამ წარმართული დღესასწაულის დაწესება ამერიკის საელჩოს სურს.**

— რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეთ?

— ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რისთვის სჭირდებათ ეს ყველაფერი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საზოგადოების დემონიზაციის მიზნით ხდება, დასავლეთში უკვე წარმატებითაც განხორციელდა. **თუ ადრე აშშ-ში შობა იყო მთავარი დღესასწაული, დღეს ის, ფაქტობრივად, ჰელოუინმა ჩაანაცვლა.**

**საქართველოში მათ ეკლესიის გავლენა, მრევლის რაოდენობა და ეკლესიისადმი მოსახლეობის დიდი ნდობა აშფოთებთ. ამიტომ ასეთი მეთოდებით ცდილობენ, ებრძოლონ მართლმადიდებლობას.**

მათი მცდელობა გასაკვირი არაა, მაგრამ ამ ყველაფერში რომ სახელმწიფო უწყება მონაწილეობს, სწორედ ეს არის საგანგაშო.

**— აქციის მონაწილეებთან განათლების სამინისტროს წარმომადგენელი მივიდა, თუ გამოიღო აქციამ შედეგი?**

— მინისტრი არ შეგვხვდა, ამის იმედი არც გვქონდა, მაგრამ სამინისტროს წარმომადგენელი გამოვიდა და ვესაუბრეთ. იმედი გვაქვს, ამ აქციით ყველას დავანახვეთ, რომ საზოგადოებას, მცირე გამონაკლისის გარდა, ეს ყველაფერი არ მოსწონს და ასეთი ღონისძიებების ჩატარება სკოლებში ყოვლად დაუშვებელია.

**— აქციაში სასულიერო პირები მონაწილეობდნენ, თუმცა საპატრიარქო თქვენს აქციას გაემიჯნა და მხოლოდ სპეციალური განცხადება გაავრცელა...**

— ეს არ არის საპატრიაროს განცხადება, ეს არის კერძო პირების განცხადება. რა დასამალია, ყველამ ვიცით, რომ, **თუ ადრე სოსო თოფურიძე და გიგი უგულავა მიდიოდნენ საპატრიარქოში და, რაც არ მოსწონდათ, იმას არ აკეთებინებდნენ, დღეს ვითარება არ შეცვლილა. ვიცით, დღეს ვინც მიდის ამ მიზნით საპატრიარქოში,** მაგრამ გვარებს არ დავასახელებთ...

ასე რომ, ეს არ არის პატრიარქის პოზიცია. კი, ბატონო, მათ შეეძლოთ, ეთქვათ, რომ ამ აქციის ორგანიზატორები არ იყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, გაემიჯნენ და ასეთი განცხადება გაავრცელეს. ასეთი განცხადება საპატრიარქოს მხრიდან არასწორად მიგვაჩნია, რადგან ზოგიერთმა სკოლამ, შესაძლოა, გამოიტანოს დასკვნა, თითქოს საპატრიარქო მსგავსი ღონისძიების ჩატარების მომხრეა. თუ ასეთი რამ მოხდა, გარკვეული პასუხისმგებლობა იმ პირებსაც დაეკისრებათ, რომლებმაც ეს განცხადება გაავრცელეს.

**საპატრიარქოს ასეთი განცხადებისკენ, შესაძლოა, იმან უბიძგა, რომ აქციაზე განათლების მინისტრის გადადგომის საკითხი დავაყენეთ. ალბათ, ჩათვალეს, რომ ეს პოლიტიკური განცხადება იყო და გაემიჯნენ. ჩვენ მხოლოდ უზნეობას ვეწინააღმდეგებით, გავაპროტესტეთ სკოლებში სწავლება ორი საგნისა — „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“.** დაპირების მიუხედავად, განათლების სამინისტრო ამ საგნების სწავლებას მაინც აპირებს. **ჩვენ ვნახეთ პედაგოგებისთვის შექმნილი მასწავლებელთა მოსამზადებელი სახელმძღვანელოები, რომლებიდანაც ცხადი ხდება, რომ პროექტის მიხედვით, პედაგოგებმა მოზარდებს განსხვავებული ორიენტაციის პირების როლის თამაში უნდა შესთავაზონ. ეს საგნები სწორედ ლგბტ-საკითხების სკოლებში დანერგვასა და პოპულარიზაციას ემსახურება. ეს არის დასავლეთის დაკვეთა,** დიდი ხანია, ეს ვიცით.

ამიტომ ვამბობ, ბრძოლა აუცილებელია. თუ საზოგადოება არ იაქტიურებს, ისინი თავისას გაიტანენ და ამ საგნებს სასწავლო პროგრამაში ჩართავენ, რაც ჩვენი შვილებისთვის დამღუპველი იქნება.

**დეკანოზი არჩილ ქიტუაშვილი, დაბა კაზრეთის წმიდა სამების ტაძრის წინამძღვარი:**

— მორწმუნე ქრისტიანისთვის ჰელოუინში მონაწილეობა კატეგორიულად დაუშვებელია. სწორედ ამის განმარტება გვსურს განათლების სამინისტროსთვისაც და მორწმუნე ერისთვისაც. ეს გასართობი დღესასწაული არ არის. სატანის თაყვანისცემა სატანის თაყვანისცემად დარჩება, მიუხედავად იმისა, ჩვენ ამით ვერთობით თუ სერიოზულად აღვიქვამთ.



დაუშვებელია, მორწმუნე ადამიანმა მსგავს დღესასწაულში მიიღოს მონაწილეობა.

**— რატომ არიან რესურსცენტრის წარმომადგენლები დაინტერესებულები ამ დღესასწაულის სკოლებში აღნიშვნით?**

— ალბათ, ჩვენი ტრადიციული მართლმადიდებლური დღესასაწაულების ამ გაურკვეველი დღესასწაულებით ჩანაცვლება სურთ. ვაპროტესტებთ ამგვარი ღონისძიებების სკოლებში ჩატარებას და ვთხოვთ განათლების სამინისტროს, მისი აღნიშვნა არავის დააძალოს. მორწმუნე ადამიანებს, რომლებიც თავს მართლმადიდებლად და ეკლესიის წევრად მიიჩნევს, ვურჩევთ, მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღონ.

**— საქართველოს საპატრიარქომ განაცხადა, რომ თქვენს სულისკვეთებას არ იზიარებს. რატომ გაემიჯნა საპატრიარქო თქვენს აქციას?**

— ვერ ვხვდები, რას ნიშნავს „ჩვენი სულისკვეთება“ და ამ შემთხვევაში საპატრიარქო რას ემიჯნება. ის, რომ ჰელოუინის აღნიშვნა ქრისტიანისთვის მიუღებელია, ამას საპატრიარქო ვერ გაემიჯნება! ვფიქრობ, საპატრიარქოს მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს.

**— აქციას სოციალურ ქსელშიც გამოეხმაურნენ. ბევრმა აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც სასულიერო პირები ჰელოუინს აპროტესტებენ, რატომ არ გმობენ ბერიკაობას, ჭიაკოკონობას, ლომისობის დღესასწაულზე ტაძრის ეზოში ცხოველების მსხვერპლშეწირვასო. თუმცა, ვიცი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გმობს წარმართული დღესასწაულების აღნიშვნას, მაგალითად, ჭიაკოკონობის...**

— ნებისმიერ იმ დღესასწაულში, რომელიც წარმართობასთან არის დაკავშირებული, მართლმადიდებელი ქრისტიანის მონაწლეობა კატეგორიულად აკრძალულია. რაც შეეხება ლომისობას, ნამდვილად არ ვიცი, იქ რა და როგორ ხდება, ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებ. თუ ვინმე თავის ეზოში ცხვარს დაკლავს და დღესასწაულს აღნიშნავს, ეს სულ სხვა თემაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად სასულიერო პირებს ნაკლებად ეკითხებიან, როდესაც ეკლესიის ეზოში ცხოველს კლავენ. რაც შეეხება ბერიკაობასა და ჭიაკოკონობას — ეს წარმართული, არაქრისტიანული დღესასწაულებია და ქრისტიანმა მასში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს.

**მოამზადა შორენა ციცქარაშვილმა**

O TEMPORA! O MORES!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა პორნოგრაფიის პროპაგანდას ეწევა

## ნატრობდით სიტყვის მეტ თავისუფლებას? — ინებეთ, პორნოგრაფია!

**ბოლო ხანს ნამეტანი გავგულავდი „თავისუფლად" მოაზროვნე ახალგაზრდა მწერალთა და ხელოვანთა „თავისუფალ" სამყაროში. ჰოდა, ამ „გულაობაში" ერთმა მეგობარმა თხელყდიანი წიგნი მაჩუქა, წაიკითხე, შიგ ისეთი მოთხრობაა, დაიბრიდებიო...**

მკითხველის (უფრო, მამაკაცი მკითხველის) "დაბრედვა" ამ წიგნის გარეკანიდანვე იწყება — ერთიანად გაშიშვლებულ ახალგაზრდა გოგონას, ზურგი ვნებიანად შემოუქცევია, იქვე კი სახელწოდებაა ნაწარმოებისა — **„გოგონა საცვლების გარეშე"**. მაგარია, არა? (ისე, სწორი ქართულით, **„უსაცვლებო გოგონა"** სჯობს, დიდად პატივცემულო ავტორო).

„დიდად პატივცემული ავტორი" თაყვანისმცემლებმა უწოდეს **ლელა დადა ლაშხს,** როდესაც „პრეზიდენტის (ნაპრეზიდენტალის) ბიბლიოთეკაში" ახლახან შთაგონებით განიხილეს ეს წიგნი.

ამ „თავისუფლად მოაზროვნე" ახალგაზრდებმა გაგვაცნეს ავტორიც — სიმპათიური, ღიმილიანი, ვარდისფრად თმაგადაღებილი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამჟამად პარიზში ცხოვრობს, ისე კი, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი ჰქონია დამთავრებული, რამდენიმე სპექტაკლიც დაუდგამს თბილისში და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ლექსებსაც წერს, მაგრამ, ალბათ, იფიქრა, პროზაში უფრო ავამოძრავებ ჩემს „თავისუფალ" აზროვნებასო, თანაც — პარიზშიო... და, ა, ბატონო, — „გოგონა საცვლების გარეშე".

**„ეს წიგნი რეალური ადამიანის რეალურ ცხოვრებაზეა ბავშვობიდან დიდობამდე, — ამბობს თვითონ ლელა დადა ლაშხი, — როგორც წესი, ჩვენი საზოგადოება არაა ჩვეული შიშველი სიმართლის ამ ფორმით მიღებას და, ვფიქრობ, აუცილებელია, მიიღოს. ყველა ადამიანის ცხოვრებაშია ეტაპები შინაგანი, და არა მხოლოდ გარეგანი, ასაკობრივი გარდატეხისა. ამ დროს მისი სულიერება ყალიბდება, იწრთობა, ვითარდება, იზრდება და პერსონიფიკაცია ხდება. თითოეული ის შეგრძნება, ემოცია, მოქმედება, გარემოება, რაც მთავარ გმირსა და დანარჩენ პერსონაჟებს აქვთ, ყველა ადამიანის ცხოვრების ნაწილია. ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა არც დასამალია რამე. მეტი სიმართლე მეტ სინათლეს ამკვიდრებს და ჩვენ არ გვინდა, ვიცხოვროთ გვირაბში, რომლის ბოლოს არანაირი შუქი არ იკვეთება".**

კი, ბატონო (ქალბატონო), თუ ის მისაღებია, როგორც თქვენ — ცნობილი **ბურჭულაძისა** და **დეისაძის** თანამოკალმენი — ხატავთ რეალობას და, რაც ჩვენ — „ქაჯებს", ხანდახან ტელეეკრანზე ან უცხოური ფილმებში გვინახავს, მაშინ უხამსობის აღზევება რაღაა? **დავიჯერო, ზოგიერთი ტვინგახურებული ახალგაზრდის გარდა, სჭირდება კი ჩვენში ვინმეს ასეთი „შიშველი" სიმართლე?! ნუთუ საინტერესოა ჩვენთვის ისეთი გმირი ქალი, რომელიც ბავშვობიდან დიდობამდე უსაცვლებოდ, ულიფოდ დადის, რადგან ასე სურს ცხოვრება და დროსტარება?! ახლა თქვენ მეტყვით, რომ ეს ყოველივე დრომ მოიტანა და დიახაც, უნდა შევეჩვიოთ, უნდა მივიღოთ ასეთი ლიტერატურაო...**

რა მივიღოთ?! მე, მაგალითად, წავიკითხე ეს თქვენი „ლიტერატურა", რა დაგიმალოთ და კითხვისას, გვარიანად შეგიკურთხეთ რამდენიმე ადგილას და, იყო თუ არა სამართლიანი ეს ჩემი სიბრაზე, მკითხველმა განსაჯოს, აგერ, სამ ნაწყვეტს რომ წავაკითხებ თქვენი „თავისუფალი" ნაწერიდან.

ათი წლის გოგონა გვიყვება:

**„ოთახში ძებნა დავიწყე რაღაცის. რამე საგანი მჭირდებოდა. არ ვიცი. სრულიად არაადექვატური და უორიენტაციო გავხდი. იქვე ბიჭი თოჯინა ეგდო და ავიღე. ერთი თხელი გადასაფარებელი გავაფინე იატაკზე. თოჯინა დავაწვინე ისე რომ ფეხებთან მქონოდა ახლოს, გადავაწექი და ბოქვენით შევეხე, ჯერ ნაზად. მესიამოვნა საშინლად, გამაჟრიალა. გავიმეორე. ვაწვებოდი და ვმოძრაობდი ზევით, ქვევით, როგორც შემეძლო. არ ვიღლებოდი, გავიწურე ოფლში. კარებს ავხედე... ვცდილობდი, არ მეხმაურა და ჩუმად მეკეთებინა ეს. არავის არაფერი გაუგია..."**

**„ისევ ისე ვერთობოდი ჩემი მოგონილი თამაშით, ჩემი ბიჭი თოჯინით იატაკზე. მოაჯირები მივივიწყე და მივაქრე. ლიკა ცხოვრობდა ჩემს მეზობლად. სიფრიფანა გოგო. თეთრი. თხელი ტუჩები ჰქონდა. უტუჩოს ვეძახი ასეთებს. რომ დახატავ ადამიანის სახეს და პასტით გახაზავ ტუჩის ადგილას, ასეთი ზუსტად. მართლა არ ვიცი, როგორ მოხდა. ვისხედით და ვლაპარაკობდით. ათი წლის ვართ ორივე. ვუყვები, როგორ ვერთობი ჩემი ბიჭი თოჯინით. რომ არასოდეს ვიცვამ ტრუსებს კაბაში, არც შორტში. მხოლოდ დედაჩემის დასანახად ვიღებ კარადიდან და მერე ჯიბით ვატარებ ან ჩანთით, რომ გაცილებით იოლია ასე ცხოვრება და, როცა ძუძუები გამეზრდება, ლიფში არ ვუპირებ გამოხრჩობას. პირდაღებული მისმენდა**




## ოცდამეერთე საუკუნის უცხოურ მწერლობაში მხოლოდ ის «ჩაავლეს», როგორ ლოკავს მამაკაცი მამაკაცს ან ქალები რა ვნებიანად ეფერებიან ერთმანეთს...

ამ ნაწილში. თუმცა მასაც ქონია ისეთივე გასართობი, რისი დახმარებითაც „სასიამოვნო ტკივილი" მქონდა. ოღონდ სხვა საშუალებებით, თითებით, მაგრამ იგივე შედეგებით და კმაყოფილი იყო ძალიან. და ისიც ჩემსავით მალავდა. და ისიც ჩემსავიც აკავებდა ხმაურს პირში. და ისიც ჩემსავით იხვითქებოდა და კანკალებდა. ისიც ჩემსავით უგონოდ გადაწვებოდა თურმე ზურგზე. გავერთიანდით. გავძლიერდით. ერთ გუნდათ ჩამოვყალიბდით. იქვე, იმ წამს გადაწყდა ჩვენი ბედი. ერთ სისხლხორცად. და შევერწყით. უგონოდ ვეფერებოდით ერთმანეთს. ვიცოდით ძალიან მყარად, ეს ამბავი ჩვენ ორის სხეულსა და გონებას არ უნდა გაცდენოდა. ამის გამო სასტიკად დავისჯებოდით. ამის არც წარმოდგენა გვინდოდა, არც დაშვება. რაში გვჭირდებოდა. მშვენივრად ვგრძნობდით თავს და მოგვწონდა, რასაც ვაკეთებდით. ერთმანეთის სხეულებით ტკბობა კარგი იყო".

გაიზარდა ეს ჩვენი გმირი — „თავისუფლად", დაქალდა და ისევ უსაცვლებოდ დადის ქალაქში, რა გასაკვირია, უსაცვლებოდ შედის რესტორანში:

**„ვერ მივხვდი, რა მოხდა. მერე ავდექი. უცნაურად დავიღალე. დავთვერი. არ ვიცი, რა დამემართა. ტუალეტში მინდოდა შესვლა. მუქი კრემისფერი კერამიკის კედლები ისე პრიალებდა, მირეკლავდა, შემეშინდა. ყველა წერტილში მე ვიყავი. არდა, არც ამდენი დამილევია. ტუალეტიდან გამოვედი. უნიტაზზე ლამის ჩამომეძინა. წყალთან მივედი. ცივი მოვუშვი, ხელები შევუშვირე, ავივსე, შევისხი, ერთხელ. მეორედ. მესამედ. კეფა დავისველე. მარჯვენა თეძოზე ძლიერი შეხება ვიგრძენი. სანამ თავი ავწიე და მოვბრუნდი, მეორე თეძოზე მაგრად მომკიდა და შემაბრუნა. სოლისტი გოგო. ნესტოებს გამალებით ბერავდა. გული ყელთან ქონდა, ისე უცემდა, უკან დავიხიე, მეგონა, შუაზე გასკდებოდა და სახეში დამეტაკებოდა. სისხლით შემღებავდა. ხმით სუნთქავდა. საფეთქელზე ოფლი უბრწყინავდა. რა ლამაზი ხარ! მითხრა და ტუჩებზე დამეტაკა. კედელზე ამაყუდა და მთელი ძალით მომაწვა. ჯინსი გამიხსნა და ხელი ჩამიყო. რა სველი ხარ ჩამჩურჩულა და ხელები ბაგეებს შორის ჩაასრიალა. წრიულად ატრიალებდა თითებს. კლ***რი (შემოკლება ჩემია — ვ.მ) გამიღიზიანა. მოგწონს ასე? ჰო. ვერ ვგრძნობდი ვერაფერს, ვერც სიცოცხლეს, მხოლოდ მის საშინლად ძლიერ თითებს, რომლებიც არამიწიერი სიმსუბუქით დასრიალებდნენ ჩემს ვაგინაში. ყელს მილოკავდა. მთელი ძალით მაწვებოდა. მოულოდნელად გაჩერდა. ხელი ამოიღო. მაისური გადამაძრო. ვიცოდი, ლიფი რომ არ გეცვა. ვიგრძენი, როგორც კი შემოხვედი. არც მე ვატარებ. უცბად გადაიძრო ჯემპრი. მომეკრო ცხელი ძუძუებით. უდაბნოს ქვიშას დავასკდი მეგონა. დამწვა. მესიამოვნა. მომკლა. გამაცოცხლა. დიდხანს მეკვროდა. დიდხანს მილოკავდა ყელს. ლავიწებს, მხრებს, ძუძუებს. მერე ისევ წელანდელივით, ორივე ხელით მომებჯინა თეძოებზე და ხელსაბანზე შემომსვა. შარვალი გამხადა. თავით ჩემს ფეხებს შორის მოექცა. დიდხანს ვგრძნობდი მის ცხელ, ფოლადივით მაგარ ენას ჩემს ვაგინაში. ხელებს ტრ**ზე მიჭერდა. ვკვნესოდი. თავს ვერ ვიკავებდი, მეგონა მოვკვდებოდი. მინდოდა კიდეც ეს, რადგან ველარ ვუძლებდი. მეგონა, არასდროს დასრულდებოდა. აქედან ძალიან შორს ვიყავი, ყველაფერი ოქროსფერი იყო. წრეზე ვტრიალებდი, ვბრუნავდი უმიმართულებოდ. უწონადოდ. უპროპორციოდ. არადა, როგორ არ მიყვარდა ეს ფერი. ისე კაშკაშებდა, თვალს მჭრიდა. ვიგრძენი, როგორ ამოცურდა ზევით და თვალებში ჩამხედა. გაათავე? ჰო. მოგეწონა? ჰო. ძალიან? ჰო, ძალიან. მე ლილე მქვია. აქ ვუკრავ კვირაში ორჯერ. თუ მოგინდება ჩემი ნახვა, იცი, სადაც მნახო; შენ? უცბად ვკითხე, სანამ მაისურს ბოლომდე გადაიცმევდა. არ მინდა. გამოსვლა მეწყება. უნდა დავუკრა. მაგარი გოგო ხარ. როგორი სუნი გაქვს. შავი ვანილის. ეს სუნი მიყვარს. არასოდეს დამავიწყდება. სულ მინდოდა, ვინმეს ქონოდა. არავის კანზე არ აღმომიჩენია აქამდე. თეთრ ვანილს ვერ ვიტან, უცებ ვუთხარი. ვერც მე. ამიტომ მიყვარს შავი ვანილი. ლუ მქვია. ველარ გაიგონა, გავიდა. ისევ მოვუშვი ცივი წყალი. ამჯერად წყალი სახეზე მივუშვი".**

...ხომ თანამონაწილესავით აღწერს სექსუალურ ცხოვრებას ჩვენი ავტორი? ხომ აგვირისტებს?.. ამას პორნოგრაფია ჰქვია, ბატონებო, სხვა არაფერი!.. და თავაშვებულობა, რომელსაც თავისუფლებასა და სიმართლის ხატვას უწოდებს ავტორი!.. ჰოდა, ინებეთ, ვისაც „გევასებათ!.." **უცხოეთისკენ მაცქერლებს მოგმართავთ, თორემ ჩემსავით „გლეხი" და ჩამორჩენილი ოცდამეერთე საუკუნეშიც ყანწის ტრიალი რომ მოსწონს სუფრაზე, ხოლო დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ დუმბაძის, რეზო ჭეიშვილის... ნაწარმოებთა გმირები ქვეყანას ურჩევნია, ლელა დადა ლაშხის კალმის ნაბოდვარს, როგორ მოიწონებს?!** ქართული სიტყვის ამ დიდოსტატებს ხომ თავიანთ ნაწარმოებებში, სადაც საჭიროა, ქალ-ვაჟის სათუთი ტრფიალის თუ ინტიმური ურთიერთობების დახატვაც არ ეშლებათ... ისინი ხომ ჩვენი დიდი ლიტერატურის ტრადიციების გამგრძელებლები არიან... ▶

## ...ხომ თანამონაწილესავით აღწერს სექსუალურ ცხოვრებას ჩვენი ავტორი? ხომ აგვირისტებს?.. ამას პორნოგრაფია ჰქვია, ბატონებო, სხვა არაფერი!.. და თავაშვებულობა, რომელსაც თავისუფლებასა და სიმართლის ხატვას უწოდებს ავტორი!.. ჰოდა, ინებეთ, ვისაც «გევასებათ»!..

**„ვიდრე მიხეილ სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, ამ ლაბორატორიას ერთი დღე არ უმუშავია და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გასალიზიანებლად კეთდებოდა. ამერიკელი სენატორის, ლუგარის, სახელიც იმიტომ დაარქვა სააკაშვილმა ლაბორატორიას და სახელმწიფო დაზვერვის სამსახურს დაუქვემდებარა. სინამდვილეში, 2013 წლამდე ლაბორატორიაში მეცნიერები არც შესულან“.**

კონფერენცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჰოდა, როგორც ვხედავთ, „შვილებმა“ აჯობეს „მამებს“ — **ოცდამეერთე საუკუნის უცხოურ მწერლობაში მხოლოდ ის „ჩაავლეს“, როგორ ლოკავს მამაკაცი მამაკაცს ან ქალები რა ვნებიანად ეფერებიან ერთმანეთს...**

ვნატრობდით სიტყვის მეტ თავისუფლებას? — ინებეთ, პორნოგრაფია!..

## უკლება, არ გქონდა ამის უფლება!..

**ძლივს დავამთავრე, ძლივს გავედი ბოლოში ლელა დადა ლაშხის „აპოლოგია“ და ინტერნეტში ვხედავ ინფორმაციას სათაურით: „თვითმკვლელი ღვთისმშობელი“ — პროვოკაციული ნახატი ილიაუნიში“. ილიას უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცეპრეზიდენტი ბერდია ბერიძე თავის სოციალურ სივრცეში ავრცელებს ამ ინფორმაციას და პროტესტს გამოხატავს გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატის გამო.**

ნახატზე გამოსახულია ფეხმძიმე ღვთისმშობელი, რომელსაც საფეთქელთან იარაღი აქვს მიბჯენილი, რაც თვითმკვლელობის იმიტაციას ქმნის.

სტუდენტები ღიად გამოხატავენ აღშფოთებას ამ ფაქტის გამო.

**„ღვთისმშობელი თავს იკლავს ილიაუნიში. გასაგებია, რომ ვსწავლობთ ლიბერალურ უნივერსიტეტში, თუმცა რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფა ჩემთვის იგივე გაუნათლებლობა და უგნურებაა, როგორც რელიგიური ფანატიზმი, რელიგიისა და მამაოების გაფეტიშება, არ შეიძლება, სხვას ასეთი სახით შეეხო. არ ვიცი სურათის შინაარსი, თუმცა ფორმა მიუღებელია ჩემთვის და ბევრი სტუდენტისთვის, ალბათ, სამწუხაროა, რომ ილიაუნიში ხდება ეს“, — აცხადებს ბერდია ბერიძე.**

ნახატი ილიაუნიში 24-25 ოქტომბრის კონფერენციის ფარგლებში გამოუფენიათ.

ბიჭოს! აქაც ქალია ავტორი, რა თქმა უნდა, ისიც „თავისუფლად“ მოაზროვნეა, ლელა დადა ლაშხს თუ კალამი „უჭრის“, ნახატის ავტორს — **ლია უკლებას** ყალამი აქვს ნამეტნავად მომარჯვებული!.. თან ნახატის შინაარსს განმარტავს ავტორი — **ღვთისმშობელი საზოგადოებას მიმართავს: „თქვენ არ ხართ ღირსი, გაგიჩინოთ ღმერთი“... ეს არის ჩემი დამოკიდებულება იმ ფსევდომართლმადიდებლობის, ფსევდოქრისტიანობისა და ფსევდორელიგიის მიმართ, რაც დღეს ხდება რელიგიის სახელით მსოფლიოში“** — აცხადებს უკლება.

...აბა, რა გითხრათ, მკითხველო? ყველაფერი რომ გაიაფდა, ყველაფერი რომ ასე გაუფასურდა — სიტყვაც და ნახატიც, იქნებ ესეცაა ასეთი დაუდევრობის მიზეზი?!

როგორც შევიტყვეთ, უკლებას უკლებლად განუდგა ყველა — ამ „შედევრის“ მნახველი და ამ ფაქტის გამგონე. აღშფოთებულია სამღვდელოება, კერძოდ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

**ვილენ მარდალეიშვილი**

# «რა ტიპის კვლევები ტარდება და მიმდინარეობს თუ არა ლუგარის ლაბორატორიაში სახიფათო შტამებთან მუშაობა»



**31 ოქტომბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამართა საგანგებო კონფერენცია, სახელწოდებით „ლუგარის ლაბორატორია — საექსპერტო ხედვა“. რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია თბილისის გარეუბანში, ე.წ. ალექსეევკის დასახლებაში, 2004 წელს ამოქმედდა და მას შემდეგ ამ ლაბორატორიაზე მითქმა-მოთქმა არ წყდება. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აღნიშნულ თემას „საქართველო და მსოფლიომაც“ არაერთი სტატია და ინტერვიუ მიუძღვნა.**

**რა მიზნით გაიხსნა ლუგარის ლაბორატორია საქართველოში, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს მისი არსებობა ქვეყნისთვის და ვინ უზრუნველყოფს ლაბორატორიაში განთავსებული შტამების დაცვასა და ჩვენს უსაფრთხოებას? — სწორედ წლების მანძილზე დაგროვილ ამ უპასუხო კითხვებზე სცადეს პასუხის გაცემა კონფერენციაზე პოლიტიკოსებმა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სპეციალისტებმა.**

რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიასა და მისგან მომდინარე საფრთხეებზე სხვადასხვა დროს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანიც საუბრობდა. ის ამბობდა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღის შექმნას აპირებდნენ. ლაბორატორიისგან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც, რომლებიც შიშობდნენ, რომ დივერსიის ან ტერაქტის შემთხვევაში ქვეყანაში სასიკვდილო ვირუსები გავრცელდებოდა.



**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

— ლუგარის ლაბორატორიის მიმართ წლების განმავლობაში საზოგადოებაში უამრავი კითხვა და ეჭვი დაგროვდა. მაგალითად, იყო ასეთი ეჭვიც: ხომ არ წარმოადგენდა ეს ლაბორატორია ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების საქართველოში ყოფნისთვის ერთგვარ საფარს? თუმცა გვესმის, რომ მოსახლეობას, საზოგადოდ, ახასიათებს პანიკური დამოკიდებულება გარკვეული ინფორმაციისადმი და სწორედ ამიტომ ჩვენი მიზანია არა პანიკური ფონის შექმნა, არამედ, რეალური ინფორმაციის მოსმენა, ვინაიდან, როდესაც რამელიმე საკითხის ირგვლივ ამდენი ეჭვი და კითხვა ჩნდება, ასეთ დროს გამჭვირვალობა და უშუალოდ სპეციალისტებისგან კითხვებზე პასუხის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ირკვევა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, ამ ლაბორატორიას ერთი დღე არ უმუშავია და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გასალიზიანებლად კეთდებოდა. ამერიკელი სენატორის, ლუგარის, სახელიც იმიტომ დაარქვა სააკაშვილმა ლაბორატორიას და ის სახელმწიფო დაზვერვის სამსახურს დაუქვემდებარა. სინამდვილეში, 2013 წლამდე ლაბორატორიაში მეცნიერები არც შესულან.



**გიორგი მდივანი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წარმომადგენელი:**

— ლუგარის ლაბორატორიის მსგავსი ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს, მაგალითად, ტაილანდში, ჩინეთში, კენიაში, გვატემალაში, ეგვიპტეში, ყაზახეთში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკასა და ბანგლადეშში, თუმცა საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ქვეყნებში არსებულ ლუგარის ცენტრებზე ინფორმაცია დახურულია და მათ შესახებ ინტერნეტში ვერაფერს მოიძიებთ. ამას გარდა, **ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში არსებული ლაბორატორიაც ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს უოლტერ რიდის უნივერსიტეტთან, რომელიც, გაგიკვირდებათ და, არა კვლევითი და სამეცნიერო პროფილის, არამედ სამხედრო პროფილისაა და ინფორმაცია მის შესახებაც მიუწვდომელია.**

2011 წელს სააკაშვილის ყოფილი მრჩევლის — **ჯეფრი სილვერმანის** ინტერვიუმ ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ ვითარება ძალიან დაძაბა და შესაბამისად რუსების მძაფრი რეაქცია გამოიწვია, ვინაიდან სილვერმანმა განაცხადა, რომ ამ ლაბორატორიაში ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით ბიოლოგიური იარაღის შექმნას აპირებდნენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული პროექტისთვის ამერიკელებმა სამასი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელეს, რაც მცირე თანხა არ არის და პენტაგონი ამხელა თანხას ტყუილუბრალოდ არ ხარჯავს. საერთოდაც, ჩემი აზრით, როდესაც სხვა ქვეყნის სამხედრო უწყება რომელიმე ქვეყანაში პირდაპირ ახორციელებს მსგავს ინვესტიციას და გლობალური ფორმატის კვლევით ცენტრს ქმნის, ეს უკვე საფრთხის შემცველია. ამიტომ, ამ ლაბორატორიაში მიმდინარე პროცესები უფრო მეტად გამჭვირვალე უნდა იყოს.



**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

— ვინაიდან 1998 წელს აშშ-ს საჰაერო ძალების დოქტორანტი გახლდით და სწორედ ამგვარ დახურულ ცენტრში — ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტში — გავდიოდი სტაჟირებას, სადაც მუშაობა მასობრივი იარაღის განადგურების შემცირების საკითხზე მიწევდა, შევეცდები, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვისაუბრო.

კონფერენციაზე დაისვა კითხვა, რატომ დახარჯა ამერიკამ 300 მილიონი აშშ დოლარი მაშინ, როდესაც ყველამ ვიცით, რომ ამხელა თანხას ტყუილუბრალოდ არც ერთი ქვეყანა არ დახარჯავდა. ბუნებრივია, ამერიკას აქვს თავისი ინტერესები, ვინაიდან საქართველო და კავკასია მასობრივი განადგურების იარაღის შემცირებისთვის საკმაოდ მოწყვლადი არეალია. მაგალითად, **1998 წელს ჩრდილოკავკასიაში მოქმედ ისლამურ რადიკალურ ჯგუფებს ჰქონდათ კონკრეტული მიზანი, ხელში ჩაეგდოთ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი. ამას გარდა, საქართველო განიხილება, როგორც შავი ტრანზიტის, მათ შორის, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ვაჭრობის საკითხებში ერთ-ერთი ეფექტური ქვეყანა.** ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც რამდენჯერმე ოფიციალურად განაცხადა და ეს „მესიჯი“ მათ არაერთხელ გაუგზავნეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, რომლებსაც ისლამ რადიკალებთან საკმაოდ კარგი და თბილი ურთიერთობა ჰქონდათ, რომლის დამადასტურებელი ფაქტებიც არსებობს.

შესაბამისად, არ მიკვირს, რომ საქართველოში ასეთი ცენტრის შექმნა გადაწყდა და ამაში შემაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ, ვინაიდან, როგორც ჩანს, არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე, ამერიკელებმა ჩათვალეს, რომ საჭირო იყო პრევენციული ზომების მიღება და თავდაცვისა თუ რეგიონული უსაფრთხოების მიზნით ასეთი ლაბორატორია დააარსეს“.



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი:**

— ნუთუ არ შეიძლება, მოვიწვიოთ მეცნიერები, სპეციალისტები, რომლებიც იტყვიან, რა ხდება ლუგარის ლაბორატორიაში? გვაინტერესებს, რა ტიპის კვლევები ტარდება, მიმდინარეობს თუ არა ლუგარის ლაბორატორიაში სახიფათო შტამებთან მუშაობა და, საერთოდ, რა საფრთხის შემცველია ეს ლაბორატორია საქართველოსთვის. ან აგვიხსნან, რა სარგებლობა მოაქვს ამ ლაბორატორიის არსებობას ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მეცნიერების განვითარებისთვის, ხოლო, თუ ეს ლაბორატორია ბიოლოგიური იარაღის საცავია, მოსალოდნელი რისკების არსებობის შესახებაც უნდა ვიცოდეთ.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ლუგარის ლაბორატორიაზე საზოგადოებაში დღეს ბევრი შეკითხვა და შიში არსებობს, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ ლაბორატორიის სარგებლიანობაზე მეტ ინფორმაციას მოვიპოვებთ.



**ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი:**

— რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, პირიქით, ასეთი დონის ლაბორატორია ქვეყნის სიმდიდრეა და ეს ყველაფერი ჩვენი ძირითადი სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის დახმარებით ჩამოყალიბდა.

ლუგარის ლაბორატორია კავკასიის რეგიონში არის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობების მქონე ლაბორატორია, რომელსაც ბიოტექნოლოგიებსა და ბიოსამედიცინო კვლევებში უნიკალური შესაძლებლობები აქვს, რომელიც სხვადასხვა მძიმე ინფექციის აღმოჩენას, დიაგნოსტიკას, მეცნიერულ კვლევას გულისხმობს. საქართველოს გარდა, ასეთი პროექტები ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში, ტაილანდში, ეგვიპტეშიც ხორციელდება, ვინაიდან ამერიკელები გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხს სერიოზულად უყურებენ და მას გლობალური უსაფრთხოების ნაწილად აღიქვამენ.

**მოამზადა შორენა ციჲქარაშვილმა**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თინა ისე ჭრის და კერავს, როგორც მოესურვება; ისე გააქვს და გამოაქვს, როგორც გაუხარდება, და იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება! უფრო სწორად, როგორც ამას ამერიკის ელჩი, ოცდამეერთე საუკუნის ყაიდაზე მოდერნიზებული იმპერიის წარმომადგენელი, დაავალებს დამონებული კოლონიის თავდაცვის მინისტრს.**

# «ოქროს ბიჭებიდან» «ოქროს გოგოებამდე», ანუ ვინ არის დღეს საქართველოში «პირველი პირი»?

**ალბათ, ყველას გვახსოვს ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაწყებული გაწამაწია ამ თემაზე. ერთნი გაიძახოდნენ, — კონსტიტუციური ცვლილებები ძალაში შევიდა და ქვეყნის პირველი პირი პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიაო; მეორენი ამტკიცებდნენ, — კონსტიტუციური ცვლილებით მხოლოდ უფლებამოსილება გაეზარდა პრემიერს, თორემ ქვეყნის პირველ პირად მაინც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი რჩებაო.**

ეს გაწამაწია, მართალია, შედარებით დამცხრალ ფორმებში, მაგრამ მაინც დღემდე გრძელდება.

უფრო ზუსტად, გრძელდებოდა, ვიდრე საგარეჯოში ჩატარებულმა შიუალედურმა არჩევნება საბოლოოდ არ დაალაგა ყველაფერი თავის ადგილზე და საბოლოოდ არ დაგვანახვა, რომ ამ ქვეყნის პირველი პირი თინათინ ხიდაშელია.

**რაო? კონსტიტუციაში არსად წერია, რომ ქვეყნის პირველი პირი თავდაცვის მინისტრია? მერე რა? თინას ოდესმე აინტერესებდა, რა წერია საქართველოს კონსტიტუციაში?**

**განა უკვე ნათელი არ არის, რომ თინა ხიდაშელს სულ ფეხებზე კიდია პრეზიდენტი მარგველაშვილიც, პრემიერი ღარიბაშვილიც, საკუთარი მეუღლე — პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილიცა და „სოლოლაკის რუხი კარდინალი“ ივანიშვილიც!**

თინა ისე ჭრის და კერავს, როგორც მოესურვება; ისე გააქვს და გამოაქვს, როგორც გაუხარდება, და იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება! უფრო სწორად, როგორც ამას ამერიკის ელჩი, ოცდამეერთე საუკუნის ყაიდაზე მოდერნიზებული იმპერიის წარმომადგენელი, დაავალებს დამონებული კოლონიის თავდაცვის მინისტრს.

დიახ! თინა-სპასალარი აშკარად ალტაცებული და აღფრთოვანებულ-ახუნტრუცებულია იმით, რომ უშუალოდ „იმპერატორის“ წარმომადგენლებს ემორჩილება და არა ვიღაც კოლონიის ადგილობრივ „საწყალობელ ჩინოსნებს“, რომლებსაც ისიც კი ვერ გაურკვევიათ, ვინ არის მათ შორის პირველი და ვინ — მეორე.

**აკი, რაც უნდა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინოს, თინას, სამსახურიდან მომხსნელი კი არა, უბრალო საყვედურის მიმცემიც არ მოიძებნება ამ ქვეყანაში! და, აბა, მეტს რაღას უნდა ნიშნავდეს ქვეყნის „პირველი პირობა“?!**

**აი ასე!**

„მოვედი და ჩემი ხელით შემყავს ოქმები! არავის ვენდობი! არჩევნები მომნატრებია!“ — სრულიად ღიად ავრცელებს საარჩევნო შტაბში გადაღებულ საკუთარ ფოტოებს ასეთი მინაწერით ქალბატონი თავდაცვის მინისტრი და სინდისის ოდნავი ქენჯნაც არ ეტყობა.

**ჰოდა, შედგა კიდეც, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი — ახუნტრუცებული თავდაცვის მინისტრი ერთ-ერთი რაიონის არჩევნების შედეგებს პირადად ითვლის და აკონტროლებს.**

კანონი? არა, რა თქმა უნდა, ხუნტრუცა თინას კანონი არ დაურღვევია. ის, უბრალოდ, როგორც იცის ხოლმე, ახუნტრუცდა! სხვათა შორის, მხოლოდ იქ მიხუნტრუცდა, სადაც მისი ნათესავი თამარ ხიდაშელი იყრიდა კენჭს, თორემ შუალედური არჩევნები სხვა რაიონებშიც ტარდებოდა, მაგრამ იქ




**თინა-სპასალარი აშკარად ალტაცებული და აღფრთოვანებულ-ახუნტრუცებულია იმით, რომ უშუალოდ «იმპერატორის» წარმომადგენლებს ემორჩილება და არა ვიღაც კოლონიის ადგილობრივ «საწყალობელ ჩინოსნებს», რომლებსაც ისიც კი ვერ გაურკვევიათ, ვინ არის მათ შორის პირველი და ვინ — მეორე. აკი, რაც უნდა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინოს, თინას, სამსახურიდან მომხსნელი კი არა, უბრალო საყვედურის მიმცემიც არ მოიძებნება ამ ქვეყანაში! და, აბა, მეტს რაღას უნდა ნიშნავდეს ქვეყნის «პირველი პირობა»?!**

თავდაცვის მინისტრს უბრალო ინტერესიც კი არ გამოუჩენია.

საზოგადოდ, სპასალართინიკო არასოდეს არღვევს კანონს.

გაიხსენეთ თუნდაც ამბავი, როდესაც მისი კანდიდატურა პრემიერმა თავდაცვის მინისტრად წარადგინა, როგორ უცებ შევარდა თინიკო კაბინეტში და ლიფტთან წამოწეულ ჟურნალისტებს როგორ უტიფრად განუცხადა: „მე მინისტრი ვარ! არ სჭირდება ამას პარლამენტის დამტკიცება“.

ზუსტად ასეა ახლაც, დაინტერსებულ ჟურნალისტებს ხუნტრუცა თინა იქით ლანძღავს და დაცინის: „არც ერთი კანონი არ მიკრძალავს საარჩევნო შტაბში მისვლას და ხმების თვლასო!“

ასეა!

თავდაცვის მინისტრს ბუზების თვლასაც არ უკრძალავს არც ერთი კანონი! ჰოდა, კიდეც არიან ამით დაკავებულნი საქართველოს სხვადასხვა დროის თავდაცვის მინისტრები...

მხოლოდ ხანდახან წამოუვლით „ხელისუფლების ჟინი“ და გაცილებით დიდ სისულელეებს აკეთებენ, ვიდრე ბუზების თვლაა, და გაცილებით დიდ ზიანს აყენებენ ქვეყანას, ვიდრე ბუზების თვლით შეიძლება მიაყენონ. ამიტომ, მგონი, მაინც სჯობს, საქართველოს თავდაცვის მინისტრებს, არათუ ავუკრძალოთ, განსაკუთრებით კი — ამჟამინდელ თავდაცვის მინისტრი კანონით დავავალდებულოთ კიდეც, ბუზები ითვალოს! თორემ ხომ ხედავთ, რამხელა იდიოტობებს აკეთებინებს მას უსაქმურობა და შეუზღუდავი ძალაუფლება.

მით უფრო მაშინ, როდესაც, კანდიდატი ხიდაშელი (თამარი) მინისტრ ხიდაშელს (თინას) ხმების დათვლის სანაცვლოდ ასეთ პასუხს აძლევს ინტერნეტში — „ოქროს გოგო ხარ, თინა!“

დიახ!

გასაგებია, რისთვისაც უხდის მადლობას კანდიდატი მინისტრს და რაც მონატრებია თინა-სპასალარს! „ნაციონალებთან“ ერთად 2003 წლიდან 2007 წლამდე, მანამდე კი „მოქალაქეთა კავშირთან“ ერთად არჩევნების გაყალბების სპეციფიკაში კარგად გარკვეული რესპუბლიკელების ლიდერი აშკარად არა უბრალოდ „არეჩევნებს“, არამედ სწორედ არჩევნების გაყალბების მონატრებას გულისხმობს...

ნადვილად „ოქროსია“ ეს „გოგო“!

სხვათა შორის, საქართველოს „ოქროს ბიჭიც“ ახსოვს, ჯერ რომ განურჩევლად ყველას იჭერდა და საშინელი წამებისთვის იმეტებდა შეთითხნილი ბრალდებებით, მერე ქართველ მეღვინეებს ვითომდა დაცინვით „ვიღაც სირაჯებს“ ეძახდა, ბოლოს კი პირში კუბურ სიგარა გაჩრილი მიუძღოდა ქართულ ჯარს „კოდორის ხეობის დასაბრუნებლად“, რომელიც, როგორც დაიბრუნეს საბოლოოდ, ყველამ დავინახეთ...

აი, ამ, შემდგომში ძველი „ბოსისა“ და მეგობრისგან განდგომილი „ოქროს ბიჭის“ სიტყვებია სწორედ — დავრწმუნდი, რომ ძალაუფლების ხიბლი ადამიანს აფუჭებს, რყვნის და ცუდად მოქმედებს, მეც სწორედ ამან მაკეთებინა ის ცუდი საქმეებიო.

ვერ გეტყვით, გულწრფელი იყო თუ არა ციხიდან გამოშვებული და საზღვარგარეთ გაქცეული ირაკლი ოქრუაშვილის ეს მონანიება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სიტყვები ხშირად რეალურად ამართლებს.

ოღონდ **აუცილებლად სათქმელია ისიც, რომ ხელისუფლებისა და ძალაუფლების ხიბლი მხოლოდ ბავშვობიდან დაკომპლექსებულ, გოიმ, გამოუსვლელ და რეგვენ ადამიანებს „აგიჟებს“ და „ახუნტრუცებს“, როდესაც ასეთები რაიმე უმაღლეს საფეხურს მიაღწევენ ცხოვრებაში...**

საქართველოში კი, სამწუხაროდ, ბოლო 25 წლის განმავლობში ისეთი სიტუაციაა, სწორედ ასეთები ახერხებენ „ზევით“ მოქცევას...

თორემ ისე, ყოფილა დრო, ქვეყნის ღირსეული მმართველებიც გინახავს სხვადასხვა თანამდებობრივ საფეხურზე, საკუთარი „წარმატებების“, გავლენისა და ძალაუფლების ტყვეობაში რომ არ იყვნენ და უკადრისი ხუნტრუცის ნაცვლად ნამდვილად ღირსეულად ეჭირათ თავი.

აი, **რამდენად ღირსეული საქციელია ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთ რაიონში ჩახუნტრუცება და იქ საარჩევნო უბნებიდან მოსული ოქმების „ლეპტოპში“ საკუთარი ხელით შეყვანა სულელურად მომღიმარი, თვითკმაყოფილი სახით, ამ ქვეყნის მოსახლეობამ შეაფასოს.**

# უცნობი გუბერნატორის ლექს-მონოლოგი

**რედაქციაში მოგვიტანეს უცნობი ავტორის ლექსი, რომელიც საკუთარ თავს გუბერნატორს უწოდებს. ვცადეთ, გაგვერკვია, ეს მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო თუ, უბრალოდ, ახირება. ამაზე ლექსის მომტანმა გვიპასუხა, რომ ეს ამჟამინდელი რეალობაა; ახირება კი მაშინ იყო, როდესაც ამ ლექსის ავტორი თავს რატომღაც პრეზიდენტს უწოდებდა.**

მოკლედ, ლექსის მომტანის აბდაუბდა ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი გავარკვიეთ, მხოლოდ იმას მივხვდით, რომ ავტორმა მას ლექსი ტელეფონით უკარნახა, უფრო ზუსტად, მას კი არ უკარნახა, სხვას წაუკითხა ტელეფონში, ამან კი მოისმინა...

აი, როგორ მოისმინა და რატომ —ეს ვერ დავადგინეთ და თავადაც არ ესიამოვნა ასეთი კითხვა, მაგრამ ის კი გაგვაგებინა, რომ მას, უბრალოდ, დაენანა ასეთი მშვენიერი ლექსის დაკარგვა და ამიტომ გადაწყვიტა, ჩაეწერა და ჩვენთან, რედაქციაში, მოეტანა.

რომ იცოდეთ, ეს დაუმონტაჟებელია და უწყვეტი ვერსიააო, — ზუსტად ასე გვითხრა მან და ისეთი სახით შემოგვხედა, აშკარად მადლობის თქმას ითხოვდა ჩვენგან. სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდით, რას გულისხმობდა, მაგრამ მადლობა მაინც გადავუხადეთ და გავისტუმრეთ ეს იდუმალი სტუმარი. ლექსი კი, აგერ, თქვენს სამსჯავრიოზე გამოგვაქვს.

**„რუსთავი 2“-თან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა!
არავითარი სხვა სოფიკო ამაზე მეტი,
არ გამაჩნია!**

**მე დავურეკე გვარამიას, ვიყავი სვეტი,
დავპირდი „სპეცნაზს“, „კაკ მინიმუმ“ თოთხმეტკაციანს!
არავითარი სხვა მიზანი, სისხლისღვრის მეტი,
არ გამაჩნია!**

**მე ვიყო ქინძი, არ მადარდებს არც „პორო“-ს ბედი,
ბიძინას „შტუკა“ ბებერ გულზე ლახვრად მაჩნია!
რევოლუცია! — სხვა საშველი ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!**

**გადაწყვეტილია ისიც, რომ, რადგან ბიძინა ივანიშვილს არ აქვს იუმორის აღქმის უნარი, დღეიდან „რუსთავი 2“-ელი ე. წ. იუმორისტები შეწყვეტენ ბიძინაზე უკბილო ხუმრობებს და გასაგები ქართულით, მარტივად და პირდაპირ სთხოვენ მას ბანკის კრედიტების დაფარვას.**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვანო ჯავახიშვილი მონოლოგებს იღლიებში ყავარჯნებითა და ხელში ცოცხით წაიკითხავს

**ქართული მედიასაშუალებების უმეტესობამ გასული კვირა და მიმდინარე კვირის დასაწყისიც მეტწილად ისევ და ისევ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს დაუთმო.**




ამჯერად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „დაუყოვნებელი აღსრულების“ წესის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის მიღების გარდა, განხილვის მთავარი თემა იყო ის, რა ბედი ელით „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს, თუკი ეს ტელევიზია მართლაც გადავიდა ქიბარ ხალვაშის ხელში.

ასეთ მსჯელობებს საფუძველი ჩაუყარა სააკაშვილ-გვარამიას კიდევ ერთმა ფარულმა სატელეფონო ჩანაწერმა, რომელიც უმალ გავრცელდა, და რომელშიც ყოფილი პრეზიდენტი ყოფილ პროკურორს პირდაპირ ეუბნება: **„დაიბარე თანამშრომლები და აუხსენი, რომ, თუ ტელევიზია ქიბარის ხელში გადავიდა, მაგათ ყველას აუცილებლად გაყრიან“.**

როგორც ჩანს, „რუსთავი 2“-ის კოლექტივში, მკვეთრი დაპირისპირება თუ არა, გარკვეული ყოყმანი და ფიქრი მაინც არის.

ასეთი შიშის მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ ამ ტელევიზიის ეზოში „თავისუფალი სიტყვის“ დაცვის საბაბით შეკრებილი ხალხის რაოდენობამ სასამართლო პროცესიდან პროცესამდე მკვეთრად იკლო და გასულ პარასკევს „რუსთავი 2“-ის გაწბილებულ წამყვანს ისღა დარჩენოდა, დილიდან საღამომდე ეძახა ეთერში: „ხალხი ჩვენი ტელევიზიის დასაცავად მოსვლას აპირებს“. ვერ დაგიზუსტებთ, საიდან იცოდა „რუსთავი 2“-ის გულთმისანმა წამყვანმა, რას აპირებდა ხალხი, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ამ შემთხვევაში ძალიან უიღბლო „ვანგა“ გამოდგა და საბოლოოდ, ნიკა გვარამიამ „უხალხობა“ ჯერ ამინდს და არც ისე ძლიერ წვიმას დააბრალა, ბოლოს კი გაიქაჩა: **„მოვუწოდებთ მხარდამჭერებს, რომ აღარ მოვიდნენ ჩვენ მხარდასაჭერად, რადგან მათ უსაფრთხოებაზე პასუხს ვერ ვაგებთ“-ო.**

ასე იყო თუ ისე, „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებმა, თუ სხვამ ვერავინ, საკუთარი თავი, მგონი, მართლაც დაირწმუნეს, რომ კარის ზღურბლზე მისული და უკვე ქუჩაში გასავარდნად გამზადებული ათიათასობით მხარდამჭერი თავადვე შეაბრუნეს სახლებში და მთავარი აქცენტი ფინასურ თანადგომაზე გადაიტანეს.

**ანუ, მათი თქმით, პრიორიტეტი ის უფროა, რომ „თავისუფალი სიტყვის“ უამრავმა მხარდამჭერმა გადარიცხოს ფული, ვიდრე მოვიდეს და დადგეს „რუსთავი 2“-ის ეზოში.**

სხვათა შორის, ეს ხმები მართლაც დაგვიდასტურა „რუსთავი 2“-ის სამზარეულოში შეპარულმა ჩვენმა აგენტმა, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ნიკა გვარამია და მისი ქვეშევრდომნი აპირებენ, უფრო დამაჯერებლად ემათხოვრონ საზოგადოებას.

„მე მგონი, აქციებსა და მიტინგებზე რომ გვქონდა ყურადღება გადატანილი, მათხოვრის როლი კარგად ვერ ვითამაშეთ და ამიტომ ძალიან ცოტა თანხა გადმოირიცხა ჩვენს ანგარიშზე“, — დაუწუწუნია სპეციალურ თათბირზე პროკურორ-დირექტორს.

ამავე თათბირზე გადაწყდა, რომ **აწი არხის მთავარი მათხოვრის ფუნქციას ვანო ჯავახიშვილი შეასრულებს.** ჩვენი შეპარული კორესპონდენტი იტყობინება, რომ ვანოს მონოლოგები მთლიანად დაეთმობა მათხოვრობას, რადგან ხუმრობები მაინც უკბილოა და ასეთ დებილურ ხუმრობებს ალალი მათხოვრობა ჯობიაო,— უთქვამს არხის ხელმძღვანელობას.

რაც მთავარია, **გადაწყვეტილია, რომ ვანო ჯავახიშვილი მათხოვარს გარეგნულადაც დაამსგავსონ,** უფრო ზუსტად, საუბარია ჩაცმულობასა და რეკვიზიტზე, თორემ გარეგნულად ისედაც რომ ჰგავს და შინაგანად ისედაც რომ არის მათხოვარი, სწორედ ამიტომაც დააკისრეს არხის მთავარი მათხოვრის როლი.

მოკლედ, უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ გადაცემებს ვანო ჯავახიშვილი იღლიაში ამოჩრილი „კასტილებით“ წაიყვანს, ხელში კი ცოცხი და ბოთლი ეჭირება, რა თქმა უნდა, იატაკზე დაგდებული ცილინდრის თანხლებით.

„ცილინდრი ჯანდაბას, მაგრამ ყავარჯენმა, ცოცხმა და ბოთლმა, მათხოვარი არა და, სხვა რაღაცები არ მოაგონოს მაყურებელს და კიდევ უფრო არ გააღიზიანოს ჩვენ მიმართ“, — ეჭვი გამოუთქვამს „რუსთავი 2“-ის ზოგიერთ, შედარებით გონიერ თანამშრომელს, მაგრამ, ვინაიდან მათხოვრისთვის შესაფერისი სხვა უკეთესი ვერც ფორმა მოიფიქრეს და ვერც კანდიდატურა, არხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ჯერჯერობით მაინც, ძალაში რჩება.

**გადაწყვეტილია ისიც, რომ, რადგან ბიძინა ივანიშვილს არ აქვს იუმორის აღქმის უნარი, დღეიდან „რუსთავი 2“-ელი ე. წ. იუმორისტები შეწყვეტენ ბიძინაზე უკბილო ხუმრობებს და გასაგები ქართულით, მარტივად და პირდაპირ სთხოვენ მას ბანკის კრედიტების დაფარვას.**

როგორც შევიტყვეთ, ისინი ისე გაღორებულან და „ნაცების“ უძლეველობის იმედად იმხელა კრედიტები აუღიათ და ისეთი სახლები და ავტომობილები უყიდიათ, რომ, სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც შავ დღეში აღმოჩნდნენ...

**დიდუ აგირაია**

# ევროპელი ლიდერები მიხვდნენ, რომ იდიოტები ყოფილან

**როგორც წინა ნომერში ვწერდით, ცივილიზებული ევროპა „რუსთავი 2“-ის მხარდასაჭერად ევროპიდან ფეხით წამოვიდა და დიღმულას ხიდზე აპირებდა შეკრებას, საიდანაც სანდრო ეულის ქუჩაზე, ტელევიზიის შენობასთან მისვლას გეგმავდა, თან ჰქონდათ ტრანსპარანტები წარწერით: „რუსთავი 2“ ჩემია!“.**



თუმცა, ცივილიზებულმა მაღალჩინოსნებმა მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ იდიოტები ყოფილან და რიკოთის უღელტეხილიდან უკან გაბრუნდნენ.

ინფორმაციას ჩვენი ჩასაფრებული წყარო გვაწვდის და, როგორც ცნობილია, ამის მიზეზი უკრაინულ ვებგვერდზე გავრცელებული სააკაშვილი-ბოკერია-გვარამიას სკანდალური სატელეფონო ჩანაწერია, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდში ექსპრეზიდენტი უცხოელებს იდიოტებს უწოდებს.

აღნიშნული ჩანაწერი ანგელა მერკელს, რიკოთზე გადმოსვლისას სოციალურ ქსელში უნახავს, მეტად განერვიულებულა, ტრადიციული ფალარათი დამართვია და იქვე, მოფარებულში გაქცეულა.

— იდიოტი, იდიოტი, ესე იგი, ჩვენ ვართ იდიოტები... იდიოტები ვართ, აბა, რა, ყველაფერზე ასე „უპრაგონოდ“ რომ ვშფოთავთ, ყველაფრის ღირსები ვართ, ყველაფრის! — გმინავდა ანგელა და სიმწრისგან ჩანთის სახელურს კბენდა.

— რა მოხდა, ანგელა, იქნებ გვითხრა? — იკითხა ევროპის სახალხო პარტიის წევრმა.

— იდიოტები ვყოფილვართ, გესმის, იდიოტები! მე კი, ეს ავადმყოფი ქალი ფეხით წამოვედი, ვიფიქრე, კეთილ საქმეს ვაკეთებდი და თურმე ამას რა გეგმები ჰქონია. იდიოტებიო, გესმით, ხალხო, იდიოტებიო, — ვერ ისვენებდა ანგელა.

ველარ მოუთმენია გერმანიის კანცლერს, ამოუღია ტელეფონი და პირდაპირ სააკაშვილისთვის დაურეკავს, — შენ, ბიჭო, შ..გ ხო არ გაქვსო და გაწყვეტილა კავშირი, მთა ეფარებოდა თურმე.

— მთავარი სათქმელი ვთქვი და დანარჩენს რაღა მნიშვნელობა აქვს? — ჩაიბუტბუტა ანგელამ და გვერდით მყოფ მსოფლიო ლიდერებს უკან დახევისკენ მოუწოდა.

— იდიოტი ვარ... ვოვა ყოველთვის მეუბნებოდა, არ ენდო მაგას, გამოგიყენებს და მერე გიხმარს ან პირიქითო! არ დავუჯერე, ჩემი მტერი ხარ-მეთქი და ისე აგიხდა ყველაფერი, როგორც ვოვას სიტყვები. წავედით, ჩვენ აქ არაფერი დაგვრჩენია, რა უხერხულად ვარ ირაკლისთან, ბიძინასთან, კახასთან, რომ მეუბნებოდნენ, არ ენდო მაგ კაცსო, ვეუბნებოდი, რას ამბობთ, დემოკრატიის შუქურაა, ნახეთ, როგორ უნათებს თვალები-მეთქი. აი, თურმე რა მიზნები ჰქონია ამ ეშმაკზე ადრე ჩასახულს. არა უშავს, გავა დრო და მიხვდება, ვინ არის ყველაზე დიდი იდიოტი, — თქვა ანგელამ და „ფეისბუქ“ სტატუსზე ბარაკ ობამა მოთაგა.

**ელიკო სილაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ღონისძიებისადმი სიტყვა „კულტურის“ დამატება ცინიკურია. ერთი შეხედვით, უზნეო არაფერია — ლუდის მდინარეები, სოსისები, ძეხვები, ატრაქციონები, ღრმადეკოლტიან ბავარიულ კაბებში გამოწყობილი გოგონები... ორიოდე საათის შემდეგ კი, როდესაც „კლიენტები საჭირო კონდინციას“ მიაღწევენ, საფესტივალო სივრცეს „კულტურული შოკი“ ემართება.**



## რუსულმა სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა

**ეგვიპტეში რუსული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა. კატასტროფის მომენტში ავიალაინერის ბორტზე 217 მგზავრი და ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდნენ. სააგენტო „როიტერი“ წერს, რომ 3 მგზავრი უკრაინის მოქალაქეა, დანარჩენები კი — რუსეთის. ეგვიპტეში მომხდარი ტრაგედიის გამო რუსეთში 1 ნოემბერი გლოვის დღეს გამოცხადდა.**

რუსული ავიაკომპანია „კოგალიმავიას“ ლაინერი A„ირბუს Თ-321~ სინაის ნახევარკუნძულზე, პროვინცია ჩრდილო სინაის მთიან რაიონში, ქალაქ ელ-არიშის სიახლოვეს ჩამოვარდა. წინასწარი ვერსიით, თვითმფრინავმა კატასტროფა ტექნიკური გაუმართაობის გამო განიცადა.

ამ ტრაგიკული ინციდენტის გამო რუსეთში სისხლის სამართლის საქმე „ფრენის წესების დარღვევის“ მუხლით აღიძრა. კატასტროფის მიზეზების გამოძიება ეგვიპტის გენერალურმა პროკურატურამაც დაიწყო.

სააგენტო „რია ნოვოსტი“ წერს, რომ აფრენის შემდეგ ლაინერის მფრინავი დისპეტჩერს დაუკავშირდა და ტექნიკური ხარვეზების შესახებ აცნობა. მფრინავმა მარშრუტის შეცვლა და კაიროს აეროპორტში დაშვება ითხოვა, შემდეგ კავშირი თვითმფრინავთან შეწყდა.



## აშშ-ში 6 ათას ნარკოდილერს საპატიმროდან ათავისუფლებენ

**ბი-ბი-სის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ში, პატიმართა რაოდენობის შემცირების პროგრამის ფარგლებში, 6 ათას ადამიანს გაათავისუფლებენ.**

საუბარია იმ პატიმრებზე, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს. აღნიშნულ პროგრამას აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო ატარებს.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

**საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.**

**ახალ რუბრიკაში „ო, დროებავ, ო, ზნე-ჩვეულებანო“ (ციცერონის ფრაზა) გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის.**

**დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...**

## ოქტობერფესტი — ფესტივალი პირუტყვივით გასალეშად

**ყოველი წლის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში გერმანიაში, მიუნხენის ცენტრში, რკინიგზის ცენტრალურ სადგურთან ახლოს, ტერეზას მინდვრებზე იმართება დიდი სახალხო სეირნობა-გართობა — ოქტობერფესტი, რომელიც 16 დღეს გრძელდება და რომელშიც მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. მიუნხენური ლუდსახარში კომპანიები სპეციალურად ფესტივალისთვის ასხამენ ალკოჰოლის მაღალი შემცველობის ლუდს (5,8-6,3%).**



 აი, როგორ ისვენებენ საუკეთესო ევროპული ტრადიციების გერმანელები და მათი სტუმრები, როცა ევროპის სახელმწიფოებს, მათ შორის, გერმანიას, ასიათასობით ლტოლვილი უტევს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან: როგორც ფოტოებზეა ასახული, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების საჯაროდ დაკმაყოფილება, პირღებინება იშვიათი მოვლენა არ არის...



ამ ღონისძიებისადმი სიტყვა „კულტურის“ დამატება ცინიკურია. ერთი შეხედვით, უზნეო არაფერია — ლუდის მდინარეები, სოსისები, ძეხვები, ატრაქციონები, ღრმადეკოლტიან ბავარიულ კაბებში გამოწყობილი გოგონები... ორიოდე საათის შემდეგ კი, როდესაც „კლიენტები საჭირო კონდინციას“ მიაღწევენ, საფესტივალო სივრცეს „კულტურული შოკი“ ემართება.



## საფრანგეთში ქრისტიანული ტაძრების ნგრევა დაიწყეს

**საფრანგეთში 1905 წელს მიიღეს კანონი სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ და მას შემდეგ ტაძრების უმრავლესობა სახელმწიფოს ან კიდევ მუნიციპალიტეტებისა და რელიგიური თემების საკუთრებაში გადავიდა.**

**ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების ფონზე ეკლესიების ნგრევა კიდევ ერთი გააფთრებული შეტევაა ქრისტიანული ფასეულობების წინააღმდეგ.**

საფრანგეთში ქრისტიანული ეკლესიის ისტორიული შენობების რესტავრირება-რეკონსტრუქციაზე უარს ამბობენ ან ეკლესიებს ცუდად აღადგენენ, შემდეგ კი ანგრევენ.

**აბევილის** (კანტონი კონფლან-ან-ჟარნიზი, ლოტარინგიის რეგიონი) სენ ჟაკის სახელობის ეკლესია 1878 წელს ააშენეს. ამა წლის თებერვალში კი ქალაქის მერიამ ჩათვალა, რომ ეკლესიის შენობა, რომელსაც მრევლი არ ჰყავდა, ავარიულია და დანგრევა გადაწყვიტა, რადგან რესტავრაციას 1,9 მლნ ევრო დასჭირდებოდა.

აი ასე გამოიყურებოდა აბევილის ეკლესია ძველ ფოტოზე (მარცხნივ). ასეთია დღეს.









**ამერიკელმა პოლიციელმა შავკანიანი მოსწავლე გზაზე არასწორად გადასვლის გამო გალახა.**

ქალაქ სტოკტონში (კალიფორნია, აშშ) პოლიციელმა შავკანიან მოსწავლეს მხოლოდ იმიტომ სცემა, რომ გადასასვლელზე არ გადავიდა.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქესტეს ეკლესია



## ეკლესიის ნგრევა ქესტეში: 2013 წლის 20 ივნისი





## სოზარ სუბარი: სააკაშვილს სურს, სისხლი დაიღვაროს

**მიხეილ სააკაშვილს საქართველო და, საზოგადოდ, ადამიანი თავისი კარიერისთვის რომ უნდა, ეს ყველამ კარგად ვიცოდით, — ასე გამოეხმაურა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი იმ ჩანაწერებს, რომლებშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო მდივან გიგა ბოკერიას ესაუბრება.**

„მიხეილ სააკაშვილს რომ საქართველო და, საზოგადოდ, ადამიანი ერთადერთი რამისთვის — თავისი კარიერისთვის უნდოდა, ყველამ კარგად ვიცოდით. თუ ვინმემ აქამდე არ იცოდა, ის ახლაც ვერ გაიგებს ვერაფერს ამ დიალოგიდან, რადგან ისინი არიან მიშა სააკაშვილის სექტის წევრები და ვერასდროს ვერაფერს გაიგებენ. დანარჩენებისთვის ყველაფერი ნათელი იყო აქამდე და ნათელია დღესაც. ამ ადამიანს უნდა, რომ დაიღვაროს სისხლი იმისთვის, რომ საფუძველი შეიქმნას მისი ქვეყანაში დაბრუნების, მაგრამ ეს არ მოხდება და ვერ მოხდება და ეს ნათლად თქვა ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, მინისტრის თქმით, ამას გამოძიება დაადგენს — ვინ არის დამნაშავე, რა დანაშაულთან გვაქვს საქმე და რა შედეგები უნდა მოჰყვეს.



**წმინდა ბლეიზის ეკლესიის სამრეკლოს ნგრევა. 2013 წლის 28 იანვარი.**

ფრანგი ბლოგერები აღნიშნავენ, რომ დანგრეული ეკლესიების რაოდენობა იმატებს. ძეგლების დამცველები, სასულიერო პირები და რიგითი ფრანგები კი უძლურნი არიან, ეს პროცესი შეაჩერონ — კანონი მათ მხარეს არ არის.




## კლინიკა გაუპატიურებული მამაკაცებისთვის

**შვედეთის ხელისუფლებამ 15 ოქტომბერს გახსნა მსოფლიოში პირველი საავადმყოფო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მამაკაცებისთვის. მომსახურება უფასო იქნება, — იუწყება შვედური გამოცემა Local-ი.**

კრიმინალური მოქმედების პრევენციის შვედეთის ნაციონალური საბჭოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წელს შვედეთში 370 საქმე აღიძრა ბიჭებსა და მამაკაცებზე სექსუალური თავდასხმის გამო. შვედეთი გაუპატიურების მაჩვენებლებით ევროპაში პირველ ადგილზეა.



## ჰელოუინი — ბოროტების დაცინვა თუ გაუაზრებელი წარმართული დღესასწაული

**31 ოქტომბერი — 1 ნოემბრის ღამეს ამერიკელებსა და კანადელებთან ერთად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ ჰელოუინის — წარმართულ დღესასწაულს, რომლის აზრიც ბევრს არც კი ესმის.**

„ბოროტებასთან თამაში აუცილებლად აისახება ადამიანის ცხოვრებაზე, ჰელოიუნი კი უკვე კარგა ხანია, გადაიქცა სანახაობად, სადაც ბევრია სისასტიკე, ძალადობა და სექსუალური აღვირახსნილობა. სახის დამახინჯებამ ნიღბებით, რომლებიც დემონურ არსებებს გამოსახავენ, შეუძლებელია, დაღი არ დაასვას ადამიანის ფსიქიკას“, — გვაფრთხილებენ სასულიერო პირები.

ადამიანების შეშინების მოყვარულები კი ფულსა და დროს არ იშურებენ სამასკარადო კოსტიუმების შესაძენად, „საშინელებების დისკოთეკებსა“ და „ფრიკ-ბალებზე“ დასასწრებად, თუმცა ბევრი მათგანი არასოდეს დაფიქრებულა, რას ზეიმობს.

## გარყვნილი ფლორიდელის გატაცება — ქალის ფეხის სუნი

**52 წლის ფლორიდელი მამაკაცი ხშირად სტუმრობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ოღონდ არა ცოდნის მისაღებად... მამაკაცს ბიბლიოთეკაში სტუდენტი გოგონების ფეხების სუნი აღაგზნებდა.**

**ედი უანი** უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიდიოდა და



სამკითხველო დარბაზში ერთ-ერთი მაგიდის ქვეშ შეძვრებოდა ხოლმე, რათა დაეკმაყოფილებინა თავისი ამაზრზენი სურვილი: ეყნოსა სტუდენტი გოგონების ფეხის სუნი...

რამდენიმე კვირის წინათ ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ, რომლის ფეხის სუნმაც, როგორც ჩანს, ისე გააბრუა გარყვნილი მამაკაცი, რომ სიფრთხილე დააკარგვინა, მაგიდის ქვეშ მის ფეხებთან განრთხმულ ფეტიშისტს ფოტო გადაუღო.

დაცვის თანამშრომლებმა ვიდეოჩანაწერებზე ნახეს, რომ მოულოდნელი „ფოტოსესიის“ შემდეგ მაგიდის ქვეშ შემძვრალი ედი უანი სასწრაფოდ წამოხტა, დაიხურა თეთრი კეპი, გაიკეთა შავი სათვალე, დაჯდა მოპედზე და ბიბ-



ლიოთეკას სასწრაფოდ გაეცალა, მაგრამ სამართალდამცველებს ვერ დაემალა...

**ქალის ფეხები ედი უანის ერთადერთი უჩვეულო გატაცება არ არის. 1992 წელს ის მოზარდის გარყვნის გამო დააპატიმრეს.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

## მარტვილში კოალიცია «ქართული ოცნების» მაჟორიტარობის კანდიდატმა სოსო დანელიამ გაიმარჯვა

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი ინფორმაციით, მარტვილში გამართულ შუალედურ არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა სოსო დანელიამ გაიმარჯვა.** სოსო დანელიამ არჩევნებში 9620 ხმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა 72,54 %-ია. 3641-მა ამომრჩეველმა (27,45 %) კი მხარი „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატ ეთერ მეძველიას დაუჭირა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უინსტონ ჩერჩილი: „მე ყოველ დილით სანთელს ვანთებ და ღმერთს ვევედრები სტალინის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელზეც არის დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე“.**

# ბატონო ბიძინა, მიკვირს, როგორ იშოვეთ ამდენი ფული ასეთი აზროვნების კაცმა

## წერილი ბავშვებსა და... უწიგნურ მოზრდილებს

1879 წლის 21 დეკემბერს საქართველოში დაიბადა კაცი, რომლის ტოლ-სწორი არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც არ დაბადებულა. ჩემი სიტყვები მოხუცებულის ბოდვად რომ არ მოგეჩვენოთ, დავიმოწმებ დიდ ესპანელ მხატვარ პაბლო პიკასოს, რომელიც თავისი სიდიადით ბევრ დიდ ადამიანს არ ჩამორჩება მსოფლიოში. აი რას წერს იგი:

**„იყო სტალინი, ჩემი წარმოდგენით, ძალიან ბევრს ნიშნავს მსოფლიოში. ის გენიალური ადამიანი იყო და ამაში ეჭვი არავის ეპარება — არც ქუჩის მხატვარს მონმარტრიდან, არც მეცნიერს, რომელიც ბრწყინავს აკადემიაში, არც „როლს-როისის“ ინჟინერს და არც გალვანური ტექნიკის აღმომჩენელს ამერიკაში. ის მაღალი ხელოვნების თვალსაზრისითაც გენიალურია. უბრალო ადამიანური თვალსაზრისითაც კი ... მასში თავმოყრილი იყო სახელმწიფო მოღვაწის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველების დამაჯერებლობა და აზრის გადმოცემის სისხარტე, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, ყველანი მასში არიან. და, თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი კაცის სახელი დარჩება, ერთ-ერთი მათგანი უდავოდ სტალინი იქნება“ („ფიქრები დიდ ადამიანებზე“, პარიზი, 1961 წლის აგვისტო).**

პატარა ქვეყნის შვილსა და ხარაზი ბესარიონ ჯუღაშვილის ღატაკი ოჯახიდან გამოსულ, სემინარიადაუმთავრებელ **სოსო ჯუღაშვილს** არაფრად აგდებდნენ ბობოლა ოჯახებიდან გამოსული, ევროპაში განათლებამიღებული ქართველი ინტელიგენტები თუ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები.

ბრძენმა **ილია ჭავჭავაძემ** კი უმალ შენიშნა გამორჩეული ნიჭისა და გაქანების ახალგაზრდა და მას ჟურნალ „ივერიაში“ მისვლისთანავე პირველ გვერდზე დაუბეჭდა ლექსი „დილა“. იქვე დაიბეჭდა იოსებ ჯუღაშვილის კიდევ ხუთი ლექსი.

ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილი რევოლუციურ საქმიანობაში ჩაერთო და იქ განაგრძო თავისი ნიჭის გამომჟღავნება. სრულიად ახალგაზრდამ თავისი ცოდნითა და კალმით უდიდეს აღიარებას მიაღწია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უკიდეგანო რუსეთშიც.

უახლესი ისტორიის საიმედო და პოპულარული მკვლევარი, მეცნიერი **ვახტანგ გურული** ამტკიცებს: **„ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილი ილია ჭავჭავაძის პოეტური სტილის ძლიერ გავლენას განიცდიდა, ...ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაში განსაკუთრებულ ტაქტსა და თავშეკავებას იჩენდა. იგი არც 1901—1904 წლებში და არც შემდგომ პერიოდში ილიას საწინააღმდეგო კამპანიაში არ ჩაბმულა. ილიას მიერ ხელდასხმულ მოღვაწეს კარგად ესმოდა ერის მამის დამსახურება, მისი ადგილი საქართველოს ახალ ისტორიაში“.**

აქედან გამომდინარე, დასავლეთიდან შემოგდებული აზრი სტალინის შესახებ, რომელსაც დაქირავებული ქართველი მჯღაბნელები თუ „ფოტო-კინორეჟისორები“ ახმოვანებენ, ქართველი ბავშვებისთვის სრულიად მიუღებელი უნდა იყოს. ასევე მიუღებელი უნდა იყოს იმ ქართველი მოზრდილებისთვის, რომლებსაც არაფერი წაუკითხავთ საქართველოს უახლესი ისტორიიდან და ან ყალბი ფილოსოფიური ზღაპრებით, ან ფულის თვლით არიან გატაცებულნი.

**ბავშვებო და უწიგნურო მოზრდილებო, იცოდეთ, რომ თქვენ გყავთ წინაპარი იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც ყველა ქვეყნის მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაშია შესული, როგორც კაცი-ლეგენდა, და მას სტალინი ჰქვია!** სტალინი, რომელმაც გაათავისუფლა კაცობრიობა კაციჭამია ფაშისტებისგან. და სწორედ სტალინის სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული პლანეტა დედამიწის სიცოცხლეც.

ამის დამადასტურებელია თუნდაც 1943 წელს თეირანის კონფერენციის მიმდინარეობისას **უინსტონ ჩერჩილის** ჩანაწერი თავის დღიურში:

„მე ყოველ დილით სანთელს ვანთებ და ღმერთს ვევედრები სტალინის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელზეც არის დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე“.

აშშ-ის პრეზიდენტის **ფრანკლინ დელანო რუზველტის** უახლოესი მრჩეველი **ჰარი ჰოპკინსი** წერს:

**„ჩვენგან არავის შეეძლო, წინასწარ განეჭვრიტა, რა შედეგები გვექნებოდა, სტალინს რამე რომ დამართნოდა“.**

იმავე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი **კორდელ ჰალი** კი ამბობს:



**ბატონო ბიძინა, რატომ დაუწუნეთ ან ცოდნა, ან წლოვანება გოგი თოფაძეს, თუ ის კაცობისა და მეგობრობის სიმბოლოა? — იმიტომ, რომ დასავლეთის გეშინიათ? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში იმ აგენტურული ქსელის სათავეში დგახართ, რომელსაც აშშ მართავს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ და იქნებ აფინანსებთ კიდეც მათ**

**„სტალინს მხრებზე აწვა პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოესი 500 წლის განმავლობაში“.**

პატარა და დიდო ბავშვებო, ეს კაცი თქვენი წინაპარი იყო! პატარებს კიდევ გეშველებათ, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ არიან ავტორიტეტის მქონე ადამიანები, რომელთა სიტყვასაც ფასი აქვს. ერთ-ერთმა მათგანმა — **გოგი თოფაძემ** ახლახან განაცხადა, **„მალე ყველა დიდ კაბინეტში სტალინის სურათი დაიკიდება“**-ო, მაგრამ მას რა ეშველება, ვინც ზემოაღნიშნულ სიტყვებს გოგი თოფაძის სიბერეს და გონების დაქვეითებას მიაწერს?! **არადა, ახლახან, ამა წლის აპრილში, დიდძალი ფულის მქონე, მაგრამ მცირე ცოდნის პატრონმა, მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა:**

**„გოგის ძალიან დიდი ხანია ვიცნობ. პოლიტიკაში რომ მოვედი, ერთადერთი ნაცნობი გოგი დამხვდა. თამამად ვიტყვი: გოგი თოფაძე არის საოცარი ადამიანი, მან მოახერხა საქართველოში ბიზნესის კეთება, რაც არ არის იოლი. საზოგადოების არც ერთი შრე არ მინახავს, გოგის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატოს. ძალიან რთულია, საქართველოში პოლიტიკაში იყო და საზოგადოებაში მაინც გქონდეს კარგი ავტორიტეტი (რაც არასწორია — გრ.ონიანი). მგონი, ხვდებით, რაც მაქვს მხედველობაში, ის ღირსეული პიროვნებაა. საქართველოს და ჩვენ ყველას გვჭირდება ასეთი ადამიანები. ძალიან კეთილშობილი ადამიანი და საყვარელი კაცია. გოგი არის მეგობრობის სიმბოლო, კაცობის სიმბოლო“ („საერთო გაზეთი“, 22 აპრილი, 2015 წელი).**

მაშ, **ბატონო ბიძინა, რატომ დაუწუნეთ ან ცოდნა, ან წლოვანება გოგი თოფაძეს, თუ ის კაცობისა და მეგობრობის სიმბოლოა?! — იმიტომ, რომ დასავლეთის გეშინიათ? ვფიქრობ, ამ შემთხვევაში თქვენ დგახართ იმ აგენტურული ქსელის სათავეში, რომელსაც აშშ მართავს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ და იქნებ აფინანსებთ კიდეც მათ.**

არა მგონია, თქვენ უფრო მეტი ფული, რესურსი და გავლენა გქონდეთ, ვიდრე დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **უისტონ ჩერჩილს** ჰქონდა 1959 წლის 21 დეკემბერს, როდესაც ის სტალინის დაბადების 80 წლის აღსანიშნავად ფეხშიშველი მივიდა ეკლესიაში და სტალინის სახელზე წირვა აღავლინა, შემდეგ კი გეზი თემთა პალატისკენ აიღო, სადაც სტალინი შეაფასა შემდეგი სიტყვებით:

**„ბატონებო! თუ გვინდა, დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით, გამოჩენილი პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალი სიმუსი სტალინი. რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება.**

**სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, ვისაც მეც კი აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას. სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის დიდი გრძნობა და თქმულის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა, თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში ისეთი დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა.**

**სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა, მის გავლენას ადამიანზე ანალოგი არ ჰქონდა... როცა, ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა საოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, ხელები რატომღაც შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული.**

**ის ღრმა სიბრძნეს ფლობდა. იყო ყველაზე რთული და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს აჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა.**

**სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი! რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!“**

უინსტონ ჩერჩილის ეს სიტყვა შესულია დიდი ბრიტანეთის დიდ ენციკლოპედიაში, აგრეთვე, უამრავი ქვეყნის ენციკლოპედიებში.

და, **თუ თქვენ, ბატონო ბიძინა, ჩერჩილზე აღმატებულ პოლიტიკოსად და მდიდარ კაცად არ მიგაჩნიათ თავი, როგორ მიეცით საქართველოს ჩვეულებრივმა მოქალაქემ თავს უფლება, გაგეკრიტიკებინათ გოგი თოფაძის ნათქვამი, როდესაც ის რანგითა და კაცობით თქვენზე მაღლა დგას?!**

ხომ არ გგონიათ, როგორც 2012 წელს გააბ- ▶

**„მასში თავმოყრილი იყო სახელმწიფო მოღვაწის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველების დამაჯერებლობა და აზრის გადმოცემის სისხარტე, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, ყველანი მასში არიან. და, თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი კაცის სახელი დარჩება, ერთ-ერთი მათგანი უდავოდ სტალინი იქნება“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოიყვეთ ამომრჩეველი ცრუ დაპირებებით, კვლავაც გააბრიყვებთ 2016 წლის არჩევნებში? ეს არ გამოგივათ!

გოგი თოფაძეს სატელევიზიო ეთერში გამოსვლიდან მეორე დღეს დავურეკე და ვუთხარი: „ქართულ ოცნებას“ ხმას არავინ მოგცემდათ მომავალ არჩევნებში, მაგრამ თქვენმა გაბედულმა სიტყვამ და პათოსმა აღაფრთოვანა უამრავი ქართველი და თქვენთან ვართ, მე, ჩემი საგვარეულოთი, ყოველთვის ვუჭერდი მხარს ნინო ბურჯანაძეს, როგორც ჩემი მეგობრის — ანზორ ბურჯანაძის ქალიშვილს, მაგრამ პირადად, მე თქვენ უნდა დაგიჭიროთ მხარი-მეთქი.

ეს თვალსაზრისი ყველა ჩემი ახლობლისთვის გაზიარებული არ მქონდა, რომ თქვენ, ბატონო ბიძინა, სატელევიზიო ეთერში უშინაარსო გამოსვლით იმ კაბინას, სადაც ხმის მისაცემად უნდა შევსულიყავით ერთი წლის შემდეგ, ფარდა ჩამოაფარეთ და თქვენივე ხელით დააწერეთ: **„არ შეხვიდეთ, სატყუარაა!“.**

**თქვენ არათუ დააბრუნეთ სტალინის ძეგლი კუთვნილ ადგილას გორის ცენტრში, როგორც გორელებს დაჰპირდით, არამედ თბილისის ცენტრიდან სააკაშვილის ველოსიპედიც კი ვერ მოაშორეთ.**

თქვენ ტრაბახობთ საკუთარი ბიზნესწარმატებებით და გმობთ სტალინს, რომელმაც საქართველოში:

***ააშენა ქალაქი რუსთავი;**

***შექმნა ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც თავისი მოცულობითა და ხარჯთაღრიცხვით უტოლდება რკინიგზის გაყვანას ბაქოდან ფოთამდე თავისი წიფის გვირაბითა და ინფრასტრუქტურით;**

***თბილისში დაგეგმა მეტროპოლიტენი;**

***დაამშვენა ფუნიკულიორი, რომელიც თქვენ ასე საშინლად დაამახინჯეთ (და გარწმუნებთ, რომ ის, ადრე თუ გვიან, ასეთი აღარ იქნება);**

***ააშენა ულამაზესი „სტალინური“ სასახლეები;**

***ბაღნარად აქცია მტკვრის სანაპიროები;**

***უსწრაფესად აღადგინა დამწვარი რუსთაველის თეატრი, რომლის მოსახატავად ოქრო საკავშირო რეზერვებიდან იქნა მოხსნილი;**

***ომის დაწყების დღესვე გაიხსნა თბილისში რიგით მესამე მეცნიერებათა აკადემია;**

***სტალინის ინიციატივით შეიქმნა თბილისელებისთვის ყველაზე საყვარელი ადგილი — თბილისის ზღვა.**

**იქნებ, კეთილი ინებოთ და წაიკითხოთ მხოლოდ ომის შემდეგ სტალინის გარდაცვალებამდე საქართველოში აშენებული წამყვანი საწარმოების სია:**

**სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური და ცემენტის ქარხნები რუსთავში, ელმავალმშენებელი ქარხანა თბილისში, საავტომობილო ქარხანა ქუთაისში, ბამბეულის მძლავრი კომბინატი და ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა გორში, გამამდიდრებელი ფაბრიკები ჭიათურასა და გორში, ქვანახშირის, მარგანეცის, ტყვია-თუთიისა და ბარიტის ახალი შახტები და მაღაროები ტყიბულში, ტყვარჩელში, გელათში, ახალციხეში, ჭიათურაში, კვაისაში, ირში; ქარხნები „ელექტროავტომატი“, „ელექტროგამშვები“, „მიკროძრავა“ და „გაზაპარატი“, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების, ლითონის სახერხი დაზგებისა და ტექნიკური ქვის ქარხნები თბილისში. გემთმშენებელი, ჩაის მრეწველობის ფაბრიკა, მანქანათმშენებელი და ელექტრომექანიკური ქარხნები ბათუმში, მიწის დამამუშავებელი მანქანებისა და ექსკავატორების ქარხანა ფოთში, ქარხანა „ემალსადენი“ და ელექტროვიბრატორების ქარხანა სტალინირში (ასე ერქვა ადრე ცხინვალს — გრ. ონიანი), საშახტო მოწყობილობებისა და ელექტრომექანიკური ქარხნები ქუთაისში, კაბელების ქარხანა ზესტაფონში, ხრამის პირველი, სოხუმის, ჭითახევის, ტყიბულის, შაორის, გუმათის, ლაჯანურის მძლავრი ჰიდროელექტრო სადგურები, ჩაის ფაბრიკები, ღვინის, საკონსერვო, ეთერზეთების, ზეთსახდელი, ყველისა და რძის ქარხნები და მრავალი სხვ.**

იქნებ, ბატონო ბიძინა, ისიც წაიკითხოთ, რას ვაწარმოებდით სტალინურ ეპოქაში. **ვაწარმოებდით:** თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, კოქსს, მაგისტრალურ ელმავლებს, ურთულეს ლითონსაჭრელ ჩარხებს, ექსკავატორებს, ავტომანქანებს, ტრაქტორებს, მინერალურ სასუქებს და სხვ.

**იმხანად თუჯის წარმოების მხრივ გავუსწარით მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე, თუჯისა და ფოლადის წარმოების მიხედვით, — იტალიას, იაპონიას, ინდოეთსა და თურქეთს. საქართველო აწარმოებდა მეტ ფოლადს, ვიდრე შვეიცარია და თურქეთი ერთად.** საქართველოს მიერ ექსპორტირებული საქონლის ვრცელ სიაში იყო: ურთულესი მანქანები, უნივერსალური ჩარხები, ლითონი, მილები და ფეროშენადნობები, მეტალურგიული ხელსაწყოები, მარმარილო, ცემენტი, ანდეზიტი, სამედიცინო პრეპარატები, ღვინო, კონიაკი, ჩაი, კონსერვები, მაკარონი, მურაბები, მინერალური წყლები, მარგანეცი, თამბაქო, ხილი და სხვ.

**ეს ყველაფერი ხომ დასაქმებასა და მშრომელთა მატერიალურ უზრუნველყოფასთან იყო დაკავშირებული?!**

საქართველოს პროდუქცია წარმოდგენილი იყო 16 საერთაშორისო ბაზრობასა და გამოფენაზე.

ბატონო ბიძინა, იქნებ იმასაც მიაქციოთ ყურადღება, რა გააკეთა სტალინმა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის და შეადაროთ ის თქვენს გაკეთებულს

*** სტალინის უშუალო მითითებითა და ინიციატივით:** ფართოდ გაიშალა სამელიორაციო სამუშაოები, სარწყავმა არხებმა დასერა



სტალინი და უინსტონ ჩერჩილი იალტის კონფერენციაზე

**ბავშვებო და უნიჭურო მოზრდილებო, იცოდეთ, რომ თქვენ გყავთ წინაპარი იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც ყველა ქვეყნის მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაშია შესული, როგორც კაცი-ლეგენდა, და მას სტალინი ჰქვია! სტალინი, რომელმაც გაათავისუფლა კაცობრიობა კაციჭამია ფაშისტებისგან**



**თქვენ არათუ დააბრუნეთ სტალინის ძეგლი კუთვნილ ადგილას გორის ცენტრში, როგორც გორელებს დაჰპირდით, არამედ თბილისის ცენტრიდან სააკაშვილის ველოსიპედიც კი ვერ მოაშორეთ**

სრულიად საქართველო. აშენდა: კულაშ-ღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, წილკნის, დოეს-გრაკლის, თეზი-ოკამის, აჯამეთის, ტირიფონის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის, სამგორისა და სხვა სარწყავი სისტემები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩააყენეს 330 000 ჰექტარი მაღალპროდუქტიული მიწა, 220 000 ჰექტარი კი ჭაობს გამოსტაცეს.

*** სტალინის მითითებითა და ინიციატივით:** საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა ნატანებ-მახარაძის, ცხაკაია-სოხუმ-ადლერის, გორი-სტალინირისა და ბროწეულა-გუმბრინის სარკინიგზო ხაზები, დაიგო ფართოლიანდაგიანი ხაზი ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე. 1932 წელს ზესტაფონი-ხაშურის ხაზის ელექტრიფიკაციით დაიწყო სრულიად საბჭოთა კავშირში რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია.

თუ იმდროინდელ საბჭოთა კავშირში რკინიგზის ტრანსპოტრის ელექტროფიკაცია 2%-ს არ აღემატებოდა, საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტის ელექტროფიკაცია 78% იყო.

1953 წელს (სტალინის გარდაცვალების წელს) საქართველოს ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში სწავლობდა 666 000 მეტი კაცი, მათგან 30 000-ზე მეტი მუშა და სოფლის ახალგაზრდობა — საღამოს სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში კი 6 000 ბავშვს ზრდიდნენ.

**სამეცნიერო სისტემებში** გაერთიანებული იყო 145 სამეცნიერო საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებში, საცდელ ბაზებსა და რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდა 8000-ამდე მეცნიერი მუშაკი, მათ შორის, 400-ზე მეტი მეცნიერების დოქტორი და 3 000-ზე მეტი მეცნიერების კანდიტატი.

საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის რესპუბლიკის 67 მეცნიერს მინიჭებული ჰქონდა სტალინური პრემია.

**ქართული ხელოვნებისა და კულტურის** განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებდა რესპუბლიკაში არსებული ოცზე მეტი სახალხო თეატრი და 2100 მეტი თვითმოქმედი კოლექტივი, რომლებიც აერთიანებდა 46 000-ამდე კაცს. ქართული კულტურის 64 წარმომადგენელს სტალინური პრემია მიენიჭა, 16 საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებას ატარებდა, 400-მდე კაცი კი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებას.

უფასო და მაღალკვალიფიციურ **სამედიცინო მომსახურებას** საქართველოს მოსახლეობას უწევდა 12 803 ექიმი, 29 097 საშუალო განათლების მქონე მუშაკი. 50-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკას ჰქონდა 641 საავადმყოფო 26 261 საწოლით. საქართველოს კურორტებზე მოქმედებდა 87 სანატორიუმი, 36 დასასვენებელი სახლი და 13 პანსიონატი. უდიდესი ყურადღება ექცეოდა **სპორტს.** მრავალი ასეული ქართველი სპორტსმენის ოსტატობა არაერთხელ აღნიშნულა საკავშირო, მსოფლიოსა და ოლიმპიურ შეჯიბრებებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

აქ ისევ უდიდესი მეცნიერის — **ვახტანგ გურულის** სიტყვებს მოვიყვან:

„სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება!“

და თქვენ, **ბატონო ბიძინა, პრეტენზია გაქვთ, რომ უკვე უკვდავ ადამიანთა სიაში ხართ შეყვანილი და ასე უაპელაციოდ შეგიძლიათ სტალინის მოღვაწეობის შეფასება?** გოგი თოფაძის გამონათქვამი, რომ „სტალინის სურათი მალე ყველა დიდ კაბინეტში დაიკიდება“, ვარაუდია, სურვილია თანამედროვე კაცისა თავის წინაპარზე, მაგრამ თქვენი მხრიდან სტალინის იგნორირება არ არის ვარაუდი. **ეს არის თქვენი თავდაჯერებულობა, რომ გაცილებით მეტი ხართ სტალინზე და მიგაჩნიათ: იმდენი თავხედობა და „კაცთმოძულეობა“ რომ გქონოდათ, რამდენიც სტალინს, არა მხოლოდ გერმანიას, სრულიად ევროპას და აზიას დაიპყრობდით.**

ბატონო ბიძინა, მიკვირს, როგორ იშოვეთ ამდენი ფული ასეთი აზროვნების კაცმა. ბევრისგან მსმენია: ფულის შოვნა გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი დაცვა და შენახვაო. მე მესმის თქვენი და მეცოდებით კიდეც. იქნებ თქვენ სტალინი ჩემზე მეტად გიყვართ და უფრო დიდ სიყვარულს გამოამჟღავნებდით მის მიმართ, ფული რომ არ გქონდეთ. და რადგან დიდძალ ფულს დაცვა სჭირდება, ამიტომ სტალინის გაკიცხვა-დაგმობა ფულით სავსე ტომრის ერთგვარი დაცვაა... მაგრამ **უწონადობის პირობებში ყოველთვის ვერ იქნებით, ბოლოს და ბოლოს, ან ამერიკის სული უნდა ჩაიბეროთ ფილტვებში, რასაც ჩაგვჩიჩინებენ ადგილობრივი არასამთავრობოები თუ თვითონ ამერიკელები, ან — რუსული ჰაერი.**

აი მაშინ დაიწყება უფლის მიერ განსჯა და აღსრულება. არ ვიცი, ერთ ადგილზე გაქვთ ფული შენახული თუ ორზე... თუ ერთ ადგილზე გაქვთ, ერთი სახელმწიფოს ბიუჯეტს მიემატება თქვენი თანხა; თუ ორ ადგილას გაქვთ, მაშინ მას ტოლად გაიყოფენ აშშ და რუსეთი. თქვენ კი დაგრჩებათ შეძულებული სტალინი, შეძრწუნებული საქართველო, ქართველი ხალხის სიძულვილი (ნდობის მაგიერ), ჩამოქცეული შუშის სასახლე, ათასი ბრალდება და უგზო-უკვლოდ გაფანტული ოჯახი...

მიუხედავად ბიზნესში გაჩენილი შურისა თუ საფინანსო ოპერაციებში, ნებით თუ უნებლიეთ, დაშვებული შეცდომებისა, ეროვნულობის გამო ხალხისთვის ეტალონად ქცეულ გოგი თოფაძეს, რომელიც იაკობ ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, რუსთაველის, სააკაძის, ერეკლე მეორისა და სტალინის სულიერი მემკვიდრეა, ყველაფერი მიეტევება და ის, ვიდრე პერანგის ტარება შეუძლია, ქართველი ხალხის საყვარელი ადამიანი იქნება, მისი შვილები კი — მამის მემკვიდრეობის კანონიერი მფლობელები.

ბატონო ბიძინა, თქვენი აღზევებული არ გეგონოთ გოგი თოფაძე. თქვენს ხელში ის დადუმებულია და არა აღზევებული, თორემ გოგი თოფაძე კომუნისტური ხელისუფლების მიერ ხელებზე ბორკილდადებულიც მინახავს, მაგრამ ის ბორკილები თავისი ძლიერი მაჯებით დაუმსხვრევია და მისთვის თავისუფლება ვერავის შეუზღუდავს. თქვენ მალე დაშორდებით ერთმანეთს...

ბატონო გოგი, ერთ რამეს გთხოვთ: როცა ამ წერილს წაიკითხავთ, ნუ დამამცირებთ, ნუ გამკიცხავთ თქვენს პატრონთან.

არ უთხრათ: **ყურს ნუ მიუგდებ, ბატონო ბიძინა, ამ მოხუცებული კაცის ბუტბუტსო.**

სხვას თქვენგან არც არაფერს ველოდები და არც მჭირდება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ამჟამად შექმნილ უსაფრთხოების სიტუაციას, უპირველეს ყოვლისა, მიტოვების შიში ახასიათებს. ამ შიშის წყარო არა მხოლოდ რუსეთის ქცევა, არამედ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შექმნილი სიტუაციაცაა. ეს ორი ფაქტორი ერთად საფრთხის განცდას იწვევს.**

# ნატო — კოშმარი აღმოსავლეთი ევროპისთვის

**ბრიტანული გამოცემა Prospect-ის აგვისტოს ნომრის გარეკანმა მკითხველი მიიზიდა ნახატით, რომელზეც, როგორც რუკაზე, გამოსახული იყო ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო. რუკის ზემოთ ამოიცნობოდა სწორედ ბალტიისპირეთისკენ მიმართული სნაიპერის სამიზნის კონტურები. ამ უნიჭო, მაგრამ ნათელი სურათის გვერდით ეწერა: „პუტინის ახალი მიზანი“, რომელსაც მკითხველის ყურადღება ნომრის მთავარ თემატურ სტატიაზე გადაჰქონდა.**

დღეს ეს ყველაფერი შორეულ წარსულად გვეჩვენება. გარეკანი ჯერ კიდევ მანამდე მომზადდა, ვიდრე ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე სერიოზულ გავლენას იქონიებდა ევროპაში დევნილების მასობრივი შედინება. დევნილების საკითხის სათანადოდ შეუფასებლობა არ შეიძლება, მაგრამ არც ის ივარგებს, რომ ყველაფერი ამით გადაიფაროს. ამგვარი სიბრმავის უკიდურესი გამოვლინებაა იდეა იმის შესახებ, რომ დევნილებთან დაკავშირებული კრიზისის გადასაჭრელად საჭიროა საქმეში არმიის ან სულაც ნატოს ჩართვა. ეს სტრუქტურები ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებზეც მუდამ იყვნენ ორიენტირებულნი, და არა იმაზე, რასთან გამკლავებაც, ჯერჯერობით მაინც, სამხედრო ძალის გარეშეც მოხერხდება.

## რა რის „სახიფათო“?

უსაფრთხოება თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ღირებულებად იქცა. ის მოთამაშეებს აძლევს ინსტრუმენტს, სხვათა საზიანოდ შეიცვალონ პოზიციები. გარდა ამისა, ხშირად უსაფრთხოება ერთადერთი რამ არის, რომლის მიხედვითაც მოთამაშეები საერთო ენას ნახულობენ, მიდიან დასკვნამდე, რომ უსაფრთხოება უნდა განმტკიცდეს.

ამას ყველა ეთანხმება, მაგრამ ძალიან ხშირად გაცხარებული პოლიტიკური კამათის თემაა კითხვები, საიდან მომდინარეობს საფრთხე, ვის და რის წინააღმდეგ საბრძოლველად მომზადებაა საჭირო, რის აღკვეთაა აუცილებელი და როგორ. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს შესაძლო მოწინააღმდეგის ან მტრის პოტენციალის გამორკვევაც და ფსიქოლოგიური ფაქტორიც — ემოციები, რომლებსაც დიდი გავლენა აქვს ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაციის აღქმაზე. უშიშროებისთვის შექმნილი საფრთხეების გაგება განუყოფელი ნაწილია დავისა, კონკრეტულად რას მივიჩნევთ სახიფათოდ.

გაურკვევლობა და საფრთხეების განუსაზღვრელობა ხშირად იმ პერიოდის მახასიათებლებად საღდება, რომელიც ცივი ომის დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დადგა. ძველი ცოდნისგან იმის შესახებ, საიდან მომდინარეობს საფრთხე და რა სახისაა ის, კვალიც აღარ დარჩა. **ამ სიტუაციას დამკვირვებლები ხშირად მიჰყავს პარადოქსულ დასკვნამდე, რომ სინამდვილეში ცივი ომის პერიოდი უფრო უსაფრთხო იყო, რადგან მოწინააღმდეგე ცნობილი გახლდათ.**

ამასთანავე, მათ ავიწყდებათ ის კრიტიკული მომენტები, როდესაც მსოფლიო, პირდაპირი გაგებით, იდგა მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე, ასევე ის, რომ ორი ზესახელმწიფო ყოველთვის მზად იყო მსგავსი კონფლიქტის გასაჩაღებლად. ავიწყდებათ ისიც, როგორი პარანოიდული იყო ორივე ზესახელმწიფო და როგორი ეჭვის თვალით უყურებდა ერთმანეთს. ხანდახან ეს კატასტროფულ შეცდომებს განაპირობებდა და მხარეებს ითრევდა კონფლიქტში. ასე რომ, აბსურდულად გამოიყურება ის მონატრება, რომლის თანხლებითაც მიმდინარეობს საუბრები ორი სახელმწიფოს კონფლიქტზე, როგორც გონივრულად მოქმედი მხარეების შეტაკებაზე.

## რაზე შეიძლება დაყრდნობა

ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ის, თუ შეუძლიათ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნებს იმაზე დაყრდნობა, რომ კოლექტიური თავდაცვის პრინციპი იმუშავებს. ცივი ომის პერიოდში ხშირად განიხილებოდა ჰიპოთეზური სცენარი, რა რეაგირება ექნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებს საბჭოთა კავშირის



**მოქალაქეებს უჩნდებათ შიში, რომ დიდი სახელმწიფოები პატარა სახელმწიფოების საზიანო გადაწყვეტილებაზე შეჯერდებიან. ამგვარ ეჭვებს ისტორიული ანალოგიები ასაზრდოებს**



**ცივი ომის პერიოდი უფრო უსაფრთხო იყო, რადგან მოწინააღმდეგე ცნობილი გახლდათ**

მხრიდან ევროპაზე თავდასხმის შემთხვევაში. მზად იყო თუ არა ის იმ კონფლიქტში ჩასართველად, რომელშიც, შესაძლოა, ბირთვული იარაღიც გამოეყენებინათ და რომელშიც, შესაძლოა, განადგურებულიყო კიდეც?

შესწირავდა მსხვერპლად ამერიკა საკუთარ ქალაქებს, მაგალითად, ვაშინგტონის ან ნიუ იორკს, დასავლეთ ბერლინის, ბონის ან პარიზის გადასარჩენად?

ამგვარი ეჭვები, რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სიტუაციის მეტად დაძაბვის კვალდაკვალ ჩნდება, უამრავია. მაგალითად, **მოქალაქეებს უჩნდებათ შიში, რომ დიდი სახელმწიფოები პატარა სახელმწიფოების საზიანო გადაწყვეტილებაზე შეჯერდებიან. ამგვარ ეჭვებს ისტორიული ანალოგიები ასაზრდოებს.**

ყველაფერი ტრიალებს ერთი კითხვის ირგვლივ: **შეიძლება თუ არა მოკავშირეებზე დაყრდნობა?**

ამგვარი ეჭვები დამახასიათებელია ნატოს წევრი არა მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. ხსენებულმა ისტორიულმა გამოცდილებამ, შესაძლოა, ეს რეგიონი ეჭვების მიმართ მეტად მიდრეკილი გახადოს, მაგრამ მსგავსი შიში ეფუძნება თავდაცვით ალიანსში წევრობას.

როგორც კი რომელიღაც სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, რომ არ დაეყრდნობა მხოლოდ საკუთარ ძალებს, არამედ გააერთიანებს მას სხვა სახელმწიფოთა ძალებთან, ის ორი გარდაუვალი რისკის წინაშე დგება: **პირველი რისკი არის შიში, რომ მოკავშირეები განსაცდელის ჟამს მიატოვებენ. საერთაშორისო პოლიტიკაში თანამედროვე მიდგომა კი შემდეგნაირია: მეგობრების ძებნა საჭიროა, მაგრამ არ ღირს მათზე სრულად დაყრდნობა, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო, პირველ რიგში, ყოველთვის საკუთარ ინტერესებს დაიცავს.** იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ, ნამდვილად დაეყრდნონ ერთმანეთის მხარდაჭერას, საიმედო და მეგობრული ურთიერთობების სრულად გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ეს მაინც იშვიათი მოვლენაა.

მეორე გარდაუვალი რისკი, რომელიც მოკავ- ►

---

მოკლედ

## ერდოღანი ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას არ გამორიცხავს

**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას არ გამორიცხავს.**

მისი თქმით, არ დაუშვებს, რომ აშშ-ის მხარდაჭერილმა სირიელმა ქურთებმა სირია-თურქეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ თელ-აბიადში ავტონომია შექმნან. „რაც საჭიროა, იმას გავაკეთებთ“, — განაცხადა ერდოღანმა. თურქეთი იმ კოლაიციის წევრია, რომელიც სირიაში აშშ-ის ხელმძღვანელობით „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს უტევს. ოფიციალური ანკარა მიიჩნევს, რომ თელ-აბიადში ავტონომიის გამოცხადება თურქეთის ეროვნულ უსფრთხოებას ემუქრება.



**როდესაც აშშ-ის მმართველმა ელიტამ გერმანიის მმართველ ელიტას პირდაპირ დაუსვა საკითხი: „ან მე, ან რუსეთი!“, სინამდვილეში კითხვა სულ სხვაგვარი შინაარსის იყო: პირდაპირ მოკვდეს (უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობაზე) თუ შეეცადოს გადარჩენას (უარი თქვას აშშ-ის ნებისმიერი მითითების შესრულებაზე)? როგორც „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისა და უკრაინისთვის მშვიდობის იძულებიდან ჩანს, გერმანიას ჯერჯერობით სულაც არ სურს თვითმკვლელობა და რუსეთთან როგორმე თანაარსებობა ურჩევნია...**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შირულ ვალდებულებებს ახლავს, არის შიში, რომ მოკავშირეების მხრიდან ესა თუ ის სახელმწიფო შეიძლება ჩათრეული აღმოჩნდეს კონფლიქტში, რომლისთვისაც თავის არიდებას არჩევდა, რადგანაც მას უაზროდ მიიჩნევს. საუბარია სიტუაციაზე, როდესაც მოკავშირე სახელმწიფოთაგან ერთ-ერთმა, შესაძლოა, გამომწვევად დაიწყოს ქცევა იმ იმედით, რომ საჭიროების შემთხვევაში მოკავშირეები გვერდით დაუდგებიან.

### მიტოვების შიში

**ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ამჟამად შექმნილ უსაფრთხოების სიტუაციას, უპირველეს ყოვლისა, მიტოვების შიში ახასიათებს. ამ შიშის წყარო არა მხოლოდ რუსეთის ქცევა, არამედ ჩრდილოატლანტიკულ ალიანსში შექმნილი სიტუაციაცაა. ეს ორი ფაქტორი ერთად საფრთხის განცდას იწვევს.**

ერთი მხრივ, არის რუსეთის ქმედებები, რომლებსაც ბევრი უსაფრთხოების მუქარად განიხილავს. ეს ფაქტორი უკრაინაში წარმოქმნილი კრიზისის შედეგი არ არის. ის ამ კრიზისამდე რამდენიმე წლით ადრე გაჩნდა. ისტორიაში ჩაღრმავება საჭირო არ არის. საკმარისია, გავიხსენოთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგების მიუღებლობის გამო მუქარები და 2008 წლის ომი საქართველოში.

მეორე მხრივ, არის ალიანსის შედარებით გულგრილი დამოკიდებულება ევროპის მიმართ, რომელიც შარშან ავღანეთში ოპერაციის დასრულებისას გამოვლინდა. **ევროპაში უსაფრთხოებას საჭიროზე ნაკლები ყურადღება რომ ეთმობა, კონტინენტიდან ამერიკის ჯარების გაყვანამ და ყურადღების აზიაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთზე კონცენტრირებამ განამტკიცა.**

მიტოვების შიშს თან ახლავს მოთხოვნა, რომ ალიანსი ნამდვილად დაიცავს თავის წევრებს. ეს უნდობლობის გამოხატულებაა. როდესაც ვინმეს ვენდობით, ცხადია, არ ვითხოვთ, რომ მან განუწყვეტლივ ამტკიცოს საკუთარი საიმედოობა. სწორედ ამიტომაც ალიანსი მსგავს მოთხოვნებს სერიოზულად აღიქვამს.

### ზომების შთამბეჭდავი ნაკრები

იმ ზომების ჩამონათვალი, რომლებმაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოკავშირეები უნდა დაარწმუნოს, ნამდვილად შთამბეჭდავია. ამასთანავე, საუბარი არ არის ისეთ პროპაგანდისტულ მანევრებზე, როგორიცაა ამერიკული ქვედანაყოფების ბალტიისპირეთიდან პოლონეთისა და ჩეხეთის გავლით გერმანიამდე ჩასვლა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ნატოს სწავლებების დიდი ნაწილი სწორედ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ტარდებოდა. 2014 წელს გამოყვანილი ზოგიერთი ამერიკული ქვედანაყოფი ევროპულ ბაზებზე კვლავ დაბრუნდა იმ პროგრამის ფარგლებში, რომლისთვისაც აშშ-ის კონგრესმა ერთი მილიარდი დოლარი გამოყო. ეს კი მცირე თანხა არ არის.

მოკავშირეების დარწმუნების მისწრაფება არ შემოიფარგლება სამხედრო მანევრებით. უელსში ნატოს სამიტამდე ესტონეთში აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** ვიზიტს ჰქონდა კონკრეტული პოლიტიკური მიზანი: ეს იყო მხარდაჭერისა და მოკავშირული ვალდებულებების ნათელი დეკლარაცია. როდესაც ობამამ განაცხადა, რომ „დავიცავთ ჩვენს ნატოელ მოკავშირეებს”, ანუ ყველა მოკავშირესო, ამაზე ნათლად აზრის გამოხატვა მას არ შეეძლო.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის — **იენს სტოლტენბერგის** ბოლოდროინდელი ვიზიტი პრაღაში კიდევ ერთი სიმბოლური ჟესტია, რომლის მიზანიც იყო დარწმუნება, რომ კოლექტიურ თავდაცვაზე, რომლის საფუძველზეც ნატო შეიქმნა, დაყრდნობა შეიძლება. შემთხვევითი არც ის არის, რომ ნატოს მომდევნო სამიტი გაისად ვარშავაში გაიმართება.

მიუხედავად ამ ძალისხმევისა, შედეგი ძალზე უმნიშვნელოა — მიტოვების შიში კვლავ რჩება. რატომ? არის სამი შესაძლო ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთს არ გამორიცხავს, პირიქით, ერთ მრავალწახნაგოვან მთელს წარმოადგენს.

### დაშინება გამოსავალი არ არის

მოქმედებათა უმეტესობა, რომელთა მიზანიც მოკავშირეების საკუთარ საიმედოობაში დარწმუნებაა, რუსეთის დაშინების მცდელობას ეფუძნება. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ქმედებები წარმოადგენს საფრთხის მთავარ წყაროს, ამგვარი მიდგომა ლოგიკურია. დაშინება არის სიგნალი, რომლის მიზანია, აჩვენოს, რომ მდგომარეობის დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას გადამწყვეტი პასუხი მოჰყვება და, თუკი რუსეთი ფიქრობს, რომ საკუთარი ინტერესების წინ წამოწევისთვის მოსახერხებელი მომენტი დადგა, ეს ილუზია უნდა დაინგრეს.

მაგრამ დაშინების პრობლემა არის ის, რომ დაშინების ობიექტი ქვეყანა არ მოისურვებს, ვინმეს დაანახვოს, რომ ნამდვილად შეეშინდა. ის ყველაფერს გააკეთებს, რათა დაამტკიცოს, რომ არ ეშინია. ხშირად სწორედ ეს განაპირობებს დაძაბულობის ესკალაციას. მაგალითად, ტალინში ობამას სიტყვით გამოსვლას მოჰყვა ესტონეთის სპეცსამსახურების აგენტის დაკავება და დაუყოვნებლივ გასამართლება რუსეთში.

ის, რომ დაშინების მცდელობა, შესაძლოა, დაძაბულობის ესკალაციის მიზეზი გახდეს, თავისთავად არ წარმოადგენს მსგავს პრაქტიკაზე უარის თქმის საბაბს. თუ საქმე გვაქვს მოწინააღმდეგესთან, რომელიც ექსპანსიას აწარმოებს, სხვაგვარად მოქცევა არც შეიძლება, მაგრამ საჭიროა იმის ცოდნა, რომ დაშინება არ გადაჭრის პრობლემებს. უსაფრთხოების პრობლემები დაგროვდება და გაღრმავდება, რადგან საუბარია ნებისყოფის გამოცდაზე — ვინ ვის აჯობებს.

### სხვადასხვაგვარი გაგება

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ნატოს წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას შესაძლოა, სხვადასხვა რამ ემუქრებოდეს. ამ ქვეყნებს არ აქვთ ცივი ომისდროინდელი გამოცდილება, რომელიც დასავლელ მოკავშირეებში ერთმანეთის მიმართ ნდობის განსაკუთრებული დონის ჩამოყალიბებას უდევს საფუძვლად. ამგვარი მსჯელობა, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ სხვადასხვაგვარი გამოცდილება სხვადასხვაგვარად აყალიბებს საფრთხეების ხედვას და მოკავშირეებისადმი ნდობას.

### საკუთარი ძალებისადმი უნდობლობა

გასათვალისწინებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხასიათიც. იქ ხშირად ითხოვენ მოკავშირეებისგან მტკიცებულებებს, მაგრამ ძალიან ცოტას საუბრობენ იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია თვით ამ ქვეყნებს.

იქ დიდი ხანია, არ სურთ სახსრების გამოყოფა თავდაცვისთვის და იმ სახსრების სწორად გამოყენებაშიც უუნარონი არიან, რომლებსაც სთავაზობენ. ამ რეგიონის მხრიდან მოკავშირეების საიმედოობაში დაეჭვებაც და საწინააღმდეგო მტკიცებულებების მოთხოვნაც ბუნებრივია, რადგან ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს არასაკმარისად სჯერათ საკუთარი ძალების. ამგვარი რწმენის ფორმირება შესაძლებელია, მაგრამ ბევრ დროს, ძალისხმევასა და სახსრებს მოითხოვს.

ამ პროცესის მიზანი არ არის ის, რომ რომელიმე ქვეყანა სრულად დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ძალებს. ასე რომ იყოს, სამხედრო ალიანსში მონაწილეობა საერთოდ დაკარგავდა აზრს. საუბარია იმაზე, რომ საკუთარი ძალების რწმენა მოკავშირეების მიმართ მეტ ნდობას განაპირობებს და პრინციპულ გავლენას იქონიებს უსაფრთხოების მუქარის აღქმაზე.

LIDOVKY

# ახალი რეალობა: აშშ ლოკალური, არავისთვის საჭირო სახელმწიფოს სტატუსს უახლოვდება

**წარმოიდგინეთ, რომ, უკვე დიდი ხანია, მეგობრობთ მეზობელთან: ის თავისი ჭიდან მილსადენით გაწვდით წყალს მიწის ნაკვეთის მოსარწყავად, თქვენ კი შეღავათიან ფასად აძლევთ მას ჭარბ მოსავალს. ამ დროს მოდის ვიღაც და გთავაზობთ, უარი თქვათ ამ ურთიერთმომგებიან თანამშრომლობაზე და ნარგავების მოსარწყავად დაიწყოთ წყლის შესყიდვა ცხრა მთას იქით, საიდანაც ცისტერნებით მოზიდავთ.**

გერმანიისთვის რუსული ბუნებრივი აირი იგივეა, რაც ზემოთ მოყვანილ ისტორიაში — წყალი. საუბარია გერმანული ეკონომიკის არსებობაზე, რუსული ბუნებრივი აირის გარეშე გერმანიის ეკონომიკა ვერ იარსებებს. მართალია, ეს აირი ხმარდება სახლებისა და ბინების გათბობასაც, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის გამოიყენება სამრეწველო საწარმოებსა და გერმანიის ელექტროსადგურებზე.

**როდესაც აშშ-ის მმართველმა ელიტამ გერმანიის მმართველ ელიტას პირდაპირ დაუსვა საკითხი: „ან მე, ან რუსეთი!“, სინამდვილეში კითხვა სულ სხვაგვარი შინაარსის იყო: პირდაპირ მოკვდეს (უარი თქვას რუსეთთან თანამშრომლობაზე) თუ შეეცადოს გადარჩენას (უარი თქვას აშშ-ის ნებისმიერი მითითების შესრულებაზე)?**

**როგორც „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისა და უკრაინისთვის მშვიდობის იძულებიდან ჩანს, გერმანიას ჯერჯერობით სულაც არ სურს თვითმკვლელობა და რუსეთთან როგორმე თანაარსებობა ურჩევნია...**

ახლახან აშშ-მა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი მმართველი ელიტის წარმოუდგენელი ინტელექტი და დიპლომატიის საოცრებები: აშშ გაზრდის ავიადარტყმების რაოდენობას და შეუძლია, სახმელეთო ოპერაციებიც ჩაატაროს სირიასა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის შესახებ კონგრესში პენტაგონის ხელმძღვანელმა **ეშტონ კარტერმა** განაცხადა და უმალ მიიღო პასუხი ერაყის ხელისუფლებისგან: ჩვენ სახმელეთო ოპერაციებისთვის ამერიკისთვის სამხედრო დახმარების გაწევა არ გვითხოვიაო.

ამრიგად, **დახარჯა რა უდიდესი რაოდენობით ფულადი და მატერიალური რესურსი, ერაყის ოკუპირებისა და „ხელისუფლებაში „საკუთარი“ ხალხის მოყვანის საქმეზე, აშშ-მა უცბად აღმოაჩინა, რომ ერაყში არავის სჭირდება და, ვიდრე ამ ქვეყანაში საკუთარი არმიის სამხედრო ოპერაციაზე დაიწყებს ლაპარაკს, ერაყის ხელისუფლებას უნდა დაეკითხოს აზრს.**

დასასრულ, კანადა აშშ-ის უახლოესი მეზობელი და თითქოს უერთგულესი ვასალია, მაგრამ მორიგი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კანადის ახალმა პრემიერმა აშშ-ის ხელისუფლებას აცნობა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო კოალიციაში მონაწილეობა უკვე აღარ შედის მისი ქვეყნის გეგმებში.

კანადა წყვეტს მონაწილეობას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გაჩაღებულ საერთაშორისო ოპერაციაში. იმის შესახებ, რომ თვითმფრინავები აღარ განახორციელებენ შეტევებს სირიასა და ერაყზე, არჩევნებში გამარჯვებული ლიბერალური პარტიის ლიდერმა და ქვეყნის პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **ჯასტინ ტრიუდომ** განაცხადა. ამ გადაწყვეტილების შესახებ მან უკვე მიაწოდა ინფორმაცია აშშ-ის პრეზიდენტს.

**ასე რომ, კანადაც კი აღარ თვლის საჭიროდ, გაუაზრებლად შეასრულოს აშშ-ის არაადეკვატური მმართველების განკარგულებები და ემსახუროს მათ ინტერესებს...**

CONT.WS



**ნავთობი გაქვთ?**
**...და რომ ვიპოვო?**

**დახარჯა რა უდიდესი რაოდენობით ფულადი და მატერიალური რესურსი, ერაყის ოკუპირებისა და «ხელისუფლებაში «საკუთარი» ხალხის მოყვანის საქმეზე, აშშ-მა უცბად აღმოაჩინა, რომ ერაყში არავის სჭირდება და, ვიდრე ამ ქვეყანაში საკუთარი არმიის სამხედრო ოპერაციაზე დაიწყებს ლაპარაკს, ერაყის ხელისუფლებას უნდა დაეკითხოს აზრს**

მოკლედ



## ნატო რუსეთის საზღვართან მეტი სამხედროების გაგზავნას აპირებს

**ნატოს წევრი ქვეყნები რუსეთის საზღვართან მეტი სამხედროების გაგზავნას აპირებენ.** გამოცემა Wall Street Journal-ის ინფორმაციით, ამ ნაბიჯს ალიანსი რუსული აგრესიის თავიდან ასაცილებლად დგამს. ერთ-ერთი გეგმის თანახმად, ალიანსი პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატოს წევრი ქვეყნების სამხედროებისგან შემდგარი ბატალიონების გაგზავნას აპირებს, დაახლოებით 800-დან 1000 ჯარისკაცამდე. არის კიდევ ერთი გეგმა, რომელიც უფრო მცირე შენაერთების გაგზავნას გულისხმობს ამ რეგიონებში.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფონდის კაპიტალსა და ხმებში აშშ-ის წილი დაახლოებით 17%-ია. ეს საკმარისია იმისათვის, რომ დაიბლოკოს დირექტორთა საბჭოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ამერიკულ ადმინისტრაციას არ ეპიტნავება. მაგრამ ის, რისი გაკეთებაც ფონდს მოუწია კიევის გამო ვაშინგტონის საამებლად ბოლო ორი წლის განმავლობაში, დამამცირებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის და წესიერების საზღვრებს სცილდება.**

# ვაშინგტონი სავალუტო ფონდს აუპატიურებს

**საერთაშორისო სავალუტო ფონდს მძიმე პერიოდი დაუდგა. 2010 წელს მისმა დირექტორთა საბჭომ ფონდის რეფორმირების გადაწყვეტილება მიიღო: მოიწონეს კაპიტალსა და ფონდის ხმებში ქვეყნების კვოტების მომდევნო, მეთოთხმეტე კორექტირება; შეთანხმდნენ კაპიტალის გაორმაგებაზე 238,5 მილიარდიდან 477 მილიარდ SDR-მდე (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობითი საანგარიშო ერთეული), რაც დაახლოებით 750 მილიარდ დოლარს შეადგენს; მიღწეულ იქნა შეთანხმება კვოტების გაანგარიშების ფორმულის შეცვლის თაობაზე წევრი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის უფრო სრულად გათვალისწინების მიზნით; დადგინდა საბაზოდ საერთო შიგა პროდუქტის უბრალო და გასაგები მაჩვენებლებისა და ოქროს სავალუტო რეზერვების გამოყენება.**



აღნიშნული ზომები შესაძლებელს გახდიდა განვითარებადი სახელმწიფოების, მათ შორის, ბრიჩსის ქვეყნების, როლის გაზრდას ფონდის გადაწყვეტილებებში, ამიტომაც აშშ-მა წინააღმდეგობა გამოხატა და ფონდის რეფორმირების დამუხრუჭება დაიწყო. აშშ-ის კონგრესმა ხუთი წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოახერხა კვოტების მე-14 კორექტირების რატიფიცირება, რითაც ფონდი მძიმე კრიზისში ჩააგდო.

**მომდევნო დარტყმა**, რომელიც აშშ-მა საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიაყენა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. ფონდი უძლიერეს ზემოქმედებას განიცდის აშშ-ის მხრიდან, რომელიც მისგან კიევური რეჟიმის ყოველმხრივ მხარდაჭერას ითხოვს.

**ფონდის კაპიტალსა და ხმებში აშშ-ის წილი დაახლოებით 17%-ია. ეს საკმარისია იმისათვის, რომ დაიბლოკოს დირექტორთა საბჭოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ამერიკულ ადმინისტრაციას არ ეპიტნავება. მაგრამ ის, რისი გაკეთებაც ფონდს მოუწია კიევის გამო ვაშინგტონის საამებლად ბოლო ორი წლის განმავლობაში, დამამცირებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის და წესიერების საზღვრებს სცილდება.**

ცნობილია, რომ **ფონდს ეკრძალება იმ ქვეყნებში მუშაობა, რომლებშიც კანონიერი ხელისუფლება გადატრიალების შედეგად დაემხობა.** უკრაინის შემთხვევაში ფონდმა ამაზე თვალები დახუჭა და მოლაპარაკებები დაიწყო თვითმარქვიებთან.

**კარგადაა ცნობილი, რომ ფონდს არ შეუძლია სესხის მიცემა იმ ქვეყნებისთვის, რომლებშიც ომია.** იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ქვეყნებს დახმარებაზე უარი უთხრა.

რაც შეეხება უკრაინისათვის 17-მილიარდიანი სესხის მიცემას, ფული ცხრა კვარტალური ტრანშის სახით უნდა გადარიცხულიყო ორი წლის განმავლობაში. გამოიყო მხოლოდ პირველი ორი ტრანში, 2014 წლის შემოდგომაზე კი გადარიცხვები შეწყდა, რადგან უკრაინის ხელისუფლებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საკრედიტო შეთანხმების პირობები არ შეასრულა. ერთი შეხედვით, **ფონდს წერტილი უნდა დაესვა კიევთან ურთიერთობებისთვის, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი დათანხმდა საკუთარი წესების მესამე საარაკო დარღვევას.** გასული წლის ბოლოს მან დაიწყო მზადება ახალი საკრედიტო ხაზისთვის კიდევ უფრო შეღავათიანი პირობებით, გაფართოებული კრედიტირების მექანიზმის ფარგლებში.

2015 წლის 11 მარტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე ბევრმა ქვეყანამ წინააღმდეგობა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეჭვი გამოთქვა უკრაინისთვის ახალი კრედიტის მიცემის მიზანშეუწონილობაზე. გარკვეულმა კატეგორიამ ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ კიევმა არ შეასრულა წინა კრედიტის პირობები; სხვებმა — იმაზე, რომ კიევი ვერ გადაიხდის ფონდის ვალებს; ზოგიერთმა კი — იმაზე, რომ კიევის მიერ მოთხოვნილი თანხა აღემატებოდა ფონდის დაშვებულ ნორმატივებს.

**მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა და ეჭვისა, ფონდის ხელმძღვანელობამ მოახერხა ვაშინგტონისთვის საჭირო გადაწყვეტილების გატანა: ამ გადაწყვეტილებას ხომ თითქმის ათი წლისწინანდელი კვოტების მიხედვით კენჭისყრის საფუძველზე იღებდნენ, კვოტებისა, რომლებიც დისკრიმინაციას უწევს განვითარებად ქვეყნებს.**

**შესაძლოა, ყველაფერი ფონდის კრახით დასრულდეს. და მაინც, მადამ ლაგარდი, დიდი ალბათობით, დანებდება ძია სემის ძალმომრეობას. აბა, რა ქნას?! მას ხომ მშვენივრად ახსოვს წინამორბედის — დომინიკ სტროს-კანის ისტორია**

მარტში ახალი კრედიტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე კიევმა მიიღო ტრანში 5 მილიარდი დოლარის ოდენობით. ეს მორიგი დარღვევაა, ვინაიდან პირველმა ტრანშმა მთელი კრედიტის თითქმის მესამედი შეადგინა. ტრანშის ზღვრულ დონედ ფონდის მიერ თავის დროზე დაწესდა 20%. ბრაზილიისა და ირანის წარმომადგენლებმა ამ დარღვევას ყურადღება მიაქციეს, მაგრამ მათი აზრი იგნორირებული იქნა. უკრაინისთვის კრედიტის გამოყოფაზე ფონდის „ისტორიული გადაწყვეტილების“ შემდეგ ექსპერტებმა გათვლები აწარმოეს და გაირკვა, რომ მთლიან შიგა პროდუქტთან და მიმღები ქვეყნის სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან თანაფარდობის მხრივ კიევისთვის გამოყოფილი კრედიტი ყველაზე მსხვილმასშტაბიანია ფონდის არსებობის 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში.

**ფონდს წერტილი უნდა დაესვა კიევთან ურთიერთობებისთვის, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდი დათანხმდა საკუთარი წესების მესამე საარაკო დარღვევას**

განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს რუსეთის მიმართ უკრაინის ვალის საკითხი. საუბარია შეთანხმებაზე, რომელიც მიღწეულ იქნა 2013 წლის დეკემბერში და რომლის თანახმადაც რუსეთს კიევისთვის 15 მილიარდი დოლარის ოდენობით სესხი უნდა გამოეყო. მაშინვე გადაირიცხა პირველი და ერთადერთი ტრანში 3 მილიარდი დოლარის ოდენობით. გრაფიკის თანახმად, ვალი მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა იქნას დაფარული, მაგრამ ამჟამინდელმა რეჟიმმა, გასული წლიდან მოყოლებული, მრავალჯერ განაცხადა, რომ არ აპირებს ამ ვალის გადახდას. **ცხადია, კიევის თავხედობის უკან ვაშინგტონის მხარდაჭერა დგას. ამ მხარდაჭერის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განცხადება, რომელიც აშშ-ის სენატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა კრის მერფიმ სექტემბერში გააკეთა:** „არ ვთვლი, რომ უკრაინა ვალდებულია, თუნდაც რაიმე დაუბრუნოს რუსეთს. საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გაიგოს ჩვენ მიერ იმ შესაბამისი ნაბიჯების განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც უკრაინას სამართლებრივ საფუძველს მისცემს, თავი აარიდოს აღნიშნული დავალიანების გადახდას“.

კიევის მხრიდან გადახდაზე უარის თქმის საფუძვლები იცვლებოდა. თავდაპირველად უკრაინის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არ მიიჩნევს თავს „იანუკოვიჩის დამნაშავე რეჟიმის“ სამართალმემკვიდრედ. ამასთანავე, იაცენიუკი გასული წლის პირველ ნახევარში მოსკოვისგან ითხოვდა, გაეგრძელებინა იმ ვალდებულებების შესრულება იმ შეთანხმების მიხედვით, რომელსაც 2013 წლის დეკემბერში მოეწერა ხელი, და ახალი ტრანში გადაერიცხა უკრაინისთვის. ეს კიევური რეჟიმის პოლიტიკური შიზოფრენიის ნათელი მაგალითია.

რას ფიქრობს ამ საკითხზე საერთაშორისო სავალუტო ფონდი? სწორედ ის არის უმაღლესი ინსტანცია, რომელმაც ამ ვალის სტატუსი უნდა განსაზღვროს. შარშან და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ფონდის ცალკეული მაღალჩინოსნების მიერ გაკეთებული განცხადებები მათ პროფესიონალიზმში დაეჭვების საბაბს არ იძლევა: მათ ერთმნიშვნელოვნად მისცეს ოფიციალური ვალის კვალიფიკაცია უკრაინისთვის რუსეთის მიერ გაცემულ სესხს. ზაფხულის შუა პერიოდიდან ფონდმა შეწყვიტა ამ სესხის სტატუსზე საუბარი. ეს საკვირველია, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში გადაინაცვლა აღნიშნული ვალის თემამ პირველ პლანზე, რადგან უკრაინის დეფოლტი უკვე რეალურ პერსპექტივად იქცა. თუკი აღნიშნული ვალი ნამდვილად სუვერენულია, წლის ბოლომდე მოსკოვის მიერ კიევისგან ამ ვალის მიუღებლობა სრულფასოვან დეფოლტს ნიშნავს (ტექნიკურად დეფოლტი უკვე გამოცხადდა ოქტომბრის დასაწყისში, როდესაც კერძო კრედიტორებს 500 მილიონი დოლარი არ გადაუხადეს).

ფონდის გრძელვადიანი დუმილი მჭევრმეტყველურია. ის აღნიშნავს, რომ ვაშინგტონმა ხელები გადაუგრიხა საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელ დირექტორ **კრისტინ ლაგარდს** და მისგან მოითხოვს 3-მილიარდიანი ვალის კომერციულ ვალად გამოცხადებას. ითქვა, რომ სენატორი **კრის მერფი,** რომელიც უკრაინული ვალების თემაზე სპეციალიზდება, დახურულ კარს მიღმა შეხვდა მადამ ლაგარდს. ვარაუდობენ, რომ შეხვედრაზე სენატორი არწმუნებდა მას, მოსკოვის მიმართ კიევის ვალის სტატუსის თაობაზე „სწორი“ გადაწყვეტილება მიიღოს.

კრისტინ ლაგარდი, როგორც შეუძლია, თავს იცავს კაპიტოლიუმისა და თეთრი სახლის პოლიტიკოსების თავდასხმებისგან. მისი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ აღნიშნული ვალის კომერციულად აღიარება სახიფათო პრეცენდენტს შექმნის. სხვა ქვეყნები იმ ვალების რესტრუქტურიზაციასაც მოითხოვენ, რომლებსაც ამ დრომდე გულუბრყვილოდ მიიჩნევდნენ „ოფიციალურად“. საქმე შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ მათაც დაიწყონ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალების რესტრუქტურიზაციის მოთხოვნა. ასეთი რამ კი არ მომხდარა ფონდის არსებობის 70 წლის განმავლობაში. **შესაძლოა, ყველაფერი ფონდის კრახით დასრულდეს. და მაინც, მადამ ლაგარდი, დიდი ალბათობით, დანებდება ძია სემის ძალმომრეობას. აბა, რა ქნას?! მას ხომ მშვენივრად ახსოვს წინამორბედის — დომინიკ სტროს-კანის ისტორია.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი მზადაა, კიევური რეჟიმის გადასარჩენად საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეპუტაცია და ფინანსური მდგომარეობა გაწირონ. ეს უკვე სერიოზული საკითხია.

FONDSK.RU

**რეფერენდუმი დოდიკს მისცემს პოლიტიკურ და სამართლებრივ საფუძველს, რომ სერბეთის რესპუბლიკის დაწესებულებებისგან — სამთავრობო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებიდან საგადასახადო ინსპექტორებამდე — მოითხოვოს, არ დაიცვან სახელმწიფო სასამართლო ორგანოების განაჩენები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები, ასევე, წინ აღუდგნენ პროკურატურის მუშაობას. ეს მიწასთან გაასწორებს 20 წლის განმავლობაში მიღწეულ ყველა წარმატებას და ბოსნიაში წესრიგის დაცვის სისტემის განადგურების პროცესს აამუშავებს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბალკანეთი ომის ზღვარზე

**20 მშვიდობიანი წლის შემდეგ სერბთა რესპუბლიკა იმ შეთანხმების დარღვევით იმუქრება, რომელიც ბოსნიის მთლიანობას უზრუნველყოფდა. დასავლეთის ამოცანა ამისთვის ხელის შეშლაა.**



**ომის ქარცეცხლი შეიძლება მოედოს კოსოვოს ტერიტორიას, სერბეთის სამხრეთს, მაკედონიასა და სერბეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ისტორიულ რეგიონს — სანჯაკს, სადაც მეტწილად მუსლიმანები ცხოვრობენ... ამან შესაძლოა, განაპირობოს იმგვარი ეთნიკური წმენდების განახლებაც, როგორიც მოხდა 1990-იან წლებში, და დევნილთა ახალი ნაკადების საბაბად იქცეს**

21 ნოემბერს 20 წელი შესრულდება, რაც ხელი მოეწერა დეიტონის მშვიდობიან შეთანხმებას, რომელმაც დაასრულა სისხლისმღვრელი ომი სერბებს, ხორვატებსა და ბოსნიელებს შორის, ომი, რომელიც სამ-ნახევარ წელს გრძელდებოდა.

დეიტონის შეთანხმების თანახმად, ბოსნიის ტერიტორიაზე გაჩნდა ფართო ავტონომიის მქონე ორი წარმონაქმნი — ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაცია, რომლის მოსახლეობის უმეტესობას ბოსნიელები და ხორვატები შეადგენენ და სერბთა რესპუბლიკა — სერბული უმრავლესობით. სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **მილორად დოდიკი** 20 წლისთავის დღესასწაულის ჩაშლას აპირებს და 15 ნოემბრისთვის დაგეგმა ღონისძიება, რომელიც არღვევს დეიტონის შეთანხმების პირობებს. ამ ღონისძიებას ბევრი დამოუკიდებლობის მიღებისთვის შენიღბულ რეფერენდუმად აღიქვამს.

პლებისციტზე დაისმება მხოლოდ ერთი კითხვა: მხარს უჭერთ თუ არა კანონების არაკონსტიტუციურ და არალეგიტიმურ თავსმოხვევას ბოსნიაში, განსაკუთრებით სასამართლოსა და პროკურატურის შესახებ კანონების თავსმოხვევას და მიღებული გადაწყვეტილებების სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებას?

ეს პროვოკაციული კითხვა ერთადერთ სწორ პასუხს გულისხმობს.

**ეს რეფერენდუმი დოდიკს მისცემს პოლიტიკურ და სამართლებრივ საფუძველს, რომ სერბეთის რესპუბლიკის დაწესებულებებისგან — სამთავრობო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებიდან საგადასახადო ინსპექტორებამდე — მოითხოვოს, არ დაიცვან სახელმწიფო სასამართლო ორგანოების განაჩენები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები, ასევე, წინ აღუდგნენ პროკურატურის მუშაობას. ეს მიწასთან გაასწორებს 20 წლის განმავლობაში მიღწეულ ყველა წარმატებას და ბოსნიაში წესრიგის დაცვის სისტემის განადგურების პროცესს აამუშავებს.**

მართალია, რეფერენდუმი მხოლოდ სასამართლო ორგანოებისადმი ნდობას ეხება, თავისი დესტრუქციული შინაარსის ძალით ის, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის დეკლარაციაა. და იმისათვის, რომ დოდიკის განზრახვებში არავინ დაეჭვდეს, მან აპრილში განაცხადა, რომ 2018 წლისთვის სერბეთის რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის მისაღებად რეფერენდუმი გაიმართება.

რეფერენდუმის ჩატარების საფრთხე იზრდება ისეთი არაკეთილსაიმედო გარემოებების პირობებში, როგორიცაა დოდიკის მიერ გატარებული უკიდურესი სერბული ნაციონალიზმის პოლიტიკა, ევროკავშირის მხრიდან მისი დამშვიდების მცდარი პოლიტიკა, რუსეთის ჩარევა ბალკანეთში და აშშ-ის სახიფათო პოზიცია — ბოსნიის მიმართ ევროკავშირისაგან დამოუკიდებლად იმოქმედოს.

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც დოდიკის მიერ დანიშნული რეფერენდუმის გაუქმების იურიდიული უფლებამოსილება აქვს, არის ამჟამინდელი უმაღლესი წარმომადგენელი **ვალენტინ ინცკო**, მაგრამ ვაშინგტონისა და ბრიუსელის დაჟინებული მოთხოვნით, მან დამკვირვებლის პოზიცია ამჯობინა.

**დოდიკის პროვოკაციული ქმედებების საპასუხოდ ევროკავშირს მაინც მოუწევს ზომების შემუშავება, რათა როგორმე გადაათქმევინოს მას რეფერენდუმის ჩატარება.** ზოგიერთი უცხოელი მაღალჩინოსანი თვლის, რომ რეფერენდუმი მხოლოდ მოლაპარაკებებზე ზემოქმედების საშუალებაა და ამ საკითხის გადაწყვეტას რეფერენდუმის შემდეგ იმავე სასამართლო ორგანოების ამოქმედებით აპირებენ, რომელთა გათელვასაც დოდიკი გეგმავს. სხვებს იმის იმედი აქვთ, რომ დოდიკის ასალაგმავად შესაძლებელი იქნება ბელგრადისთვის მიმართვა.

2006 წლამდე საერთაშორისო საზოგადოების მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომელსაც, დეიტონის შეთანხმების შესაბამისად, მინიჭებული ჰქონდა აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს უფლებამოსილებები უმაღლეს წარმომადგენელს საშუალებას აძლევდა, ხელისუფლებისთვის ჩამოეშორებინა მაღალჩინოსნები, რომლებიც შეთანხმების პირობების რეალიზებას უშლიდნენ ხელს, შემოეღო საკანონმდებლო აქტები, აეკრძალა საზღვარგარეთ გასვლა, დაეყადაღებინა ქონება და ფულადი სახსრები. 2005 წლის შემდეგ ამ უფლებამოსილებებმა დაკარგეს მნიშვნელობა, ძირითადად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაქნისობის გამო. მოსკოვი, ისევე, როგორც სერბეთის რესპუბლიკა, ამ უფლებამოსილებების გამოყენების წინააღმდეგია. დეიტონის მშვიდობიანი შეთანხმების შესაბამისად შეყვანილი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემადგენლობა 60 ათასიდან 600 კაცამდე შემცირდა. როგორც ჩანს, დასავლეთის შესაძლებლობები შეზღუდულია.



ახლა დასავლეთისთვის აუცილებელია, ბოსნიაზე გავლენის ახალი გზა გამონახოს. ამისათვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ძალისხმევა და აქტიური მონაწილეობა. პირველ რიგში, აშშ-მა, როგორც დეიტონის შეთანხმების პირობების შესრულების გარანტმა, რეგიონში სპეციალური წარგზავნილი უნდა დანიშნოს, რათა გააერთიანოს დასავლური ალიანსის ქმედებები და გამოიყენოს დიპლომატიური ძალისხმევა, რათა დოდიკს თავისი გეგმების განხორციელების საშუალება არ მისცეს. აუცილებელია უმაღლესი წარმომადგენლის უფლებამოსილებების აღდგენა. დასავლეთმა, აგრეთვე, უნდა გამოიყენოს ფინანსური, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სანქციები იმ პოლიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც დეიტონის შეთანხმების პირობებს არღვევენ.

დასასრულ, ყველაზე მთავარი: სპეციალურმა წარგზავნილმა უნდა გადახედოს დეიტონის შეთანხმების პირობებს, რათა სრულად შეცვალოს ის.

მართალია, დეიტონის შეთანხმება დროებითი ზომა იყო და მან შესაძლებელი გახადა ბოსნიის სხვადასხვა ნაწილის წარმომადგენელთა შორის ომის შეწყვეტა, მაგრამ მას აღმოაჩნდა ნაკლოვანებებიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დოდიკმა სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობაში დაბრკოლებების შექმნა და რეფორმების შეჩერება დაიწყო. პრაქტიკულად ბოსნიის ყველა ხალხი — სერბები, ბოსნიელები და ხორვატები — ისურვებდა ამ შეთანხმების განახლებას, მაგრამ მათ იციან, რომ საამისოდ მათ პოლიტიკოსებს ნებისყოფა არ ეყოფათ.

დასავლეთს კიდევ ერთი კარტის გათამაშება შეუძლია: თუკი დოდიკი განაგრძობს რეფერენდუმის მომზადებას, ეს დეიტონის შეთანხმების საარაკო დარღვევა იქნება, სერბეთის რესპუბლიკის ლეგიტიმურობა კი მხოლოდ ამ შეთანხმებას ეფუძნება. **გადაწყვეტს რა დეიტონის შეთანხმების შესრულებაზე უარის თქმას, სერბეთის რესპუბლიკა დაკარგავს ლეგიტიმურობას და იქცევა უკანონო სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად, რომელიც გენოციდს ემყარება. ამ შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოებას შესაბამისად მოქმედება და სერბეთის რესპუბლიკის უკანონოდ გამოცხადება მოუწევს, რომელიც, მიუხედავად ამ ზომების უკიდურესი ხასიათისა, მიღწეულ იქნება ადმინისტრაციული და ფინანსური ბერკეტების საშუალებით.**

აშშ-ის ჩარევისა და სხვა ქვეყნების უფრო აქტიური მონაწილეობისთვის საჭირო იქნება დიდი ძალისხმევა, მაგრამ ლოდინის პოლიტიკა, შესაძლოა, უფრო ძვირი დაჯდეს. იმისათვის, რომ შენარჩუნებულიყო ბოსნიის მთლიანობა, ბოსნიელებმა და ხორვატებმა 1992 წელს ომი დაიწყეს და არც დღეს არსებობს საფუძვლები იმედისთვის, რომ ისინი სერბეთის რესპუბლიკას უბრძოლველად დათმობენ. **ომის ქარცეცხლი შეიძლება მოედოს კოსოვოს ტერიტორიას, სერბეთის სამხრეთს, მაკედონიასა და სერბეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ისტორიულ რეგიონს — სანჯაკს, სადაც მეტწილად მუსლიმანები ცხოვრობენ.** კონფლიქტის ამგვარმა განვრცობამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ბელგრადსა და პრიშტინას შორის ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებებს ურთიერთობათა ნორმალიზების თაობაზე. შესაძლოა, ამან განაპირობოს იმგვარი ეთნიკური წმენდების განახლებაც, როგორიც მოხდა 1990-იან წლებში და დევნილთა ახალი ნაკადების საბაბად იქცეს.

გარდა ამისა, შესაძლოა, კონფლიქტის გამწვავებამ ზომიერი ბოსნიელი მუსლიმანების რადიკალიზაციის პროვოცირება გამოიწვიოს. ეს მუსლიმანები ისედაც მზარდ ზეწოლას განიცდიან სპარსეთის ყურის ქვეყნების ექსტრემისტული ძალების მხრიდან, მათი რადიკალიზაცია კი ნიშნავს, რომ უშუალოდ ევროკავშირის საზღვართან შეიძლება გაჩნდეს უკმაყოფილო მინისახელმწიფო, რომლის მოსახლეობაშიც მუსლიმანები ჭარბობენ.

ვაშინგტონმა ახლავე უნდა გადაწყვიტოს, დაიწყებს თუ არა აქტიურ ქმედებას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მთლიანობისა და ბალკანეთში სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

**FOREIGN POLICY**

მსოფლიო



## «დოიჩე ველე»: ჩინეთი აშშ-ს ომით დაემუქრა

**გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, რომ ოფიციალურმა პეკინმა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ამერიკული სამხედრო ხომალდების მანევრების გამო უკმაყოფილება გამოთქვა.** ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურმა ვაშინგტონს მოუწოდა, შეწყვიტოს პროვოკაციები და გააფრთხილა, რომ სადავო კუნძულებთან ამერიკული სამხედრო ხომალდების მანევრები, შესაძლოა, იქცეს „მცირე ინციდენტად, რომელიც ომს გამოიწვევს“. ამერიკული ნაღმოსანი USS Lassen-ი სამხრეთ ჩინეთის ზღვის სადავო წყლებში 27 ოქტომბერს შევიდა და ჩინეთის მიერ შექმნილ ხელოვნურ კუნძულებს მიუახლოვდა.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე წლის წინათ გარემოს დაცვის სამინისტროში შემავალმა უწყებამ გასცა ლიცენზია თაბაშირის მოპოვებაზე ენგურჰესის კაშხლის მარცხენა ფერდობზე, ყოვლად დაუშვებელ ზონაში. რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად თაბაშირის მომპოვებლებმა ხოკოს ფერდობი ისე გააშიშვლეს, რომ იქ შეიძლება ტექტოგენური კატასტროფა მოხდეს და თაღოვანი კაშხლის მიდამოებში, წყალსაცავში მილიონი კუბური მეტრის მიწის მასა ჩამოწვეს. დღეს კარგად ჩანს ხოკოს კარიერის თავზე, მესტიაში მიმავალი გზის საფარის დაქვრა ენგურის წყალსაცავთან.**



## 19 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები სირიაში გარდამავალი მთავრობის შექმნაზე შეთანხმდნენ

**19 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვენაში გამართულ მოლაპარაკებებზე 9-პუნქტიანი დოკუმენტი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სირიის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო „ისლამური სახელმწიფო“ და გაეროს მიერ ექსტრემისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანილი სხვა დაჯგუფებები უნდა განადგურდეს.**

სირიაში უნდა შენარჩუნდეს ერთიანი საერო სახელმწიფო, გააქტიურდეს კონფლიქტის დასრულებისკენ მიმართული ძალისხმევა. გარდა ამისა, ჩატარდება საერთაშორისო დონის შეხვედრა, რომელშიც ბაშარ ალ-ასადის მთავრობისა და ოპოზიციის წევრები მიიღებენ მონაწილეობას. ამ შეხვედრის შედეგად, უნდა შეიქმნას ახალი გარდამავალი მთავრობა, რომელიც ქვეყანას ახალ არჩევნებამდე უხელმძღვანელებს, რის შემდეგაც სირიაში ახალ კონსტიტუციას მიიღებენ. პოლიტიკურ პროცესში მონაწილე ქვეყნები სირიის ტერიტორიაზე ზავის დადებას უზრუნველყოფენ, თუმცა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ სამშვიდობო შეთანხმება არ გაფორმდება. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიცია ბაშარ ალ-ასადის მომავალზე კვლავ განსხვავებულია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — სერგეი ლავროვის განცხადებით, ასადის ბედი სირიელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

ვენაში გამართულ მოლაპარაკებებში გაეროს, ევროკავშირის, რუსეთის, აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მორიგი შეხვედრა ორ კვირაში გაიმართება.

# რა საფრთხეებია მოსალოდნელი მდინარე ენგურზე?

**დიდი ინტერესით წავიკითხე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 37-ე და 38-ე ნომრებში გამოქვეყნებული ინტერვიუ ბაკურ გულუასთან: „როგორ შენდებოდა ამიერკავკასიის უდიდესი ჰესი — ენგურჰესი“. მიუხედავად ზოგიერთი ტექნიკური უზუსტობისა, წერილში გადმოცემულია ობიექტის სიდიადე და მისი მშენებელი კოლექტივის თავდაუზოგავი შრომა საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში.**



სამწუხაროდ, 1990-იანი წლების მოვლენებმა არ მოგვცა საშუალება, გაგვეგრძელებინა ხუდონჰესის ელექტროსადგურის მშენებლობა, რომლითაც სტაბილური იქნებოდა ქვეყნის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის სწრაფი ტემპებით ზრდა.

რაც შეეხება ენგურჰესის კომპლექსს, პროექტი ითვალისწინებდა შავი ზღვის სანაპიროს გამაგრებას გუდავახობის მონაკვეთზე და ანაკლიიდან ქალაქ ჯვარამდე დიდი წყლის ნაკადის გატარებას. **ენგურჰესის კაშხალმა შეწყვიტა ყოველწლიურად მყარი მასის ჩამოტანა ქვიშისა და ღორღის სახით, რაც კვებავდა შავი ზღვის სანაპიროს. ენგურჰესის მშენებლების მიერ ხელოვნურად მოხდა ქვიშა ღორღის ჩაყრა დასახლება გუდავას სამკილომეტრიან ზოლში და ამ სამუშაოს შედეგებმა დაგვარწმუნეს, რომ ზღვის ზოლის გამაგრება ხელოვნურად შესაძლებელია და მომავალში განსახორციელებელი.**

**მეორე დიდი პრობლემა**, რომელიც ამჟამად დგას დღის წესრიგში — ეს არის ენგურის კალაპოტის შევსება შენაკადი მდინარეების ჩამონატანით, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ენგურის პირას მცხოვრებ მოსახლეობას. ჰიდროტექნიკაში არსებობს ცნება — **„მდინარის კატასტროფიული ხარჯი“**, რომელიც ხდება ათას წელიწადში ერთხელ.

წარმოიდგინეთ ზაფხულის პერიოდი. წყალსაცავი სავსეა წყლით და წამოვიდა ნიაღვარი, რომლის ხარჯი შეიძლება იყოს წამში 2500 მ³ წყალი. **ენგურის სადაწნევო გვირაბი წამში ატარებს დიდი-დიდი 450 მ³ წყალს, დანარჩენი წყლის მასა თაღოვანი კაშხლის თხემიდან ჩავა ენგურის ძველ კალაპოტში, რომელიც დღეს ამოვსებულია შენაკადი მდინარეების მიერ ჩამოტანილი ქვა ღორღით.** ჯვარი-ანაკლიის მონაკვეთზე წაილეკება ყველაფერი, რაც ენგურის ორივე ნაპირასაა აგებული. **ეს იქნება წარმოუდგენელი სტიქია, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს სამეგრელოს რეგიონს. გაიხსენეთ, რა გააკეთა მდინარე ვერემ ქალაქ თბილისში 2015 წლის ივნისში.**

**მესამე დიდი პრობლემა,** რომელიც წარმოიშვა ხუდონის კაშხლის მშენებლობის გაჩერებით: ამ ნაგებობის დამთავრების შემდეგ მდინარე ენგურის ყოველწლიური ჩამონატანი, სილა ღორღის სახით, დაილექებოდა ხუდონის წყალსაცავში და ის არ შეუქმნიდა პრობლემას თაღოვანი კაშხლის წყალგამტარებს. დღეს წყალსაცავში მდინარის ჩამოტანილი დანალექი ამოსულია წყალგამტარების ნიშნულებამდე და ექსპლოატაციას არ შეუძლია წყლისქვეშა მისაყრდენი ფარის ჩაშვება ხსენებული წყალგამტარი მილების ტექნოლოგიური საკეტების გასარემონტებლად.

ენგურის ყოველწლიური ჩამონატანი საკმაოდ დიდი სიჩქარით მიემართება სადაწნევო გვირაბის წყალმიმღებისაკენ და უახლოეს პერიოდში ზემოხსენებული პრობლემა იქაც იჩენს თავს.

**საქართველოში მოღვაწეობს კომპანია „ჰერბი“, რომელმაც ძირფესვიანად შეისწავლა ენგურის კალაპოტისა და ენგურის წყალსაცავში არსებული მასალების მოცულობა, შემადგენლობა და წარმოადგინა ამ მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან გაწმენდა-მოპოვების პროგრამა.**

**პროექტის განხორციელება იძლევა შესაძლებლობას, მოვიპოვოთ რამდენიმე ასეული ტონა ოქრო და რამდენიმე ათასი ტონა ვერცხლი. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას წაადგებოდა ამ „შემოსავლის“ მიღება რთულ ეკონომიკურ პერიოდში, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება**




პროექტის შესწავლის შემდეგ დავრწმუნდით მის გრანდიოზულობაში და აღსანიშნავია, რომ ის ისეთივე მასშტაბური და უჩვეულოა, როგორც თავის დროზე ენგურჰესის პროექტი.

პროექტის შედგენაში მონაწილეობდა მეცნიერთა და დამპროექტებელთა დიდ ჯგუფი, რომლის შემადგენლობასი შედიოდნენ ეკოლოგები, გეოლოგები, ჰიდროლოგები, ჰიდრომშენებლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, იხტიოლოგები, ქიმიკოსები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ჩნდება კითხვა — **რას იძლევა ენგურის კალაპოტის და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან?**

*** მთავარი საკითხი, რომელიც ამ პროექტმა უნდა გადაწყვიტოს, არის კატასტროფული რისკების აცილება სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობისთვის მდინარე ენგურზე შესაძლო წყალდიდობის შემთხვევაში.**

*** მეორე სიკეთე** — ეს არის ენგურის კალაპოტსა და წყალსაცავში დაგროვილი საამშენებლო მასალის ამოღება და ამ მასალის გაწმენდა ქიმიური კომპონენტებისგან. ეს ინერტული მასალა, მოპოვების შემდეგ გადამუშავდება გამამდიდრებელ ქარხნებში და შემდგომში საშენი მასალის სახით გამოიყენება საქართველოს საამშენებლო კომპლექსის მიერ.

*** მესამე სიკეთე** არის ის, რომ სოფლის მეურნეობას უბრუნდება 5 ათასი ჰექტარი მიწა,რომელიც ამჟა- ▶

მსოფლიო



## თურქეთში პოლიციამ მედიასაშუალებების ოფისები შტურმით აიღო

**საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თურქეთში პოლიციამ ორი ოპოზიციური ტელეკომპანიის — Kanalturk-ისა და Bugun TV-ის, ასევე ორი ბეჭდური გამოცემის ოფისები შტურმით აიღო.**

აღნიშნული მედიასაშუალებები „კოზა-იპეკის“ ჰოლდინგს ეკუთვნის, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ოპოზიციონერი ლიდერის ფეთჰულაჰ გიულენის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. ტელეკომპანიების შენობასთან მისული აქტივისტები სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით დაარბიეს, რასაც ტელეკომპანია Bugun TV პირდაპირ ეთერში გადასცემდა.

**თურქეთის ხელისუფლებამ, ასევე, „კოზა-იპეკის“ ჰოლდინგში შემავალი 22 კომპანიის მმართველობა ჩაიბარა.**

**ფირმა „ჰერბი“ მთავრობისგან არც ერთ თეთრს არ ითხოვს. ამ პროექტებს, რომლებსაც წინ უნდა უძღოდეს მოცულობითი მოსამზადებელი სამუშაოები (გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სამუშაო პროექტების მომზადება, ადმინისტრაციული ოფისის მოწყობა, აუცილებელი ტექნიკის და მასალების შეძენა, გადამამუშავებელი საწარმოს აშენება, შესაბამისი გადამზიდი ტრანსპორტის შეძენა და სხვ.), დააფინანსებს უცხოელი ინვესტორი, რომელიც ნედლეულის მოპოვების ლიცენზიაში საწარმოო ფუნქციონირების დაწყებამდე ფულის გადახდას გაუმართლებლად მიიჩნევს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წყალსაცავი სავსეა წყლით და წამოვიდა ნიაღვარი, რომლის ხარჯი შეიძლება იყოს წამში 2500 მ³ წყალი. ენგურის სადაწნევო გვირაბი წამში ატარებს დიდი-დიდი 450 მ3წყალს, დანარჩენი წყლის მასა თაღოვანი კაშხლის თხემიდან ჩავა ენგურის ძველ კალაპოტში, რომელიც დღეს ამოვსებულია შენაკადი მდინარეების მიერ ჩამოტანილი ქვა ღორღით. ჯვარი-ანაკლიის მონაკვეთზე წაილეკება ყველაფერი, რაც ენგურის ორივე ნაპირასაა აგებული. ეს იქნება წარმოუდგენელი სტიქია, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს სამეგრელოს რეგიონს. გაიხსენეთ, რა გააკეთა მდინარე ვერემ ქალაქ თბილისში 2015 წლის ივნისში



◀ მად ენგურის ნაპირების მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებით ამოვარდნილია სამეურნეო ბრუნვიდან.

*** მეოთხე სიკეთე** — მდინარე ენგურის გადაქცევა სანაოსნო არტერიად. ჯვარი-ანაკლიის მონაკვეთზე აშენდება 62-კილომეტრიანი არხი, რომლითაც ტურისტები შეძლებენ ანაკლიის პორტიდან ჯვარში ჩასვლას, თაღოვანი კაშხლის დათვალიერებას და შემდგომ ავტომობილით გამგზავრებას ხაიშსა და მესტიაში

*** მეხუთე სიკეთე** — ეს არის ჯვარი-ანაკლიის მონაკვეთზე თევზსაშენების გაშენება და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქიმიური კომპონენტების მოპოვება-რეალიზაციას. ენგურის წყალსაცავიდან მოსალოდნელია დიდი რაოდენობით „ჰუმუსის“ მიღება, რომელსაც დღევანდელ პირობებში ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სოფლის მეურნეობისათვის.

ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების მოპოვება-გაწმენდა გათვალისწინებულია მცურავი „სუპერ-დრაგის“ მეშვეობით, რომლის წარმადობა იქნება საათში 5600 მ³.

**ახლა მცირე ისტორიული ექსკურსი:**

ენგურის ობიექტების მშენებლობის პირველივე წლებში მშენებლები წავაწყდით დიდ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ენგურის კალაპოტიდან (ჯვარის მიდამოებში) ინერტული მასალების ამოღებასთან. არსებული ტექნიკა არ გვაძლევდა საშუალებას, წყლიდან ამოგველო სილა და ღორღი ბეტონის დასამზადებლად.

იმჟამინდელმა მთავრობამ, ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით, მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება: გამოეყოთ ენგურჰესის მშენებლობისთვის ოქროს მომპოვებელი გემი-დრაგა, რომელსაც შეეძლო 20 მეტრის სიღრმიდან ინერტული მასალების ამოღება ენგურის ნაპირებიდან და კალაპოტიდან. ეს მოხდა გასული საუკუნის 70-იანი წლებში.

ხსენებული დრაგა ციმბირში გამოიყენებოდა ოქროს მოსაპოვებლად.

მე, როგორც უბნის უფროსს, დამევალა, მომეწყო დრაგის დასამონტაჟებელი ბაქანი და მისი საცურაო აკვატორია.

ჰიდრომექანიზაციის სამმართველომ ააწყო დრაგა, რომელიც მშენებლობაზე ჩამოიტანეს ცალკეულ ნაწილებად. ეს უშველებელი გემი ჩავაცურეთ მომზადებულ საცურაო აუზში.

დრაგამ მოხსნა ინერტული მასალის მოპოვების ყველა საკითხი. ენგურის კალაპოტიდან ამოღებული სილიდან წელიწადში დაახლოებით 50 კგ ოქროს მოვიპოვებდით. ეს ძვირფასი ლითონი ბარდებოდა სახელმწიფოს.

მე, როგორც უშუალო თანამონაწილე, გიდასტურებთ, საკუთარი თვალით ვნახე ენგურიდან მოპოვებული ოქრო და ხელშიც მეჭირა ეს სილის ფორმის ყვითელი ნივთიერება.

ოქროს გარდა, მდინარე ენგურის ინერტულ მასალებში მენდელეევის ცხრილის ექვსი ელემენტია, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია და ყოველმხრივ გამართლებული.

**ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელება იძლევა შესაძლებლობას, მოვიპოვოთ რამდენიმე ასეული ტონა ოქრო და რამდენიმე ათასი ტონა ვერცხლი. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას წაადგებოდა ამ „შემოსავლის“ მიღება რთულ ეკონომიკურ პერიოდში, რომელშიც დღეს ქვეყანა იმყოფება.**

რომელ უწყებებს უნდა აინტერესებდეს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მოგვარება- შესრულება?

პირველ რიგში, **ენერგეტიკის სამინისტრო** უნდა იყოს დაინტერესებული ენგურჰესის სტაბილური მუშაობითა და თაღოვანი კაშხლის ქვედა ნაწილში უსაფრთხოების საკითხების მოგვარებით.

**ენერგეტიკის სამინისტრომ კი ამ საკითხის მიმართ არანაირი დაინტერესება არ გამოიჩინა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ენერგეტიკის სამინისტროში არც ერთი ჰიდროტექნიკოსი არ მუშაობს და ამ უწყებას სხვა პროფესიის ადამიანები ხელმძღვანელობენ.**

მეორე უწყება, რომელიც უნდა იყოს დაინტერესებული მდინარე ენგურზე ჩასატარებელი სამუშაოებით — ეს არის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ამ უწყებას პირველ რიგში უნდა აწუხებდეს ენგურის კალაპოტის და მიმდებარე ტერიტორიების დაცვის საკითხი და შავი ზღვის სანაპიროს გამაგრება გუდავა-ხობის მონაკვეთზე.

2015 წლის ოქტომბრის დასაწყისში გაიმართა ფირმა „ჰერბის“ შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრთან, ბატონ **გიგლა აგულაშვილთან.** მინისტრმა გვითხრა: **„შეიძინეთ ლიცენზია სამუშაოების ჩატარებაზე და დაიწყეთ მოღვაწეობა“.**

ჩემს შენიშვნაზე, რომ ენგურის კალაპოტი დღეს მოუწესრიგებელია და სჭირდება სასწრაფო ჩარევა, ბატონმა მინისტრმა მიპასუხა, ასეთ დღეშია ყველა მდინარე საქართველოში, სადაც ჰესებია აშენებულიო!

ბატონო მინისტრო, მაშინ უფრო გამართლებულია ჩვენი მოთხოვნა მდინარე ენგურის კალაპოტის მოწესრიგებაზე.

**მდინარე ენგურზე კალაპოტის მოწესრიგების შემდეგ და შავი ზღვის სანაპიროს დაცვითი სამუშაოების შესრულებისთანავე შესაძლებელია ამ სამუშაოების გაგრძელება იმ მდინარეებსა და შავი ზღვის ზოლზე, სადაც დარღვეულია ბუნებრივი წონასწორობა.**

მინდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს შევახსენო, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება ლიცენზიების გაცემის საკითხში. **რამდენიმე წლის წინათ გარემოს დაცვის სამინისტროში შემავალმა უწყებამ გასცა ლიცენზია თაბაშირის მოპოვებაზე ენგურჰესის კაშხლის მარცხენა ფერდობზე, ყოვლად დაუშვებელ ზონაში. რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად თაბაშირის მომპოვებლებმა ხოკოს ფერდობი ისე გააშიშვლეს, რომ იქ შეიძლება ტექტოგენური კატასტროფა მოხდეს და თაღოვანი კაშხლის მიდამოებში, წყალსაცავში მილიონი კუბური მეტრის მიწის მასა ჩამოწვეს. დღეს კარგად ჩანს ხოკოს კარიერის თავზე, მესტიაში მიმავალი გზის საფარის დაძვრა ენგურის წყალსაცავთან.**

ყველა დასმული საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების გამოცემა, რომელიც ფირმა „ჰერბს“ მისცემს საშუალებას, დაიწყოს პროექტის განხორციელება მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდითი სამუშაოების შესასრულებლად. ამავე დადგენილებით, ფირმას უნდა დაევალოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრება გუდავა-ხობის მონაკვეთზე. **ფირმა „ჰერბი“ მთავრობისგან არც ერთ თეთრს არ ითხოვს, ამ პროექტებს, რომლებსაც წინ უნდა უძღოდეს მოცულობითი მოსამზადებელი სამუშაოები (გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სამუშაო პროექტების მომზადება, ადმინისტრაციული ოფისის მოწყობა, აუცილებელი ტექნიკის და მასალების შეძენა, გადამამუშავებელი საწარმოს აშენება, შესაბამისი გადამზიდი ტრანსპორტის შეძენა და სხვ.), დააფინანსებს უცხოელი ინვესტორი, რომელიც ნედლეულის მოპოვების ლიცენზიაში საწარმოო ფუნქციონირების დაწყებამდე ფულის გადახდას გაუმართლებლად მიიჩნევს.**

პროექტის განხორციელების შემთხვევაში მეორე წლიდან დაიწყება მოგების შემოსავლების მიღება ფირმის ანგარიშზე, შესაბამისად — სახელმწიფოს საგადასახადო სისტემაში.

**პროექტის ხანგრძლიობა 25 წელიწადია. ის ითვალისწინებს პირველ წელიწადს 1000 ადამიანის დასაქმებას, ხოლო მეორე წლიდან სამუშაოებზე უკვე 10 000 კაცი იქნება დასაქმებული.**

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობა დასმულ საკითხებს ყურად იღებს და უყურადღებოდ არ დატოვებს ამ სასიცოცხლო პრობლემებს.

**ნოდარ შარტავა,**
ენგურჰესის სამშენებლო სამმართველოს უფროსი 1986–94 წლებში,
საქართველოს ენერგეტიკოსთა აკადემიის ნამდვილი წევრი



# ჩინელებს ორი შვილის ყოლის უფლება მიეცათ

**ჩინეთის კომუნისტური პარტიის განცხადებით, ოჯახს ორი შვილის ყოლის უფლება ეძლევა.**

ეს გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციაა. ათწლეულების განმავლობაში, უამრავ ოჯახს მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლება ჰქონდა, მრავალშვილიანობას ახლდა მკაცრი გადასახადები. ცნობისათვის: პეკინის მცხოვრებლებს მხოლოდ 2013 წელს მიეცათ უფლება, ჰყოლოდათ ორი შვილი.



# ღამის კლუბში მომხდარი ხანძრის შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა

**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის ღამის კლუბში გაჩენილი ხანძრის შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა, 200-მდე კი — დაშავდა, 25 ადამიანის მდგომარეობა მძიმეა.**

აფეთქება კლუბ „კოლექტივში“ როკკონცერტის მიმდინარეობისას მოხდა. იმ მომენტში კლუბში 400-მდე ადამიანი, მეტწილად ახალგაზრდები და მოზარდები, იმყოფებოდნენ. ხანძრის გაჩენის შემდეგ კლუბის შესასვლელთან ჭყლეტა დაიწყო.

როგორც რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ძალოვანი უწყებისთვის ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ კლუბში პიროტექნიკა ააფეთქეს.

მსოფლიო



# აშშ სირიაში სამხედრო მრჩევლებს გაგზავნის

**30 ამერიკელი სპეცრაზმელი საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებს. სამხედროები მხოლოდ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში მონაწილე სირიელებს გაწვრთნიან და კონსულტაციებს გაუწევენ მათ.**

ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ თურქეთის აეროდრომებზე ამერიკულ გამანადგურებლებსაც განალაგებს. როგორც ცნობილია, აშშ სირიის მთავარ ოპოზიციურ ძალას — „ეროვნულ კოალიციას“ უჭერს მხარს და ე.წ. ზომიერ ოპოზიციონერებს სამხედრო დახმარებას უწევს.



ნახევარდაშლის პერიოდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოტსდამისა და ტოკიოს შემდეგ იყო ვიეტნამი, კორეა, ალჟირი, ლაოსი, კონგო. იყო ატომური და წყალბადის ბომბების აფეთქებანი ბიკინისა და ენივეტოკზე. იყო ოცდასამი იაპონელი მეზღვაური — „ბედნიერი დრაკონის“ ეკიპაჟი, რომლებიც ლეიკემიით დაავადნენ გაშლილ ოკეანეში.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

**აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.**

**სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.**

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

**აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.**

**სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.**

**სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.**

**წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.**

**კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-39 (315-321)

## 6

არც ქალებს ულხინდათ ამ ომში. მიიჩნევენ, რომ დამხმარე კორპუსში მხოლოდ ქუჩის ქალები შედიოდნენ. მე ვიცი, რომ ეს ასე არ არის. იქ ყველანაირები იყვნენ: ჭკუიდან გადასული შინაბერები, რომანტიკოსი სტუდენტი ქალები, თავიანთი პატრონის ალერსისაგან დაღლილი მდივანი ქალები, ფერმერის გონებადამჯდარი ქალიშვილები შუა დასავლეთიდან. ჩვენს საავადმყოფოში მათ პირველი სართული აქვთ გამოყოფილი. არდენმა მათ უმრავლესობას ბოლო მოუღო; სხვები კიდევ უფრო ადრე გატყდნენ, პარიზში; ისინი ევროპაში ჩამოვიდნენ პატარ-პატარა სიამოვნებისათვის, რაც შინ არ ჰქონდათ — „კოტის“ სუნამოებისათვის და პაკენისა და მეზონ ლავალეტის მოდელებისათვის, ევროპამ კი დამწვრის სუნითა და კრუპისა და რეინმეტალის მოდელის ბომბებით დააჯილდოვა.

ომი ქალების საქმე არაა!

როდესაც ვფიქრობ, რომ აირინიც და ლუსიც შეიძლებოდა ისეთი დავრდომილები ყოფილიყვნენ, როგორებიც ჩემი მეზობლები არიან პირველი სართულიდან, მაკანკალებს.

ქალების განყოფილებაში დეზინფექცია კეთდება. მე ვეხმარები მედდებს მწოლიარე ავადმყოფების გადაყვანაში. ისინი ძალიან მსუბუქნი არიან; სხეულები ჩამოხმობიათ; პერგამენტივით კანი აქერცვლიათ. უბადრუკი ცდები — გაიახალგაზრდაონ თავი — რაღაც ფოთლები აბურდულ თმებში, ღია ფერის პომადით შეღებილი ტუჩები.

— მამაკაცი!

ჩემი გამოჩენა მათთვის მოვლენაა.

ისეთი აურზაური იქმნება, რომ მე უნებურად იძულებულს ვხდი მედდას, თითქმის ირბინოს ჩემთან ერთად საკაცით ხელში.

— ღმერთო ჩემო! — ვეუბნები მედდას, — ვფიქრობდი, რომ ჯოჯოხეთის ფილიალი ჩვენთან, მე-10 განყოფილებაში იყო მოთავსებული; ახლა კი ვიცი, რომ ვცდებოდი.

ქალები, რომლებიც ყოველგვარ ქალურს მოკლებულნი არიან! არა ნახევრად იდუმალი არსებანი ნაზი ხელებით, არა თხელი გოგონები ბროუნინგის ტომით ხელში, არც კიდევ ის ულაზათოდ შეთითხნილი და თანაც თავხედი მეძავები, რომლებიც ასე ბევრნი იყვნენ ბერლინში ალექსანდრპლაცზე, არამედ მომღერალი, მტირალი, მკვნესავი, არანორმალურად მდუმარე არსებანი, რომელთა სქესს მხოლოდ გულუბრყვილოდ და ურცხვად გამოჩენილი დამჭკნარი მკერდი და სანთელივით სახეზე წასმული უბადრუკი კოსმეტიკა თუ ამჟღავნებს.

მეშინია.

მახსოვს, როგორები იყვნენ ისინი ბერლინში, გუამზე, ტოკიოში. სტანდარტულად თმადახვეულნი, სტანდარტულად მედიდურნი, სტანდარტულ ბლუზებსა და დაპლისულ ბოლო კაბებში, მუხლს ზევით რომ ადგათ. ომმა უკვე დაასვა მათ თავისი დაღი. მათ მიიღეს თავიანთი „კოტი“ და კიდევ მრავალი სხვა და ბედნიერები იყვნენ კოლუმბისდროინდელი ადგილობრივი მკვიდრებივით, რომლებმაც თავიანთი ოქრო ბრჭყვიალა ნაყარნუყარზე გაცვალეს.

— როგორ უძლებთ ამას? — ვეკითხები მედდას.

იგი დაღლილი ტუჩებით ოდნავ იღიმება.

— მივეჩვიე.

ვწევ საკაცეს და საკუთარ თავს ვუმეორებ: „მივეჩვიე“.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. გუშინდელი სიბარიტი, გაკოტრების შემდეგ, მშვენივრად ახერხებს მეტროპოლიტენის ვენტილაციის ცხაურებზე ძილს. პატიოსანი ადამიანი ტყუილის თქმას ეჩვევა, უანგარო — ქურდობას, პაციფისტი ტომ ლუჩეზეს რეკეტირზე უარესად როდი ესვრის მტერს, შეიძლება უკეთესადაც.

ყველაფერი ასეა! მაგრამ ადამიანი ცხოველურ ყოფას არ უნდა ეგუებოდეს! ძველი ხალხები ამბობდნენ: პოეტებად იბადებიან, ორატორები ხდებიან. მკვლელად ან პაციფისტად ჯერ არავინ დაბადებულა.

მიხარია, სანიტარს ზევით რომ მივყავარ. კონოლისთან ვწყნარდები და საღი აზროვნების უნარს ვიბრუნებ.

ომი ჯერ არ დამთავრებულა.

პოსტდამში და „მისურიზე“ ფარსი გათამაშდა. სახელმწიფო ბეჭდებით განმტკიცებული ქაღალდები იმაზე უფრო ნაკლები ღირდა, ვიდრე მათ დამზადებაზე იყო დახარჯული.

**პოტსდამისა და ტოკიოს შემდეგ იყო ვიეტნამი, კორეა, ალჟირი, ლაოსი, კონგო. იყო ატომური და წყალბადის ბომბების აფეთქებანი ბიკინიზე და ენივეტოკზე. იყო ოცდასამი იაპონელი მეზღვაური — „ბედნიერი დრაკონის“ ეკიპაჟი, რომლებიც ლეიკემიით დაავადნენ გაშლილ ოკეანეში.**

მეხსიერება ცუდი რამეა. მას ვერსად დაემალები. იგი სიზმარშიც კი „მუშაობს“.

აღარ მახსოვს, რამდენჯერ მინახავს სიზმარში ბიკინი. საშინლად რეალურად ვხედავ ლაგუნის უფერო, მომწვანო წყალს, დანისლულ მზეს და ტალღებზე მოქანავე განწირულ ფლოტს. ცენტრში უზარმაზარი, სურინჯით შეღებილი სახაზო ხომალდი „ნევადაა“, მის გვერდით — სპილოსმაგვარი ტროფეი „ნაგატო“, ცოტა მოშორებით კი — ულამაზესი გერმანული „ჯიშის“ სახაზო ხომალდი „პრინცი ევგენია“.

ოცდაათი ათასი ფუტის სიმაღლიდან ძლივს მოჩანდნენ, შემდეგ თავისი ფრთებით დაფარა შავთავიანმა სოკოსებრმა თეთრმა ურჩხულმა. ყველაზე მუქი ლაქა მზეზე კაშკაშა იყო. გეიგერის მრიცხველები გამალებით მუშაობდნენ, პირუთვნელად ითვლიდნენ რენტგენებს.

ოპერაცია „ქროს-როდსი“.

მას მოჰყვა ოპერაცია „ეიბლი“ და „ბეიკერი“...

**1952 წლის 1 ნოემბერს კუნძულ ელუგელაბზე „მაიკი“ ააფეთქეს, წყალბადის სუპერი სამი მეგატონა ტრინიტროტოლუოლის ეკვივალენტით. ელუგელაბი აორთქლდა. გეოგრაფებმა იგი თავიანთი რუკებიდან წაშალეს.**

1954 წლის 1 მარტს, დილით, არმიისა და ფლოტის გაერთიანებული ტაქტიკური ჯგუფი მრავალტანჯულ ბიკინიზე გადმოჯდა. გამოცდა „ბრავო“ ყველაზე მძლავრი იყო დაგეგმილი სერიიდან. აფეთქების შემდეგ შავი სოკო 38 კილომეტრზე ავიდა ცაში. იგი ნელა მიიზლაზნებოდა. ადამიანები შიშით შესცქეროდნენ მას ჯავშნიანი სახომალდე კაზემატებიდან. ქარს იგი აღმოსავლეთისკენ მიჰქონდა. სულ უფრო და უფრო შორს. მაგრამ გემბანზე გამოჩენას ვერავინ ბედავდა: **„ბრავო“ არა მარტო ყველაზე მძლავრი, არამედ ყველაზე „ჭუჭყიანი“ სუპერი გამოდგა. მან სტრონციუმ-90-ით დაასნებოვნა თვრამეტი ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი. სოკო სულ უფრო შორს მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ, თან ტოვებდა უხილავ, მაგრამ აშკარა კვალს — განადგურების კვალს.**

ლოს-ალამოსში უკვე ახალ, გასტრონომიული სახელის მქონე ურჩხულზე — „სოსისზე“ მუშაობდნენ.

იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ სიზმრები მაწამებენ, ისეთივე რეალურები, როგორც ჩემი საკუთარი „მე“. მესმის მშრალი, მეთოდური, გულგრილი ხმა: „თხუთმეტი მეგატონა“. ოფლში ვცურავ.

„გალეული“ 750-ჯერ ნაკლები სიმძლავრის იყო!

**არც ერთმა ექსპერიმენტატორმა არ იცის ის, რაც მე: მე, რომელმაც ადამიანებზე გამოვცადე ფიზიკოსთა გენიალური უგუნურების ძალა.**

**იყო დრო, მძულდა სიცოცხლე. ახლა მიყვარს იგი — ჩემი პატარა სიცოცხლე. იმ სამას ათას იაპონელს ჩემზე ნაკლებად როდი უყვარდა. ისინი არ ომობდნენ — ეძინათ ძველი გაზეთებისა და ბამბუკისგან შეკოწიწებულ თავიანთ სახლებში, იოლად გადადიოდნენ ლიფსიტებზე და ფუძიამაზე ლოცულობდნენ.**

**ბომბმა კი არ ამოხოცა, არა; მან ისინი ორთქლად, კვამლად, არარაობად აქცია, მხოლოდ შენობათა კედლებზე დატოვა ჩრდილები, გამქრალ სხეულთა მკრთალი ანაბეჭდები.**

ღირს კი ცხოვრება ყოველივე ამის შემდეგ?

— არა! — ვთქვი მე.

და სანამ ეს „არა“ შეიცვალა და გახდა „დიახ“, მარტო წლები კი არ გავიდა. რაღაც მნიშვნელოვანიც მოხდა, რამაც დამანახვა უცნაური სიმართლე: ხშირად თვით კანონი შობს დანაშაულს. რაც უფრო სასტიკია, მით უფრო ხშირად იწვევს იგი საპასუხო სისასტიკეს.

ჩვენ ათასობით ატომური და წყალბადის ბომბი შევქმენით.

მხოლოდ ახალშობილს შეუძლია, უზრუნველად დატკბეს სიცოცხლით. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ იგი გაჩენისთანავე გაწირეს. მისთვის უცხოა შიში, იმ ტერმინის მსგავსად, საკვებით დატვირთული რომ მიცოცავს გზაზე და არ იცის, რომ სადაცაა, გასრესს მექანიკური სატკეპნი, ადამიანი რომ მართავს.

მაგრამ ხდება ისეც, ტერმიტები აძევებენ ადამიანებს საცხოვრებლებიდან და ადამიანებიც ტოვებენ ყველაფერს, თვით მექანიკურ სატკეპნებსაც კი.

ჯო მეტყოდა, იდიოტი ხარო. ის ვერ იტანდა ფილოსოფიას. ვისკი დაეხმარა, მოეხმო მეხსიერება.

მე კი რა დამეხმარება?

რამდენიმე წლის წინათ ფერმკრთალმა, სათვალიანმა გოგონამ, საგანგებოდ სერიოზულმა და მეტისმეტად „მოწიფულმა“, დარეკა ზარი ჩემი სახლის კარზე და მთხოვა, ხელი მომეწერა სტოკჰოლმის მიმართვაზე. აღგზნებისაგან ენაც კი ებმოდა. მე გავაგდე იგი.

— გოგონა, — ვუთხარი, — ჩემი გვარია ემრიჩი, დაიხსომეთ: ემრიჩი!

იგი სატირლად მოემზადა. აირინი მე დამაცხრა თავს.

— რას შვრები, კლოდ?

მან ხელი მოაწერა ქაღალდს და მთელი დღე არ მელაპარაკებოდა.

ღამით ვცადე მასთან შერიგება.

— აირინ, ძვირფასო, — ვუთხარი, — ეს მტირალა არ ღირს იმად, რომ მის გამო ვიჩხუბოთ. ჩემი ხელმოწერა არავის დაეხმარება. არ მჯერა, რომ მტირალა ქალიშვილები რაიმეს მიაღწევენ. მათთვის ეს ყველაფერი თამაშია, ჰიროსიმა კი ყოველთვის ფაქტად დარჩება.

აირინი ატირდა.

— ბომბმა ლუსი რომ მოკლას?

დილით სახლიდან წავედი, რომ აღარ დავბრუნებულიყავი, საღამოთი კი დაუტენავი პისტოლეტი მივადე მუცელზე მსუქან პოლისმენს, ბანკს რომ იცავდა. ვფიქრობდი, იგი მომკლავდა და ყველაფერი დამთავრდებოდა, მან კი თავისი კოლტი მომცა.

და მეც დავბრუნდი.

აირინს არაფერი გაუგია. ფიქრობდა, რომ ნაწყენი ვიყავი. და კიდევ, ფიქრობდა, რომ სულაც არ ვიყავი მართალი. პატარა მაგიდაზე იდო რალფ ლეპის „ახალი ძალა“, რომელშიც ლუსის ლენტით ჩანიშნული იყო ხაზგასმული სტრიქონები: **„1. მეგატონის სიმძლავრის წყალბადის ბომბი იწვევს დიდ ნგრევას 60 კვ. მილის ფართობზე და მნიშვნელოვან ნგრევას 110 კვ. მილის ტერიტორიაზე. იგი იძლევა ისეთი ინტენსიურობის სინათლესა და ტემპერატურას, რომ ყველაფერს წვავს 10 კვ. მილის ფართობზე“.**

საყვარელო, გულუბრყვილო აირინ! შენ იმედი გქონდა, რომ ჭკუაზე მომიყვანდი.

ადრეა, ძალიან ადრე... შენ არ იცოდი მთავარი: მე სიცოცხლე არ მინდოდა...

მსოფლიო განაგრძობდა ჰიროსიმაზე ლაპარაკს. საბაყლოში კითხულობდნენ, რას ფიქრობდა მისტერ ემრიჩი ჰიროსიმაში დაღუპულთა რაოდენობის შესახებ. ფოსტალიონი სულ იმას კითხულობდა, თუ რამდენად მძლავრი იყო „მაიკი“ „გალეულზე“. მერძევემ შეწყვიტა ჩვენთან რძის მოტანა — იგი რომელიღაც ანტიატომური კავშირის წევრი იყო; გაზეთში მას გმობდნენ, როგორც მოღალატეს. მეზობელი, მისის კროუ, გვეთათბირებოდა: ღირდა თუ არა ინდივიდუალური თავშესაფრის მშენებლობა. ლუსი კითხულობდა: ვგრძნობდი თუ არა შიშს, როცა ჰიროსიმისაკენ მივფრინავდით.

ჰიროსიმა... ჰიროსიმა... ჰიროსიმა...

**მე უკვე იშვიათად გამოვდიოდი სახლიდან და ისიც მხოლოდ საღამოობით. ხალხი მაინც მცნობდა: ქუჩაში მიაბიჯებდა ეროვნული გმირი, ატომური პილოტი, მაიორი კლოდ ემრიჩი, რომლის პორტრეტიც ქალაქის საუკეთესო ფოტოგრაფის ვიტრინაში ეკიდა.**

ატელიეს პატრონს კარგად გადავუხადე და შევიძინე მისგან ეს პორტრეტი და ნეგატივები. გამოთხოვებისას ვურჩიე, სანაცვლოდ მერილინ მონროს პორტრეტი გამოეფინა. იგი ჩაფიქრდა — ეს კარგი იდეაა. მე სადღაც ვნახე პლაჟზე გადაღებული მისი სურათი. გადაბეჭდვაც შეიძლება.

**გაგრძელება იქნება**

„ბენ ჰოჯესის განცხადების თანახმად, კონფლიქტის შემთხვევაში „რუსეთს შეუძლია, შექმნას ზონები, რომლებიც ნატოსთვის მიუწვდომელი იქნება, მაგალითად, რუსებს კომპლექს „ბასტიონით“ შეუძლიათ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხომალდები ბოსფორის სრუტის გავლისთანავე ჩაძირონ. რუსეთის არმიის ძლიერი მხარეებია, აგრეთვე, სპეცდანიშნულების რაზმები, საჰაერო-სადესანტო და საზღვაო-ქვეითთა ქვედანაყოფები“.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვისგან ემუქრება საფრთხე მსოფლიოს?

## რამდენი სამხედრო ბაზა აქვს აშშ-სა და ნატოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

**აუღიარებელი და დამოუკიდებელი ტერიტორიების ჩათვლით მსოფლიოში 251 ქვეყანაა, აღიარებული სახელმწიფო კი — 197. და როგორ ფიქრობთ, რამდენ ქვეყანაში და რამდენი სამხედრო ბაზა აქვს აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს?**




ნატოს ბაზები

**ნატოს ბაზები** მსოფლიო რუკაზე, პირველ რიგში, წარმოდგენილია სამხედრო სტრუქტურების სამეთაურო შტაბ-ბინებით, სასწავლო და კვლევითი ცენტრებით, აგრეთვე, რამდენიმე აეროდრომით, სამხედრო-საზღვაო ქვედანაყოფებითა და სხვა ობიექტებით. **ასეთი ობიექტები კი მსოფლიოში 80-მდეა.**

ამას გარდა, ნატოს წევრ თითოეულ ქვეყანას (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, თურქეთი, საფრანგეთი და სხვ. სულ 28 სახელმწიფო) აქვს თავისი სამხედრო ობიექტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გადასცეს ჩრდილოატლანტიკური ბლოკს გამოსაყენებლად.

ამასთანავე, აშშ-ს სამხედრო ბაზები აქვს არა მხოლოდ თავის ტერიტორიაზე, არამედ ევროპაში და სხვა კონტინენტებზეც. **აშშ-ის სამხედრო ბაზების რაოდენობა მსოფლიოს 130 ქვეყანაში 730-ზე მეტია,** აშშ-ს ტერიტორიაზე კი — 6000-მდეა. თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ სამხედრო ბაზები აქვს **დიდ ბრიტანეთსა** (გერმანია, ავღანეთი, კვიპროსი, ფოლკვლენდის კუნძულები, ბრუნეი, კანადა, გიბარალტარი, ნეპალი, კენია) და **საფრანგეთსაც** (ბალი, საფრანგეთის გვიანა, გერმანია, ჯიბუტი, ახალი კალედონია, ფრანგული ვესტ-ინდოეთი, საფრანგეთის პოლინეზია, ჩადი, გაბონი, ლიბანი, გაერთიანებული არაბული საამიროები, კოტ დ'ივუარი, სენეგალი, სერბეთი, ავღანეთი).

ბაზების განლაგებასა და მათ კონტროლზე უფლებამოსილება ნატოსა და აშშ-ს შორის ზოგჯერ იკვეთება და კომბინირებულია: **აშშ-ის სამხედრო ბაზები აქვს ავღანეთში (67 ათასი სამხედრო მოსამსახურე), იაპონიაში (50200), გერმანიაში (48300), სამხრეთ კორეაში (28,500), ქუვეითში (23000), იტალიაში (10950), დიდ ბრიტანეთში (9500) და სხვა ქვეყნებში.**

ზოგჯერ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრუქტურის რომელიღაც რგოლი ტერიტორიულად აშშ-ის ბაზაზეა განლაგებული — ამერიკულ სამეთაურო სტრუქტურებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად. ამას გარდა, ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზა (ან ნატოს), რომელიც ამერიკელების მიერ არის შექმნილი, ფორმალურად კი ეკუთვნის ამ ქვეყანას, მაგრამ იქ ამერიკელი (ან ნატოს) ჯარისკაცები არიან და ეს ობიექტები გათვლილია ამერიკელი სამხედრო ბაზის ფუნქციების შესასრულებლად და თვითონ ბაზას აშშ ან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აკონტროლებს.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და აშშ-ის სამხედრო ბაზები სულ უფრო მჭიდროდ ერტყმიან გარს რუსეთს მისი საზღვრის პერიმეტრზე, ამასთანავე, ინარჩუნებენ გავლენას ევროპასა და ცენტრალურ აზიაში და რა გასაკვირია, რომ რუსეთს აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოქმედებაზე შესაბამისი რეაქცია აქვს?!

## ამერიკელი სამხედროები მსოფლიოში

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის აშშ-ში) 3 მილიონზე მეტი ამერიკელი სპეციალისტი მსახურობს.**




**3 002 375** ამერიკელი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის რაოდენობა მსოფლიოში განლაგებულ ამერიკულ ბაზებში.

**2 751 146** — სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის რაოდენობა აშშ-ის ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზებში.

**251 229** — ამერიკელი სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის რაოდენობა საზღვარგარეთ განლაგებულ ბაზებში.




## Der Spiegel:

# რუსეთის არმია უფრო ძლიერია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების არმიები ერთად აღებული

**„არმიაში რადიკალური რეფორმების გატარების შემდეგ რუსეთი ახალი შესაძლებლობებით წარუდგა მსოფლიოს, რაც ამერიკელი სამხედროების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს. რუსეთის არმია უფრო ძლიერია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების არმიები ერთად აღებული“, — წერს გერმანული გამოცემა Der Spiegel-ი.**

„რუსეთი ავიადრატყმებს ახორციელებს სირიაში სტრატეგიული ბომდამშენების მონაწილეობით, რამდენიმე კვირაში ერთხელ მაინც მოულოდნელად ამოწმებს საომარი მოქმედებისთვის მზადყოფნას, ამის გამო კი აშშ „განგაშის ზარებს“ არისხებს, — წერენ გერმანული გამოცემის სამხედრო ექსპერტები: **მარკუს ბეკერი** და **ბენჯამინ ბიდერი.**

„ევროპაში აშშ-ის სამხედრო ძალების სარდალი **ბენ ჰოჯესი** ამბობს, რომ „განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს რუსული სისტემები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს რუს სამხედროებს, დაბლოკონ უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი მოწინააღმდეგის წვდომა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების მიმართ. მათ შორის არის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსები.

**ბენ ჰოჯესის განცხადების თანახმად, კონფლიქტის შემთხვევაში „რუსეთს შეუძლია, შექმნას ზონები, რომლებიც ნატოსთვის მიუწვდომელი იქნება, მაგალითად, რუსებს კომპლექს „ბასტიონით“ შეუძლიათ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხომალდები ბოსფორის სრუტის გავლისთანავე ჩაძირონ. რუსეთის არმიის ძლიერი მხარეებია, აგრეთვე, სპეცდანიშნულების რაზმები, საჰაერო-სადესანტო და საზღვაო-ქვეითთა ქვედანაყოფები“,** — წერენ გერმანული გამოცემის ექსპერტები და დასძენენ, რომ ამჟამად რუსეთის არმია უფრო ძლიერია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების არმიები ერთად აღებული.

**ცნობისათვის:**

**„ბასტიონი“ (ინდექსი — 3K55. ნატოს კოდიფიცირებით: SSC-5 Stooge) — სანაპირო სარაკეტო კომპლექსი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით („იახონტი“ / „ონიქსი“)**

**„ბასტიონს“ შეუძლია სადესანტო შენაერთებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა კლასისა და ტიპის ხომალდების, ავიაამზიდების, აგრეთვე, მიწისზედა რადიოკონტრასტული მიზნების განადგურება. რუსეთის არმიის შეიარაღებაშია 2010 წლიდან.**

**მოდიფიკაციები: „ბასტიონ-П“ კომპლექსის მოძრავი ვარიანტი.**

**„ბასტიონ-K“ — სტაციონარული ვარიანტი (შახტაში მოსათავსებელი)**

**„ბასტიონ-П“-ს ტექნიკური მახასიათებლები:**

*** საბრძოლო მასალების მაქსიმალური რაოდენობა — 24 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა.**

*** მსვლელობის მომენტში საბრძოლველად მოსამზადებელი დრო — 5 წთ-ზე ნაკლები.**

*** ავტონომიური საბრძოლო მორიგეობის დრო — 24 საათი.**

*** გამართულად მუშაობის ვადა — 10 წ.**

*** მოქმედების სიშორე — შეუძლია 600 კმ სიგრძის სანაპირო ზოლის დაცვა.**



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გარკვეულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის საკვებად გამოყენებას ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მათ გამოყენებას ჩვილ ბავშვთა საკვებში.**

# ზოგი რამ გენმოდიფიცირებულ საკვებზე



**გენმოდიფიცირებული ორგანიზმი (გმო) არის ისეთი მცენარე თუ ცხოველი, რომლის გენეტიკური მასალა (დნმ) შეცვლილია ლაბორატორიული (გენური ინჟინერიის) გზით. ერთ ორგანიზმში ჩაშენებულია სხვა ორგანიზმის გენი, რაც ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია. გენურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ცნება უშუალოდ დაკავშირებულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის ცნებასთან. თანამედროვე ბიოტექნოლოგია კი სათავეს იღებს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან და თეორიულად ეფუძნება გენეტიკური ინჟინერიის მეთოდებს, მოლეკულური და უჯრედული ბიოლოგიის მიღწევებს.**



თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია მცენარის ან ცხოველის ამა თუ იმ სახეობისთვის სასურველი თვისების მინიჭება. კერძოდ, ხდება ამ სასურველი თვისების განმაპირობებელი გენის ჩანერგვა მცენარესა თუ ცხოველში. სწორედ ამ გზით წარმოიქმნება გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები. ამდენად, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი არის ის მცენარე ან ცხოველი, რომელსაც მისი გენეტიკური მასალის ცვლილებით (ახალი გენის ჩანერგვით) მინიჭებული აქვს რომელიმე ახალი სასურველი თვისება, მაგალითად, ყინვაგამძლეობა, სწრაფი სიმწიფე, უხვმოსავლიანობა და სხვ. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საშუალებით ხდება ორგანიზმების გენეტიკური მასალის იმგვარი შეცვლა, რაც არასოდეს მოხდებოდა ბუნებრივი ევოლუციის პროცესში.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მიღწევები ძირითადად გამოიყენება მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში. **გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან (ანუ გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეებიდან და ცხოველებიდან) იწარმოება გენმოდიფიცირებული პროდუქტები – სამკურნალო საშუალებები, ვაქცინები, საკვები პროდუქტები (ადამიანისა და ცხოველის), კვებითი ინგრედიენტები, პარფიუმერიული ნაწარმი, სათესლე და სანერგე მასალა და ა. შ.**

თავდაპირველად გენური ინჟინერიის გზით პროდუქტის წარმოებას მეტად ჰუმანური მიზნით ხსნიდნენ — უნდა გადაჭრილიყო მსოფლიოს მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემები და დაძლეულიყო შიმშილი.

გენმოდიფიცირებული პროდუქტების მასობრივი წარმოება დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში და დღეს უკვე არნახული მასშტაბი მიიღო. **მთელ რიგ განვითარებულ ქვეყანებში მკაცრად კონტროლდება და იკრძალება გენმოდიფიცირებული პროდუქტების თესლის ბაზარზე მოხვედრა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების მიზნით.**

გენმოდიფიცირებული საკვები მიიღება ხელოვნურად შექმნილი თესლებისგან, რომლებიც შეიცავს თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენებით მიღებულ გენომს. ეს უკანასკნელი ზრდის მოსავლის რაოდენობასა და ზომას, მაგრამ მიღებული პროდუქტი თითქმის არ შეიცავს ვიტამინებს.

ეს არის ხილი და ბოსტნეული, რომელიც არ ლპება რამდენიმე კვირის განმავლობაში; არის უფრო დიდი ზომის და უკეთესად გამოიყურება. **გენმოდიფიცირებულმა საკვებმა შეიძლება ძალიან ადვილად შეგვიყვანოს შეცდომაში. შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ის ახალი და საღია, სინამდვილეში კი შეიძლება რამდენიმე კვირის წინათ იყოს მოკრეფილი. მართალია, ასეთი პროდუქტი კვლავინდებურად საღად გამოიყურება, მაგრამ მასში ძალიან ცოტა სასარგებლო ნივთიერებაა დარჩენილი, რადგან ხანგრძლივად შენახვის გამო უკვე დაშლილია ან გარდაქმნილია სხვა ნივთიერებად.**

ამჟამად გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე-სანერგე მასალა და საკვები პროდუქტები მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გენურ ინჟინერიაში მომუშავე მეცნიერებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ცოდნა საკვებად ვარგისი მცენარეების გამოყვანის პროცესში გამოეყენებინათ, რათა მოეხდინათ მათი „გაუმჯობესება“ ანუ სრულყოფა. მაგალითად: გენეტიკოსებმა კამბალაში აღმოჩენილი ყინვაგამძლეობის გენი ,,ამოკვეთეს“ კამბალას დნმ-იდან და გადაიტანეს პომიდვრის დნმ-ში, მისთვის ყინვაგამძლეობის მინიჭების მიზნით. შედეგად, პომიდვრის ნაყოფი ყინვების მიმართ მედეგი გახდა, შესაბამისად გაიზარდა მისი კულტივირების პერიოდიც. გენური ინჟინერიის გზით გამოიყვანეს სიმინდის, კარტოფილის, სოიოს, მარწყვის, ატმისა და სხვა მცენარეთა ახალი ,,ჯიშები“.

ჩრდილოეთის წყლებში მობინადრე თევზებს აქვთ გენი, რომელიც ხელს უწყობს მათ ყინვაგამძლეობას. ამ გენს თუ ამოვიღებთ და რომელიმე პროდუქტში, მაგალითად, პომიდორში გადავნერგავთ, მას შევძენთ ყინვაგამძლეობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ პროდუქტს ფარფლიც გაეზრდება და თევზის სუნიც ექნება. ამ თვისებებს სხვა გენები აკოდირებს.

უკვე დადგენილია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არასტაბილურობა. ეს ნიშნავს, რომ ხელოვნურად მიღებული გენური ორგანიზმის დნმ-ი შეიძლება დაიშალოს და კვლავ გაერთიანდეს არასწორად, ასევე შესაძლებელია სხვა გენეტიკურ მასალასთან მიერთებაც. შედეგად ვიღებთ ახალ, გაუთვალისწინებელ კომბინაციებს.

გენმოდიფიცირებული ხაზების არასტაბილურობას თავად მათი მწარმოებლები აღიარებენ. მომავალ თაობებში შეცდომები გროვდება და იწვევს მოულოდნელ ეფექტებს.

დნმ-ისა და გენების მოქმედების მეცნიერული საფუძვლები ჯერ კიდევ ბოლომდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი. გენების ურთიერთქმედების მრავალი ფორმაა ცნობილი. ორგანიზმის დნმ-ში შეჭრა და მასში უცხო გენის ჩანერგვა წარმოშობს გენთა ურთიერთქმედების ახალ ფორმებს და მუტაციებს გაუთვალისწინებელი ეფექტებით. სანამ გენებს შორის არსებული დამოკიდებულებები სრულყოფილად არ იქნება შესწავლილი და გააზრებული, მანამდე ნებისმიერი ექსპერიმენტი დასრულდება ისეთივე წარუმატებელი შედეგით, როგორიც მწვანე ორაგულის შემთხვევა იყო.

**გენმოდიფიცირებული ხილი და ბოსტნეული შეიცავს სრულიად არამონათესავე ორგანიზმების (მწერი, ცხოველი, ბაქტერია და ა.შ.) გენებს, რაც განასხვავებს მათ ჩვეულებრივი ანალოგებისგან.**

მეცნიერების ნაწილს მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები სავსებით უსაფრთხოა. მათი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ბიოინჟინერიის მეთოდების გამოყენება მრავალ სასარგებლო თვისებებს სძენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. გენმოდიფიცირებული კულტურებიდან მიღებული პროდუქტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, აქვს მომგებიანი სასაქონლო სახე და საკვებ ღირებულებას უფრო დიდხანს ინარჩუნებს.

გენური ინჟინერიის გამოყენებით ზრდიან დიდმოსავლიან ხორბალს, ფორთოხალს, რომელიც დიდხანს არ ფუჭდება, პომიდორს, რომელშიც გაზრდილია C ვიტამინის რაოდენობა, კარტოფილს, რომელსაც კოლორადოს ხოჭო არ ჭამს. ერთი სიტყვით, ამ პროდუქტს თითქოს ადამიანისთვის სასარგებლო ცვლილებების კვალი ატყვია. გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის მომხრეები თვლიან, რომ ეს პროდუქტი საუკეთესოა მათ შორის, რაც ბაზარზეა ხელმისაწვდომი.

მათ თუ ვკითხავთ, ეს პროდუქტი ზედმიწევნით ტესტირებულია და ჯანმრთელობისთვის მავნე ქიმიურ დანამატებსაც არ შეიცავს. არადა, ბუნებრივი გზით გაზრდილ ხილსა და ბოსტნეულს ძალიან ხშირად უმატებენ ქიმიურ სასუქებს და კონსერვანტებს. გარდა ამისა, მოდიფიცირებულ მცენარეებში არის გენები, რომლებიც მავნებლებსაც და სასუქებსაც ებრძვიან, გამოდის, რომ ასეთ პროდუქტს პესტიციდებითა და ჰერბიციდებით არ ამუშავებდნენ.

**მეცნიერების ნაწილი ეწინააღმდეგება ასეთი კვების პროდუქტების გამოყენებას. მათი აზრით, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელება საფრთხეს უქმნის ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას.** ახალი ნიშან-თვისება, რომელსაც გენმოდიფიცირებული მცენარეები შეიძენენ, უფრო კონკურენტუნარიანს ხდის მათ არაგენმოდიფიცირებულ ჯიშებთან შედარებით. ამას, შესაძლოა, სერიოზული ეკოლოგიური დარღვევები მოჰყვეს. გარდა ამისა, გენმოდიფიცირებულ მცენარეთა უჯრედებში, შესაძლებელია, მოხდეს ადამიანისთვის საშიში ნივთიერებების (ტოქსინების, ალერგინების) სინთეზირება, რაც საზიანოა როგორც ადამიანისთის, ასევე ეკოსისტემისთვის.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენების მოდიფიცირება მათ ანიჭებს მდგრადობას სხვადასხვა დაავადების, ასევე მღრღნელების წინააღმდეგ, ზრდის შენახვის ვადებს. აუცილებელია, გენების ხელოვნური შეცვლის გაუთვალისწინებელი ეფექტების შეფასება, რაც საკმაოდ რთულია. სწორედ ამიტომ ევროპის ბევრ ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პომიდვრისა და კარტოფილის ნათესების ფართობები დღეისათვის უკიდურესად შემცირებულია. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის მოწონებული გენმოდიფიცირებული ხორბლის მოყვანა და მისი მოხმარება.

**გარკვეულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის საკვებად გამოყენებას ადამიანის ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მათ გამოყენებას ჩვილ ბავშვთა საკვებში,** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი დედის რძის შემცვლელი ადაპტირებული ნარევის ცხიმოვანი კომპონენტის შემადგენლობაში შედის მცენარეული ცხიმები, კერ- ▶

**გენმოდიფიცირებულმა საკვებმა შეიძლება ძალიან ადვილად შეგვიყვანოს შეცდომაში. შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ის ახალი და საღია, სინამდვილეში კი შეიძლება რამდენიმე კვირის წინათ იყოს მოკრეფილი**






**1995 წლის დასაწყისში, სათესლე კარტოფილის სიმცირის გამო, უცხოეთიდან შემოტანილი იყო სხვადასხვა ჯიშის კარტოფილის სათესლე მასალა, გენმოდიფიცირებული მათ შორის აღმოჩნდა მონსანტოს კარტოფილიც, რომელიც შვიდმა ადგილობრივმა ფერმერმა 1996 წელს დათესა წალკის, ასპინძისა და თეთრიწყაროს რაიონებში. მოსავლიანობა ძალიან დაბალი იყო — ჰექტარზე ნაცვლად სავარაუდო 18-22 ტონისა, დაახლოებით 8 ტონა მოიწიეს.**

## ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ძოდ, სოია, სიმინდი, პალმა, ქოქოსი და ა. შ. ალბათ, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მეტად სწორედ ზემოჩამოთვლილი პროდუქტების გენმოდიფიცირება ხდება.

**ტრასგენური (გენური ინჟინერიის შედეგად შექმნილი) ცილების მოქმედების შედეგად, შესაძლოა, განვითარდეს შემდეგი პათოლოგიები: იმუნიტეტის დაქვეითება; ალერგიული რეაქციები; კანის დაავადებები; მეტაბოლური დარღვევები; ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის დაზიანება; ორგანიზმში აუცილებელი ნივთიერებების მიწოდების შემცირება; კანცეროგენული და მუტაგენური ეფექტები და სხვ.**

გენური ინჟინერია საკმაოდ ახალგაზრდა მეცნიერებაა, ამიტომ შეუძლებელია იმის გამოცნობა, როგორ აისახება ასეთი შეცვლილი პროდუქტის გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობაზე მომავალში. რისკების სრულად შესასწავლად ათეულობით წელი უნდა გავიდეს, გემოდიფიცირებული პროდუქტით ნასაზრდოები რამდენიმე თაობა უნდა შეიცვალოს.

თუმცა ამ პროდუქტ-მუტანტების გამოყენებას დღეს ბევრი მეცნიერი უკავშირებს იმ ადამიანების რაოდენობის ზრდას, რომლებიც ალერგიითა და ჭარბცხიმიანობით იტანჯებიან.

კიდევ უფრო გაფრთხობს და გაშინებს არც ისე დიდიხნისწინანდელი ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებში თაგვები, რომელთაც ტრანსგენური სოიოთი კვებავდნენ, სრულიად დაავადებულ შთამომავლობას იძლეოდნენ. მათ ნაშიერთა ნახევარზე მეტი იღუპებოდა სიცოცხლის 2-3 კვირის მანძილზე, ხოლო გადარჩენილთაგან უმრავლესობა უნაყოფო აღმოჩნდა.

**უკვე დადგენილია, რომ საკვებად გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღება იწვევს კუჭის ლორწოვანი სტრუქტურის დარღვევას და ხელს უწყობს ნაწლავებში ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი მიკროფლორის წარმოქმნას.**

ამასთანავე, მთელ რიგ უკუჩვენებებს ემატება ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითება და ნივთიერებათა ცვლის მოშლა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ქრონიკული დაავადებების აკუმულირებას და არაჯანსაღი წონის ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ სწორედ გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღებას უკავშირებენ ონკოლოგიური დაავადებების მომრავლებასაც. ტრანსგენებს გააჩნიათ ნაწლავის მიკროორგანიზმის გენურ აპარატთან ინტეგრირების თვისება, ეს კი მუტაციაა. როგორც ცნობილია, ადამიანის ორგანიზმში სიმსივნეების განვითარებას უჯრედების მუტაცია იწვევს.

ცხოველებზე ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა ცდებმა აჩვენა, რომ გენმოდიფიცირებული რაციონის მიღების შემთხვევაში (ძირითადად კი — სოიისა და სიმინდის) ისინი მალე ბერდებოდნენ, უქვეითდებოდათ იმუნიტეტი, დაუცველი ხდებოდნენ ინფექციური და ვირუსული დაავადებების მიმართ, უმახინჯდებოდათ რეპროდუქციული სისტემა – ვეღარ იძლეოდნენ ჯანსაღ შთამომავლობას.

სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში წარმოებული სოიოს 70% გენეტიკურად მოდიფიცირებულია. თანაც ასეთ სოიოს უმატებენ ძეხვს, ლორს, ფარშს, კონსერვებს, ყველს. ამასთან ერთად, მსოფლიოში ჯერ არ არსებობს ტექნოლოგია, რომლის დახმარებითაც გამომჟღავნდებოდა ტრანსგენური პროდუქტის მავნებლობა და შეფასდებოდა უსაფრთხოება.

საქართველოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტის პირველი გახმაურებული შემთხვევა იყო 1996 წელს კომპანია „მონსანტოს“ ტრანსგენური კარტოფილის იმპორტი და კულტივაცია. აიდაჰოდან (80%) და კანადიდან (20%). შემოიტანეს გენეტიკური ინჟინერიით მიღებული კარტოფილის სამი ჯიში: ატლანტიკი, სუპერიორი და რასეტ ბერბანკი, დაახლოებით 133-148 ტონა.

**1995 წლის დასაწყისში, სათესლე კარტოფილის სიმცირის გამო, უცხოეთიდან შემოტანილი იყო სხვადასხვა ჯიშის კარტოფილის სათესლე მასალა, გენმოდიფიცირებული მათ შორის აღმოჩნდა მონსანტოს კარტოფილიც, რომელიც შვიდმა ადგილობრივმა ფერმერმა 1996 წელს დათესა წალკის, ასპინძისა და თეთრიწყაროს რაიონებში. მოსავლიანობა ძალიან დაბალი იყო — ჰექტარზე ნაცვლად სავარაუდო 18-22 ტონისა, დაახლოებით 8 ტონა მოიწიეს.**

1997 წლის ოფიციალური მონაცემებით, გენმოდიფიცირებული კარტოფილი წალკის რაიონში გამოსაცდელად დაითესა 142 ჰექტარზე.

1994-97 წლებში გურიასა და სამეგრელოში შემოიტანეს ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის თესლი, ხოლო 1995-97 წლებში ხობისა და ლანჩხუთის რაიონში – ამერიკული სათესლე სოიის მარცვალი.

**გარდა აღნიშნულისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, აშშ-დან საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა იმპორტირებული ხორბალი, ქერი, სიმინდი. სავარაუდოა, რომ ეს სათესლე მასალაც დაბინძურებული იქნებოდა განეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებით, თუმცა კონტროლი ამ მიმართულებით არ განხორციელებულა.**

იმპორტირებულ პროდუქტებს შორის, მათში გენმოდიფიცირებული მასალის შემცველობის თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია: კარტოფილის ჩიფსები; სიმინდის ჩიფსები და კრეკერები; სიმინდის ბურღულეული; სიმინდის ბურბუშელა; სიმინდის კონსერვები; გაყინული სიმინდის მარცვალი; სოიის ფარშები; სოიის კონსერვები; კეტჩუპები და ტომატ-პასტები (პომიდორი, სახამებელი); ნამცხვრები (სიმინდი, სოია, ასპარტამი); შოკოლადები, კანფეტები (ლეციტინი, სოია); საღეჭი რეზინები (ლეციტინი, ასპარტამი); წვენები და სასმელები (ასპარტამი); ხორცის კონსერვები და პაშტეტები (ლეციტინი, სოია); სუფები (კარტოფილი, სახამებელი, ლეციტინი); რძის პროდუქტები (მოწიფული და მდნარი ყველი შეიცავს ლეციტინს); სამარხო მარგარინი (მცენარეული ცხიმი, ლეციტინი); ძეხვეული (ლეტიცინი, სოიას წარმოებულები); ბურღულეული (სიმინდი, სოია, კარტოფილი, მათი წარმოებულებები, ასპარტამი).




**უკვე დადგენილია, რომ საკვებად გენმოდიფიცირებული პროდუქტების მიღება იწვევს კუჭის ლორწოვანი სტრუქტურის დარღვევას და ხელს უწყობს ნაწლავებში ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი მიკროფლორის წარმოქმნას**



სამწუხაროდ, დღეს მეცნიერებას არ აქვს ზუსტი პასუხი კითხვაზე: შეძლებს თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტი კაცობრიობა მოსალოდნელი შიმშილისგან ისე იხსნას, რომ ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას? **არ არსებობს საბოლოო დასკვნა გმო-ს უვნებლობის შესახებ.**

საკვები პროდუქტის უვნებლობის კუთხით, გარკვეული რისკები და კითხვის ნიშნები ნამდვილად არსებობს, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულება, უქმნის თუ არა ადამიანის ჯანმრთელობას გმ პროდუქტის მიღება საფრთხეს. ზოგადად, ყველა სიახლეს გარკვეული შიში მოსდევს. ამის მიზეზი ისაა, რომ არ ვიცით, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. რისკები უნდა ავწონ-დავწონოთ. 60-იან წლებში იგივე რეაქცია მოჰყვა სოფლის მეურნეობაში „მწვანე რევოლუციას“ — პესტიციდების შემოღებას. სასუქის გამოყენებამ მაშინ მოსავლიანობა 20-25%-ით გაზარდა და გარკვეულწილად, იმ პერიოდში არსებული შიმშილი დაძლია მსოფლიომ. მაშინ არავინ ფიქრობდა, შექმნიდა თუ არა ეს პრობლემას, მხოლოდ მოგვიანებით დარეგულირდა, რომელი სასუქის რა რაოდენობით გამოყენებაა შესაძლებელი. ისიც გამოჩნდა, რომ ზოგი პესტიციდი, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა, სახიფათოა და აიკრძალა. გმო-სთან დაკავშირებით ჯერ არ არის მსგავსი რეგულაციები, რადგან არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ის მავნეა.

ფრანგების მიერ ვირთხებზე ჩატარებული ცნობილი ექსპერიმენტი (3 წლის განმავლობაში ვირთხების იმ ჯგუფში, რომელსაც გენმოდიფიცირებული სიმინდითა და ხორბლით კვებავდნენ, ყველა მღრღნელი კიბოთი დაავადდა) ბევრი ქვეყნის ხელისუფლებისთვის გახდა საფუძველი, გმ პროდუქტის, ასევე გმ თესლისა და ნარგავების შეტანა აეკრძალათ, მაგრამ სხვა ჯგუფებმა საპირისპიროც დაადგინეს. არც ფრანგების მიერ ჩატარებული კვლევის შემთხვევაში გვაქვს პირდაპირი მტკიცებულება, რომ იმ პროდუქტში, რომელსაც ვირთხებს აძლევდნენ, გამოყვეს კარცეროგენი, რომელიც იწვევს სიმსივნეს.

საბოლოოდ აქამდე არაა დამტკიცებული, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს, მაგრამ ვერც იმას ვამტკიცებთ, რომ უვნებელია. ეს ჯერ კიდევ დილემაა და შეიძლება ითქვას, რომ გენმოდიფიცირებულ პროდუქტთან დაკავშირებით ამჟამად კაცობრიობა ერთ დიდ და ხანგრძლივ ცდაში მონაწილეობს და არავინ იცის, საბოლოოდ რით დასრულდება ეს ყველაფერი.

**ოფიციალური სტატისტიკით, ამერიკულ გასტრონომებში პროდუქტების 70-75% გენმოდიფიცირებულ მცენარეთა ინგრედიენტებს შეიცავს, ჩვენს რაციონში მათი წილის შესახებ კი მიახლოებითი მონაცემებიც არ არსებობს.**

გენური ინჟინერიის მომხრეთა მთავარი არგუმენტი მშიერთა დაპურებაა. ისინი ამბობენ, რომ XX საუკუნის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა 1.5-დან 6 მილიარდამდე გაიზარდა, 2020 წელს კი 8 მილიარდს მიაღწევს. სახნავ-სათესად გამოსადეგი და ასათვისებელი მიწები თანდათან ილევა. სხვა გზა არ არის, გარანტია უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი სიმინდი ყოველთვის შვიდ-შვიდ ტაროს გამოისხამს. სწორედ ასეთ გარანტიას გვაძლევს გენეტიკური ინჟინერია.

აშშ-ში, რომელსაც გენეტიკურად მოდიფიცირებული კულტურების მოყვანისა და გასაღების ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს (პირველი ნებართვა აქ 1994 წელს გასცეს), საკვებისა და მედიკამენტების კონტროლის სამმართველომ (FDA) 50 ასეთი პროდუქტი ისევე უსაფრთხოდ მიიჩნია, როგორც მათი ტრადიციული გზით მოყვანილი ნათესავები. იმდენად უსაფრთხოდ, რომ ეტიკეტზე შესაბამისი წარწერის გაკეთებაც კი არ მოითხოვს (განსხვავებით ევროკავშირისგან, სადაც თუ GM ინგრედიენტების რაოდენობა 0.9%-ს აღემატება, ეტიკეტზე აღნიშვნა აუცილებლად უნდა იყოს). თუმცა, ოპონენტების აზრით, სიმშვიდის საფუძველი მაინც არ გვაქვს. გრძელვადიანი მიზანმიმართული კვლევები ჯერ არ ჩატარებულა, მოსალოდნელ რისკებზე საუბარი კი უკვე შეიძლება:

**თუ, ვთქვათ, ალერგიული ბრძანდებით არაქისის მიმართ, დაავადება შეიძლება გამოიწვიოს პომიდორმაც, რომლის გენომშიც არაქისის გენები შეიყვანეს. მეტიც – გენეტიკური მოდიფიკაციების დროს ხშირად იყენებენ ისეთი ორგანიზმების პროტეინებს, რომლებიც არასოდეს ყოფილა ჩვენი კვებითი ჯაჭვის ნაწილი და არც მათი ალერგენული თვისებების შესახებ ვიცით რამე.**

არის საშიშროება, რომ მოსანიშნად განკუთვნილმა გენებმა ერთხელ უკვე გავლილი გზა გაიარონ და მცენარიდან ჩვენს ნაწლავებში ჩაბუდებულ ბაქტერიებში ამოყონ თავი.

მოგეხსენებათ, საკვები ჩვენი კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შემადგენელ აგურებამდე უნდა დაიშალოს. სწორედ ამის იმედი აქვთ ტრანსგენური პროდუქტების მწარმოებლებს. საქმე ის არის, რომ დნმ-ის შემადგენლობა ყველა ორგანიზმს ერთნაირი აქვს. მემკვიდრეობას მხოლოდ მისი ცალკეული მონაკვეთების თანმიმდევრობა ქმნის, მაგრამ არც ასე მარტივად ყოფილა საქმე. ორიოდე წლის წინათ ნორვეგიელმა მეცნიერებმა ყვავილოვანი კომბოსტოს მოზაიკის ვირუსი შეუცვლელი სახით იპოვეს საცდელი ცხოველების ქსოვილთა უჯრედებში. ეს მძლავრი პრომოტორია, რომელსაც თითქმის ყველა გენმოდიფიცირებულ პროდუქტში უცხო გენის ასამუშავებლად იყენებენ. ესე იგი, მას ადამიანის ორგანიზმში ნებისმიერი უმოქმედო დნმ-ის გააქტიურება შეუძლია, ეს კი შეიძლება სხვადასხვა საშიში ვირუსი ან ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედები აღმოჩნდეს...

ასეა თუ ისე, სადღეისოდ არსებული მონაცემებით, ვერც ხელაღებით უარვყოფთ ასეთ პროდუქტებს და ვერც მშვიდად შევეგუებით მათ ფართოდ გავრცელებას.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სიცოცხლის ხე

**შეუძლებელია, უჩვეულო ხეებს შორის არ ვახსენოთ ბაჰრეინის ქალაქ ჯებელ-დუჰანის შორიახლოს მდგარი სიცოცხლის ხე, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ხეებზე ახალგაზრდაა, სულ რაღაც 400 წლისა, მაგრამ შესაძლოა, ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ხეებს შორის ყველაზე უნიკალურიც იყოს.** მეცნიერებს დღემდე ვერ აუხსნიათ, როგორ გაიზარდა ასეთი უზარმაზარი ხე წყლის უკიდურესი სიმწირის პირობებში. ხის სანახავად უამრავი ტურისტი მიდის. ადგილობრივ მცხოვრებთ კი სჯერათ, რომ ხე სამოთხის ბაღის ადგილზე დგას.

# პლანეტის ყველაზე საოცარი ხეები

ჩვენ ვიცით, როგორ გამოიყურება ნაძვი, ფიჭვი, მუხა, ცაცხვი. ამიტომ, როცა განსხვავებულ ხეებს ვხედავთ, არარეალურად გვეჩვენება. არადა, ეს საოცარი ხეები მშვენივრად იზრდება საკუთარ სამშობლოში და ადგილობრივებისთვის საოცრებას არ წარმოადგენს.



## ბაობაბი

**ბაობაბი ერთ-ერთი უცნაური და უძველესი ხეა ჩვენს პლანეტაზე. ლეგენდის თანახმად, ღმერთმა თავის ბაღში ამოსული ბაობაბი ამოთხარა და გადააგდო. ხე თავდაყირა დაეცა და, მიუხედავად საკმაოდ წარუმატებელი დაცემისა, ზრდას განაგრძობდა. სხვა ლეგენდა გვიამბობს, რომ ახალდარგული ბაობაბი ძალიან სწრაფად იზრდებოდა და ღმერთმა ამ ბობოქარი პროცესის შესაჩერებლად ის თავდაყირა გადარგო.**

ბაობაბს წლოვანების განმსაზღვრელი რგოლებიც კი არ აქვს — ამ ხეების ასაკის გამოსაანგარიშებლად მეცნიერები რადიონახშირბადის ანალიზით კმაყოფილდებიან.

**ბაობაბი 5-დან 30 მეტრამდე შეიძლება გაიზარდოს და 7-11-მეტრიანი დიამეტრის ტანი ჰქონდეს.**

**ყველაზე დიდ ბაობაბად იყო მიჩნეული ხე, რომელიც სამხრეთ აფრიკაში, ლიმპოპოში ხარობს, რომლის სიმაღლეც 47 მეტრს აღწევს, დიამეტრი კი — 16 მეტრს. ცოტა ხნის წინათ ეს ხე ორად გაიხლიჩა, ამიტომ ყველაზე დიდ ბაობაბად უკვე ითვლება 34 მ სიმაღლისა და 11 მ დიამეტრის ხე, რომელიც იმავე რეგიონში ხარობს.** ბაობაბი სანდლენდი ღირშესანიშნავია მის ფუღუროში მოწყობილი უჩვეულო რესტორნითაც.

ბაობაბის რამდენიმე სახეობიდან ყველაზე საინტერესოა ბაობაბი-ჩაიდანი, რომელიც მადაგასკარის პეიზაჟს ამშვენებს.

ის ბაობაბის ცალკე ჯიშად არ მიიჩნევა — მადაგასკარზე არსებული ექვსი სახის ბაობაბიდან ნებისმიერს შეუძლია ჩაიდნისა თუ ბოთლის ფორმის მიღება. სავარაუდოდ, ხე ასეთი ფორმის მიღებით წყლის მომარაგებაზე ზრუნავს.

ამ ხეებს აფრიკელები ძალიან აფასებენ და პატივს სცემენ. გარდა იმისა, რომ ხის მასალის წყაროა, ბაობაბის ვარჯებს ხალხი ხშირად საცხოვრებლად, ხორბლის ან წყლის შესანახად იყენებს. ბაობაბის ქერქისგან სათევზაო ბადეებს, ტომრებსა და ტანსაცმელსაც კი ამზადებენ, ქერქი ხშირად საჭმელადაც გამოიყენება.

ბაობაბის ფოთლებისგან ამზადებენ საფუარს და საჭმელში ბოსტნეულის სახითაც იყენებენ. ბაობაბის ნაყოფსა და თესლს ადამიანებიც მიირთმევენ და ცხოველებიც.

ბაობაბის ნაყოფის გამხმარი და წყალში არეული რბილობის გემო ლიმონათს მოგაგონებთ. თესლი C ვიტამინის უმდიდრესი წყაროა.

ბაობაბის სხვადასხვა ნაწილისგან მზადდება საპონი, წებო, სამკაულები, რეზინი, წამლები, ქსოვილი და სხვა ნივთები.



## ცისარტყელა ევკალიპტი

**ამ უჩვეულო ხის ქერქი მხატვრის ნამუშევარს ჰგავს.**

ევკალიპტები, თუნდაც, „ცისარტყელა" ქერქი არ ჰქონდეს, მაინც არაჩვეულებრივი ხეებია. მათი უნიკალურობა სიმაღლეა — ევკალიპტი ყველაზე მაღალი ხეა, რომელიც დედამიწაზე ოდესმე არსებულა. 1872 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ ტექსტში ნახსენებია წაქცეული ევკალიპტი, რომლის სიმაღლეც 150 მეტრზე მეტი იყო.



## დრაკონის ხე

**ასევე უჩვეულოა დრაკონის ხე, რომელსაც ბაობაბის მსგავსად წლოვანების რგოლები არ გააჩნია.** ქერქის გაჭრისას გამოსული უჩვეულო წითელი წვენის გამო ამ ხეს დრაკონის სისხლის ხესაც უწოდებენ.



## სეკვოია

**ეს უზარმაზარი ხე, რომლის ტოტებიც და ფესვებიც სიმაღლესა და სიღრმეში ათობით მეტრს აღწევს, აღფრთოვანებას იმსახურებს.**

დღეისთვის ცნობილია დაახლოებით 50-მდე სეკვოია, რომელთა სიმაღლეც 105 მეტრს აჭარბებს. უძველესი სეკვოიების ასაკი 3,5 ათას წელზე მეტია.





## ბამბის ხე

**ყურადღებას იმსახურებს ბამბის ხეები (სეიბი ან სეიბა), რომლებიც კამბოჯის უძველესი ციხესიმაგრის — ანგკორ-ვატის ნანგრევებში იზრდება. უკვე დიდი ხანია, ხის ფესვები დიდებული ციხესიმაგრის ქვის ნაგებობებთან სამუდამოდაა შეზრდილი.**

სეიბი არა მხოლოდ უძველესი ნაგებობის ნანგრევებთან ლამაზი „სიმბიოზის" კონტექსტშია საინტერესო, ის პალმის ხეების ოჯახიდანაა და ძირითადად პლანეტის გვალვიან, მშრალ რეგიონებში იზრდება. ამის გამო ხის მთელი ტანი და ტოტები ეკლებითაა დაფარული, რაც ხეს სასიცოცხლოდ აუცილებელი ტენის შენარჩუნებაში ეხმარება.



## მათუსალა

**ზოგიერთი ხე ისე უჩვეულოა, რომ მათ საკუთარ სახელებს არქმევენ. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს — ასაკი, უჩვეულო ფორმა ან კოლოსალური ზომა.**

მთის ფიჭვი **მათუსალა** 1953 წელს კალიფორნიის შტატის აღმოსავლეთში, ინიოს ნაციონალური ტყის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს.

მათუსალა უნიკალურია იმით, რომ ის ერთ-ერთი ძველი ცოცხალი ხეა მსოფლიოში. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მათუსალას წელს 4843 წელი შეუსრულდა. ვანდალიზმის აქტების თავიდან არიდებისა და ხის დაცვის მიზნით ფიჭვის ზუსტი ადგილმდებარეობა გახმაურებული არ არის.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მეცნიერებმა 250 პატარა გალაქტიკა აღმოაჩინეს



**კოსმოსური ტელესკოპი „ჰაბლი“ დაეხმარა მეცნიერებს, აღმოეჩინათ გალაქტიკების ჯგუფი, რომელშიც ნაკლებ კაშკაშა და ძველი ობიექტები შევიდნენ, ზოგიერთი დიდი აფეთქებიდან 600 მილიონი წლის შემდეგ გაჩენილიც.** აღმოჩენა მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა გააკეთა, რომელსაც შვეიცარიის ფედერალური პოლიტექნიკური სკოლის წარმომადგენელი ჰაკიმ ატეკომი ხელმძღვანელობდა. მეცნიერებმა, საერთო ჯამში, 250 პატარა გალაქტიკა აღმოაჩინეს, ზოგიერთი იმაზე მბჟუტავი აღმოჩნდა, რომლებიც „ჰაბლმა“ მანამდე აღმოაჩინა. დაკვირვების შედეგად, ასტროფიზიკოსებმა დაასკვნეს, რომ დაგროვილი სინათლე, რომელიც აღმოჩენილი გალაქტიკებიდან მოდის, შესაძლოა, სამყაროს ადრეული ისტორიის ბურუსით მოცული პერიოდის — პეიონიზაციის ეპოქის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ყოფილიყო.



## ენჯელი

**სამხრეთ კაროლინაში დგას 1500 წლის მუხა ენჯელი, რომელიც ჯონის კუნძულის ტყეში იზრდება.** მუხის სიმაღლე 20 მ-ია, დიამეტრი — 2,7 მ, ყველაზე გრძელი ტოტი კი 27 მ. საკუთარი სახელი მუხამ ოდესღაც ამ მიწების უკანასკნელი მფლობელი ოჯახის – ენჯელების გვარიდან მიიღო.



## ელაია ბუიბონი

**უძველესი ზეთისხილის ხე ელაია ბუიბონი იზრდება კუნძულ კრეტაზე.** მიუხედავად ასაკისა, ხე დაახლოებით 4 ათასი წლისაა. ელაია ბუიბონი ნაყოფს დღემდე ისხამს.



## ტულე

**მექსიკის ქალაქის სანტა-მარია-დელ-ტულეს ერთ-ერთ ეკლესიასთან დგას მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ხე ტულე. ხე ტაქსოდიუმების ოჯახს ეკუთვნის, რომლებიც მხოლოდ მექსიკაში იზრდება.**

მისი დიამეტრი 11,62 მეტრია, სიმაღლეში ტულე 35,4 მეტრს აღწევს, მისი ვარჯის გარშემოწერილობა კი 36,2 მეტრია. ეს ხე ადრე უფრო მაღალი იყო. სხვადასხვა ვერსიის თანახმად, ტულე 500 წლიდან 6 ათას წლამდე ასაკის შეიძლება იყოს. 1994 წელს ხემ ხმობა დაიწყო — დასცვივდა ფოთლები, გამოუშრა და დაემტვრა ტოტები. აღმოჩნდა, რომ მიზეზი წყლის სიმცირე იყო. „წყლის თერაპიის“ შემდეგ ხე გამოცოცხლდა და დღემდე სანტა-მარია-დელ-ტულეს სიმბოლოდ მიიჩნევა.



# კინოთეატრი ოკეანეში

**ეს საოცარი კონსტრუქცია ერთგვარი ტივტივაა, რომელზეც კინოთეატრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველანაირი აღჭურვილობაა მოთავსებული.**

კინოთეატრის პროექტი არქიტექტორ ოლ შირენს ეკუთვნის. საოცარი კინოთეატრის მოსაწყობად საჭირო აღჭურვილობის ტრანსპორტირება და აწყობა საკმაოდ მარტივად მოხერხდა. საჭიროების შემთხვევაში მისი დემონტაჟი და სხვა ადგილზე გადატანაც შესაძლებელია. უჩვეულო კინოთეატრი კერძო კუნძულთან, ტაილანდის მახლობლად არის განთავსებული. თუ არ ჩავთვლით ორ სალ კლდეს, მის ირგვლივ მხოლოდ წყალია.

როცა ასეთ ადგილზე იმყოფები, ძნელია წარმოიდგინო, როგორ ან რატომ უნდა იყოს





აქ კინოთეატრი, მაგრამ ამ არასტანდარტულმა პროექტმა მსოფლიოში დიდი ინტერესი გამოიწვია — ერთდროულად ბანაობისა და ფილმის ყურების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ვის არ მოუნდება მოგზაურობის დროს ასეთ არაჩვეულებრივ გარემოში საინტერესო ფილმის ნახვა.

# რატომ უჭირთ ქალებს წონის დაკლება

**მამაკაცებს, რომლებსაც ჭარბი წონა დიდად არ ადარდებთ, უფრო უადვილდებათ დაკლება და თანაც, გაცილებით სწრაფად.
ასეთ დასკვნამდე მივიდა ჯგუფი საერთაშორისო ექსპერტებისა, რომლებმაც რამდენიმე ათეული კვლევა გააანალიზეს.**



სპეციალისტებმა ამ უსამართლობის რამდენიმე მიზეზი გამოავლინეს. პირველ რიგში, მამაკაცებს ბუნებრივად გაცილებით დიდი კუნთოვანი მასა გააჩნიათ, რაც კალორიების აქტიურ წვას უწყობს ხელს.

ამასთანავე, ქალები კერძის მზადების პროცესში ხშირად იმატებენ წონას, რადგან აგემოვნებენ თავიანთ კულინარულ შედევრებს. კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ ქალები ჰორმონალური მიზეზების გამო უფრო ნაკლებად უძლებენ სტრესს და მიდრეკილი არიან ასეთ დროს ბევრი საკვების



მიღებისკენ.

ყველაზე ჯანმრთელი და ეფექტიანი გასახდომი მეთოდი, რომელსაც სპეციალისტები უწევენ რეკომენდაციას, არის შემდეგი: ადამიანმა ჯერ წონა უნდა მოიმატოს კუნთების ხარჯზე. ამისთვის საჭიროა ვარჯიში მძიმე წონებით, ცილების შემცველი საკვებით გაძლიერებული კვება, ანუ შიმშილით თავის წვალება საჭირო არ არის. კუნთოვანი მასის დაგროვების შემდეგ იწყება გამოშრობა. ადამიანი იკლებს, რადგან გაზრდილი კუნთები ეხმარება მას კალორიების დაწვაში.

# ჩინელმა მსახიობმა 31-მილიონიანი ქორწილი გადაიხადა

**რამდენიმე დღის წინათ შანხაიში წლის ყველაზე ძვირად ღირებული ქორწილი გაიმართა. 26 წლის ჩინელმა მსახიობმა და მომღერალმა ანჯელა იანგმა, რომელიც Angelababy-ის სახელით არის ცნობილი, 31 მილიონ დოლარად ღირებული ქორწილი გადაიხადა.**

ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ცერემონიას 2 000 სტუმარი ესწრებოდა, სტუმრების უსაფრთხოებაზე 200 მცველი ზრუნავდა. უკლებლივ ყველა სტუმარს სასაჩუქრე ჩანთები დაურიგდა, რომლებშიც მობილური ტელეფონები იდო. ცერემონიას, რომელიც ჰოლოგრაფიულ სასახლეში გაიმართა, ერთ-ერთი ჩინური ონლაინგამოცემა პირდაპირ ეთერში გადასცემდა.

ქორწილის წინ ფოტოსესიისთვის წყვილი პარიზში გაემგზავრა, სადაც პატარძალი სხვადასხვა ძვირად ღირებული, ექსკლუზიური საქორწილო კაბით ჩნდებოდა კამერების წინ. ქორწილის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი იყო პატარძლის საქორწილო ბეჭედი, რომელიც 1,5 მილიონი დოლარი დაჯდა. ქორწილში ჩინელ მსახიობს კრისტიან დიორის კაბა ეცვა, რომელიც 5 თვის განმავლობაში იკერებოდა. მისი ღირებულება უცნობია.

შედარებისთვის: ქეით მიდლტონისა და პრინც ჰარის სამეფო ქორწილი 34 მილიონი დოლარი დაჯდა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1812 წლის 4 ნოემბერს წინანდალში დაიბადა ნინო ჭავჭავაძე** — გამოჩენილი ქართველი პოეტის — ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი, რომელიც ცოლად გაჰყვა რუს პოეტსა და დიპლომატს — **ალექსანდრე გრიბოედოვს.** ნინო ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1857 წლის 28 ივნისს.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 175 წლის წინათ, 1840 წლის 27 ოქტომბერს, გორის რაიონის სოფელ ვარიანში დაიბადა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი.** 1855 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1961 წელს — კიევის სასულიერო სემინარიაში. პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა მეთოდიკის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა განხილულია იაკობ გოგებაშვილის ნაშრომებში: „ბურჯი ეროვნებისა“; „ხე ნაყოფით იცნობება“; „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“; „ახალი სასწავლო გეგმის შესახებ“; „განათლების მდგომარეობა საქართველოში“; „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სასკოლო სახელმძღვანელოები: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, „ბუნების კარი“, „დედა ენა“, „რუსსკოე სლოვო“, რომლებმაც დიდი როლი ითამაშა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში და რომელთა პრინციპებზეა შედგენილი ქართული სკოლების დაწყებითი კლასების ქართული და რუსული სახელმძღვანელოები.

იაკობ გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზეა შექმნილი მისი მოთხრობები: „ქურდი და მამალი“, „მერცხალი და მეცხვარე“, „ცხვარი და მარტი“ და სხვ. აღსანიშნავია ისტორიულ თემაზე დაწერილი მოთხრობები: „ასპინძის ომი“; „იოთამ ზედგენიძე“; „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“; „ცოტნე დადიანი“; „თავდადებული მღვდელი თევდორე“; „სამასი თავდადებული გლეხი“ და სხვ. მისი ყველაზე ცნობილი მოთხრობაა „იავნანამ რა ჰქმნა“.

იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წლის 14 ივნისს.



*** 1941 წლის 6 ნოემბერს სტალინის მოხსენებამ** ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავზე და მისმა მიმართვამ საბჭოთა ხალხისადმი დიდი სამამულო ომის პერიოდში მოსკოვში, წითელ მოედანზე აღლუმის გამართვის წინ, ქვეყანაში პატრიოტული სულისკვეთების უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. ადამიანები უსმენდნენ მოხსენების რადიოტრანსლაციას და მათი მისწრაფება იყო, ქვეყანას დახმარებოდნენ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში და საბჭოთა არმიას ყოველდღიურად მიეღო მეტი იარაღი და საბრძოლო მასალა.

*** 160 წლის წინათ, 1855 წლის 10 ნოემბერს, გორის რაიონის სოფელ ქვემო ნიქოზში დაიბადა სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი (ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ) 1917-1918 წლებში კირიონ II (ერისკაცობაში — გიორგი საძაგლიშვილი).** ქართველი ისტორიკოსი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე ქართულმა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ 2002 წელს წმინდანად შერაცხა.

კირიონ II მოკლეს 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფში. დაკრძალულია სიონის ტაძარში.





*** 1913 წლის 7 ნოემბერს დაიბადა ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ალბერ კამიუ,** რომელსაც „დასავლეთის სინდისს უწოდებდნენ“. თავისი ცნობილი პიესა „კალიგულა“ კამიუმ 1939 წელს დაწერა, ამას მოჰყვა რომანი „უცხო“, შემდეგ „მითი სიზიფეზე“. ომის წლებში მან დაწერა „წერილი გერმანელ მეგობარს“ და „ჭორი“.

1957 წელს ალბერ კამიუს მიანიჭეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

3 წლის შემდეგ კი, 1960 წლის 4 იანვარს, ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში.



*** 2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებამ იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ცრემლსადენი აირის, ხელკეტების, რეზინის ტყვიების, აკუსტიკური იარაღისა და წყლის ჭავლის გამოყენებით სასტიკად დაარბია მრავალათასიანი სახალხო საპროტესტო აქცია თბილისში.** დაშავდა რამდენიმე ათეული ადამიანი. ნიღბიანმა პირებმა, აგრეთვე, დაარბიეს ტელეკომპანიები „იმედი“ და „კავკასია“, რის გამოც ამ ტელევიზიებმა გარკვეული ხნით მაუწყებლობა შეწყვიტეს. სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი დანიშნა, რომლებიც 2008 წლის იანვარში ჩატარდა.



*** 1956 წლის 4 ნოემბერს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში საბჭოთა ჯარების შეყვანით დაიწყო ოპერაცია „ვიხრი“** („გრიგალი“), ამ ოპერაციით დასრულდა უნგრეთში ოქტომბერ-ნოემბერში განვითარებული მოვლენები, რომელსაც ზოგი რევოლუციას უწოდებდა, ზოგი — კონტრრევოლუციას.

*** 1879 წლის 4 ნოემბერს ამერიკელმა ჯეიმს რიტიმ, რომელიც დეიტონში (ოჰაიო, აშშ) კაფეს მფლობელი იყო, ძმასთან ერთად შექმნა პირველი სალარო აპარატი.**





*** 1979 წლის 4 ნოემბერს ირანის „რევოლუციური გვარდია“ შეიჭრა თეირანში მდებარე აშშ-ის საელჩოში და დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლები მძევლად აიყვანა.** 52 ამერიკელი მხოლოდ 444 დღის შემდეგ გაათავისუფლეს — 1981 წელს. თავდამსხმელები აშშ-ის ხელისუფლებისგან ითხოვდნენ შაჰის — მოჰამედ რეზა ფეჰლევის გადაცემას, რომელიც ნიუ-იორკის ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობდა. აჯანყებულებს მხარს უჭერდა ირანის მთავრობა აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით.

მძევლების გასათავისუფლებლად ამერიკელთა სამხედრო ოპერაცია „არწივის ბრჭყალი“ კრახით დასრულდა — დაიღუპა 8 ამერიკელი ჯარისკაცი.

მძევლები ალჟირის შუამავლობით გაათავისუფლეს. სწორედ იმ დღეს დაიკავა, რონალდ რეიგანმა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**დასახულ მიზნამდე მისაღწევად საჭიროა ყველა დეტალის გაანალიზება. პარტნიორულ ურთიერთობებში, თუ კომპრომისული გადაწყვეტილება ვერ მოიძებნება, შესაძლოა, წარმოიქმნას მწვავე უთანხმოება. სასიკეთო პერიოდია ქალწულისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**4 - 10 ნოემბერი ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

თქვენთვის ახლა აუცილებელია მცირე ხნით შესვენება და საკუთარ თავში ჩაღრმავება, მხოლოდ ასე შეძლებთ ნეგატიური გუნება-განწყობის გამოკეთებას. რამდენიმე დღეში კი კვლავ აღივსებით ენერგიით და დაიწყებთ დასახული მიზნებისკენ სვლას.

შესაძლოა, მოგიწიოთ ხანმოკლე მოგზაურობა.

თუ გაკრიტიკების სურვილი აღგეძვრებათ და უსამართლო საყვედურებით დაატყდებით თავს საყვარელ ადამიანს, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება, ამიტომ მოთოკეთ ემოციები.

შესაძლოა, შეგექმნათ ძვლოვანი სისტემის პრობლემა, რაც კალციუმის ნაკლებობით იქნება გამოწვეული.

**დადებითი დღე: 4 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ნოემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

აღტაცებამ იმით, რომ ჩანაფიქრი წარმატებით ხორციელდება, შეიძლება, მოგადუნოთ და შეცდომა დაგაშვებინოთ, ამიტომ ფხიზლად ადევნეთ თვალი თქვენ გარშემო განვითარებულ მოვლენებს.

მარტოხელა კუროებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი და მასთან ურთიერთობის გაღრმავებას შეეცდებიან, მაგრამ ეს ურთიერთობა სერიოზულ რომანში არ გადაიზრდება.

შეეცადეთ, ნაკლებად დაიტვირთოთ ფიზიკურად და დაისვენოთ. დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 5 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ნოემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

დიდმა ტვირთმა ვალდებულებებისა, რომლებსაც დაიკისრებთ, შეიძლება, უამრავი დრო და ენერგია წაგართვათ, საქმის წარმატებით დასასრულებლად დაიხმარეთ კოლეგები და ახლობლები.

დაქორწინებული ტყუპების ოჯახური ცხოვრება განსაკუთრებული რყევის გარეშე წარიმართება, თუმცა მოუწევთ საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრა — ბინის გარემონტება ან ინტერიერის განახლება.

ფიზიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 4 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 ნოემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

შეიძლება მოისურვოთ ახალი საქმის წამოწყება, მაგრამ სწორად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები და სურვილები. ყველა გარემოება, რომლებიც ხელს შეგიშლით ან შეგიწყობთ დასახული მიზნის მიღწევაში, გულდასმით გააანალიზეთ.

მარტოხელა კირჩხიბებმა შეიძლება საწინააღმდეგო სქესის მიმზიდველი წარმომადგენლის მოხიბვლა განიზრახონ, მაგრამ ამაოდ დაშვრებიან.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 6 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ნოემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

შესაძლოა, შეგექმნათ ფინანსური ან უძრავი ქონების პრობლემა, მაგრამ ახლობლების დახმარებით ყველა ბარიერს დაძლევთ. ნუ აჩქარდებით, საქმე ნელ-ნელა, ყველა გარემოების გათვალისწინებით აკეთეთ და წარმატებას მიაღწევთ.

ნუ მიმართავთ საყვარელ ადამიანს მენტორული ტონით და ნუ შეეცდებით მის მართვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვავე კონფლიქტს ვერ აიცილებთ.

ოდნავმა გაციებამაც კი შეიძლება მწვავე ვირუსული დაავადების გამწვავება გამოიწვიოს, ამიტომ მიიღეთ C ვიტამინით მდიდარი პროდუქტები (ლიმონი, ისპანახი, კომბოსტო, ფორთოხალი და სხვ.).

**დადებითი დღე: 9 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ნოემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

თქვენი აქტიურობა შედეგს გამოიღებს და დასახულ მიზნებს მიაღწევთ. შეძლებთ ნებისმიერი რთული ამოცანის გადაწყვეტას, თუმცა ამისთვის დიდი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ.

რეკომენდებული არ არის საფინანსო ოპერაციები და ხელშეკრულების გაფორმება იურიდიულ საკითხებზე.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ და შეეცადეთ, მათ პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

მაღალია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა — მოერიდეთ ცხარე და ცხიმიან საკვებს.

**დადებითი დღე: 10 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 ნოემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

შესაძლოა, გაგიტაცოთ პროექტმა, რომელიც სინამდვილეში პერსპექტიული არ არის. ემოციებს ნუ აჰყვებით და საქმე მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეთ, როცა ყველა დეტალს გააანალიზებთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები კომპლიმენტებითა და საჩუქრებით დაგაჯილდოებენ. კარგი პერიოდია თქვენი რჩეულისთვის გრძნობის გასამჟღავნებლად.

შესაძლოა, შეგექმნათ ხერხემლის პრობლემა — შეამცირეთ ფიზიკური აქტივობა და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 4 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 ნოემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

სასიამოვნო ცვლილებები გელით — ეს შეიძლება იყოს ბინაში ინტერიერის შეცვლა ან ახალი სატრანსპორტოს საშუალების შეძენა. მორიელებს, რომლებსაც ავტორიტეტი აქვთ კოლექტივში, კარიერაში წინსვლა ელით.

მარტოხელა მორიელებს გაუჩნდებათ გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენის შანსი, ოღონდ ამისკენ ნაბიჯი თვითონ უნდა გადადგან.

მაღალია გაცივებისა და ზედა სასუნთქი გზების დაავადების ალბათობა. პროფილაქტიკის მიზნით ყელში გამოივლეთ გვირილის ნაყენი ან სოდიანი წყალი.

**დადებითი დღე: 4 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

დაუფიქრებელმა საქციელმა შეიძლება მოულოდნელი უსიამოვნებები შეგიქმნათ, მაგრამ მათ მოგვარებას იოლად შეძლებთ. გააკონტროლეთ თქვენი გრძნობები და ემოციები.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუმცა მოსალოდნელია ურთიერთობის დაძაბვა მის ნათესავებთან.

შესაძლოა, შეგექმნათ შარდ-სასქესო სისტემის პრობლემა. მოერიდეთ ცხარე და მარილიან საკვებს, აგრეთვე, ალკოჰოლურ სასმელს.

**დადებითი დღე: 5 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 ნოემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

გააქტიურდით. ითანამშრომლეთ კოლეგებთან და გაბედულად შესთავაზეთ თქვენი იდეები ხელმძღვანელობას, თქვენი აქტიურობა შედეგს აუცილებლად გამოიღებს, რაც ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება.

წვრილმანის გამო ნუ გააკრიტიკებთ საყვარელ ადამიანს, გახსოვდეთ, რომ შეცდომას ყველა უშვებს. სჯობს, ოჯახური პრობლემის მოგვარებაზე ერთობლივად იზრუნოთ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 10 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 5 ნოემბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

დაგიგროვდებათ ბევრი საქმე, რომელთა მოგვარებაც გაგიჭირდებათ კოლეგებისა და ახლობლების დაუხმარებლად. ეკონომიურად ხარჯეთ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალის აღება მოგიწევთ.

საეჭვო ფინანსურ გარიგებებში მონაწილეობა კარგს არაფერს მოგიტანთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. მოუბოდიშეთ მას დაშვებული შეცდომის გამო და შეეცადეთ, სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყოთ.

მაღალია ენდოკრინული სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 4 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ნოემბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

გულმოდგინედ დაგეგმეთ მუშაობის რეჟიმი და შეეცადეთ, თავიდან აიცილოთ შეცდომები, მოთოკეთ ემოციები, რადგან კოლეგებისა და ახლობლების მიმართ გამოთქმულმა კრიტიკულმა შენიშვნებმა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მართალი იქნებით, შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს. იმოქმედეთ დიპლომატიური მეთოდებით.

მარტოხელა თევზებმა მივლინებაში ყოფნისას ან წვეულებაზე შემთხვევით გაცნობილ ადამიანთან, შესაძლოა, რომანტიკულ ურთიერთობას ჩაუყარონ საფუძველი.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო ახლა დასვენება და გამოძინება გჭირდებათ.

**დადებითი დღე: 8 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 4 ნოემბერი.**



## მაკკეინი სააკაშვილს:
# რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?

**უკრაინული „ვიკილიკსი“ სენატორ ჯონ მაკკეინისა და ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის მიმოწერას აქვეყნებს. როგორც დადგინდა, მიხეილ სააკაშვილი (ვიბერ)-ის რუსულენოვან ვერსიას იყენებს.**

**ჯონ მაკკეინი:** — გამარჯობა. ბევრჯერ დაგირეკავს, ვერ გიპასუხე, მაგრამ გეტყვი, რომ სერიოზული შეცდომები დაუშვი, არააკურატულად მუშაობ. მე გაგაფრთხილე, რომ ტელევიზიის მიმართ სისხლიანი სცენარი გამორიცხულია. რა რევოლუციას იწყებდი, ბიჭო?

**მიხეილ სააკაშვილი:** — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ რჩებოდა. „რუსთავი 2“ რომ დავკარგოთ, საქართველოზე გავლენის ბერკეტი დაიკარგება.

**ჯონ მაკკეინი:** — მე ზომები მივიღე, შენს ბიჭებს ხელს არ ახლებენ, გამოძიება დაიხურება. ეშტონმა ყველა გააფრთხილა. ელჩი აქტიურად მუშაობს. ივანიშვილი დაპატიმრების საკითხს არ დააყენებს, თუ არადა, ყველა მის ანგარიშს დავბლოკავთ, მაგრამ შენზე ყველა აღრენილია. 10 ნოემბრის შემდეგ სენატორთა ჯგუფთან ერთად ვაპირებთ საქართველოში ჩასვლას.

**მიხეილ სააკაშვილი:** — დიდი მადლობა, ბატონ კრტ-ს დაველაპარაკები, სენატორების ჩამოსვლა იქნებ დააჩქაროთ, თორემ სასამართლომ შეიძლება გადაწყვეტილება მიიღოს.

**ჯონ მაკკეინი:** — სასამართლო პროცესი უნდა გააჭიანუროთ, შენი ბიჭები საქმეში ჩაერთნენ და მათ ძალიან აქებენ, ინფორმაცია კი გაიპარა, მაგრამ ყველაფერი ძალაში რჩება. ავაკოვმა ყველაფერი გამოგზავნა. ყველაფერს კამერაზე დააფიქსირებენ, როგორც კი სათანადო ფონი შეიქმნება, საკითხის გადაწყვეტა განახლდება და გემები წამოვა. potus-ი (აშშ-ის პრეზიდენტი) ამოქმედდა. ჩვენი სპეცრაზმი უკვე ქურთისტანშია. მოამზადე მეორე ჯგუფი.

**მიხეილ სააკაშვილი:** — ეს კარგი ამბავია, ბიჭებმა ფიცი დადეს და ყველაფერს გააკეთებენ. შემიძლია, გავაგზავნო კარგად მომზადებული პროფესიონალი 20 კაცი. ერთ კვირაში „ილიჩოვსკი“ შეძლებს, მიიღოს ყველა ტიპის გემი.

**ჯონ მაკკეინი:** — yatt-ისგან დაგირეკავენ და ბიჭებს წაიყვანენ, მხარდაჭერა უზრუნველყავი. საქართველოს შემდეგ, შეიძლება, კიევში ჩამოვიდე.

**მიხეილ სააკაშვილი:** — ყველაფერს გავაკეთებთ. ასე რომ, გელოდებით.

**ჯონ მაკკეინი:** — ო'კ

**მიხეილ სააკაშვილი:** — მადლობა!




# საუდის არაბეთის პრინცი «ისლამურ სახელმწიფოსთან» თანამშრომლობაშია ეჭვმიტანილი

**ამა წლის 26 ოქტომბერს ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტში დააპატიმრეს საუდის არაბეთის პრინცი აბდულ მოჰსენ ბენ ვალიდ ბენ აბდელ აზიზი, რომელიც დიდი რაოდენობის ნარკოტიკის გადატანას ცდილობდა.**

ლიბანის ხელისუფლების განცხადებით, საუდის არაბეთის მმართველი დინასტიის წარმომადგენელი საბაჟო კონტროლის გავლისას დააპატიმრეს, რადგან მის თვითმფრინავში მუყაოს ყუთებში დაფასოებული 12 მლნ აბი (დაახლოებით 2 ტ.) კეპტაგონი იპოვეს. პრინცმა დაკითხვისას აღიარა, რომ ეს აბები 30 მლნ დოლარად შეიძინა ვინმე ეზედ-დინისგან, რომელიც სირიის საზღვართან, პროვინცია არსელში ცხოვრობს.

ლიბანის უშიშროების სამსახური არ გამორიცხავს, რომ პრინცის მიერ ნაყიდი ნარკოტიკები განკუთვნილი იყო „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებისთვის, რომლებიც საუდის არაბეთის, ლიბანის, იორდანიის, იემენის, პალესტინისა და ეგვიპტის ტერიტორიებზე მოქმედებენ.




# «საკმარისი რაოდენობით მომყავს, ზოგი გაგდებულია, ზოგი ჩვენია»

**უკრაინულ ვებგვერდზე uarevo.in.ua- მ კიდევ ერთი ფარული ჩანაწერი გაავრცელა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი, ნუგზარ წიკლაური და გივი თარგამაძე მონაწილეობენ.**

ჩანაწერის თანახმად, ნუგზარ წიკლაური ოდესის ოლქის გუბერნატორს დეტალურად უყვება, რა ღონისძიებები ტარდება მათ მიერ „რუსთავი 2“-ის საკითხზე. წიკლაური აღნიშნავს, რომ უკვე ჩამოსულია ის 50 ადამიანი სამეგრელოდან, რომლებზეც მან მიხეილ სააკაშვილს წინა საუბრისას უთხრა. მიხეილ სააკაშვილი ინტერესდება, რა შეხვედრებს მართავს გივი თარგამაძე და რა რესურსი აქვს მობილიზებული. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად წიკლაური ყურმილს აწვდის გივი თარგამაძეს, რომელიც სააკაშვილს ეუბნება, რომ ხალხი საკმარისია და გაუძლებენ როგორც პირველ, ასევე მეორე და მესამე ნაწილებსაც.

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**



# «რუსთავი 2»-ის წილების 60% ქიბარ ხალვაშს დაუბრუნდება

**თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილების 60 პროცენტი — ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, 40% კი მის შპს „პანორამას“ დაუბრუნდება.**

ტელეკომპანიის საქმეზე მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ გადაწყვეტილება 3 ნოემბერს გამოაცხადა. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ „რუსთავი 2“-ის ადვოკატებმა, ერთის გარდა, სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

რაც შეეხება ქიბარ ხალვაშის სხვა მოთხოვნებს, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა არხის საავტორო უფლებების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. როგორც ცნობილია, ქიბარ ხალვაში ზიანის ანაზღაურების მიზნით 18 მილიონ დოლარს ითხოვდა. ამასთანავე, მოსამართლემ ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებები ბათილად გამოაცხადა.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894